

საბავშვო ბაღისადმი ბავშვის სოციალური ადაპტაციის

პედაგოგიური ასპექტი

ირინე გერსამია

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების  
ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათელა იმედაძე-პროფესორ- ემერიტუსი

თანახელმძღვანელი: მარინე ფალავანდიშვილი-  
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის -საბავშვო ბარისადმი ბავშვის სოციალური ადაპტაციის პედაგოგიური ასპექტი -ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირინე გერსამია

23. 07. 2015

## აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება საბავშვო ბაღისადმი ბავშვის სოციალური ადაპტაციის პედაგოგიური ასპექტის კვლევას. კვლევის მიზანია საბავშვო ბაღისადმი ბავშვის ადაპტაციის სირთულეების განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა და მათი დაძლევის პირობების შემუშავება სპეციალურად ორგანიზებული მოძრავი თამაშების გამოყენებით.

კვლევა 3 ეტაპისაგან შედგება:

I ჩატარდა საბავშვო ბაღისადმი ბავშვის სოციალური ადაპტაციის არსის თეორიული ანალიზი;

II გამოვლინდა საბავშვო ბაღისადმი ბავშვის ადაპტაციური პერიოდის სიმძნელების განმსაზღვრელი ფაქტორები.

III გამომუშავდა და აპრობირებულ იქნა საბავშვო ბაღისადმი ბავშვის ადაპტაციის გაუმჯობესების პირობები.

კვლევისას გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. სკოლამდელი ასაკის ბავშვებში სოციალური ადაპტაციის სიმძნელების განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევისას, რომლის ობიექტი იყო ქ. თბილისის საბავშვო ბაღების 3-4 წლიანთა ბავშვები (61 ბავშვი), გამოყენებულ იქნა შემდეგი ინსტრუმენტები: ბავშვის შფოთვის ტესტი (შემუშავებული ვ. ამენის მ.დორკის, რ. ტემპლის, მიერ); რენე ჟილის (ბავშვის თანატოლებთან, სიბლინგებთან და მოზრდილებთან ურთიერთობის ხარისხის განმსაზღვრელი მეთოდიკა; ლ.პონომარენკოს მიერ შემუშავებული თვითშეფასების დონის გამოვლენის პროექციული მეთოდიკა "ხე"; ასევე სოციომეტრული გამოკითხვა საბავშვო ბაღის ჯგუფში ბავშვის სტატუსის გამოსავლენად.

საბავშვო ბაღისადმი ბავშვის ადაპტაციის სიმძნელების დიაგნოსტიკის თვისებრივი ანალიზის საფუძველზე გაკეთდა შემდეგი დასკვნები:

-ჩვეული ოჯახური პირობების შეცვლისა და საბავშვო ბაღის ახალ გარემოში მოხვედრის დროს, ბავშვი განიცდის დისკომფორტს, მისი შფოთვის დონე მაღლდება.

-ურთიერთობის უნარის უქონლობა და არაადეკვატური თვითშეფასება უქმნის ბავშვს სირთულეებს თანატოლებთან ურთიერთობისას;

-აღმზრდელების მხრიდან ყურადღების და ალერსის ნაკლებობა ურთულებს ბავშვს კონტაქტის დამყარებას თანატოლებთან.

საბავშვო ბაღისადმი ბავშვის ადაპტაციის გაუმჯობესების მიზნით სპეციალურად შეირჩა და ჩატარდა მოძრავი თამაშები, რომლებიც ორიენტირებულია აღმზრდელებთან და თანატოლებთან ბავშვის კომფორტული ურთიერთობის ორგანიზაციაზე. თამაშები ჩატარდა ქ. თბილისის საბავშვო ბაღის 3-4 წლიანთა ბავშვებში (47 ბავშვი).

კვლევის შედეგებმა აჩვენა:

- საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის სიმძნელები აისახა შფოთვის დონის მაღალ მაჩვენებლებში, რომლებიც დადასტურდა ბავშვების საბავშვო ბაღში მოსვლის პირველ თვეს ჩატარებულ კვლევისას. ( ვ.ამენის და სხვ. ბავშვის შფოთვის დონის განმსაზღვრელი მეთოდისა).

ტესტში შემოთავაზებული სიტუაციების ნეგატიური შეფასების უმრავლესობა უკავშირდება თანატოლებთან ურთიერთობას. ამავე დროს სწორედ ამ ურთიერთობებს ანიჭებს უპირატესობას ბავშვი რენე ჟილის მეთოდის გამოყენებისას. აღნიშნული არაერთმნიშვნელოვანი შეფასება წარმოადგენს საბავშვო ბაღისადმი სოციალური ადაპტაციის სიმძნელის ერთ-ერთ ფაქტორს.

- შფოთვის მაღალ დონეს იწვევს არაადეკვატური თვითშეფასება, რომელიც გამოვლინდა ლ.პონომარენკოს პროექციული მეთოდის „ხე“-ს გამოყენებისას.
- ექსპერიმენტულად დადასტურდა მოძრავი თამაშების მნიშვნელობა შფოთვის დონის დაწვეის დინამიკაში( სტატისტიკურად სანდოა განსხვავება შფოთვის დონეებს შორის თამაშის წინ და თამაშის შემდეგ). ეს დაწვევა აიხსნება ამ სახის თამაშების თავისებურებით, კერძოდ, მოძრავი თამაშების დინამიური ხასიათი ანიჭებს ბავშვებს დიდ სიხარულს, ხსნის ემოციურ დაძაბულობას, აკმაყოფილებს მოძრაობის მოთხოვნილებას;

სპეციალურად შერჩეული მოძრავი თამაშების რეგულარული ჩატარება ბავშვთა ერთმანეთთან შეკავშირების და აღმზრდელებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბების საშუალებაა, რაც თავის მხრივ, დააჩქარებს ბავშვის ადაპტაციას საბავშვო ბაღისადმი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სკოლამდელი ასაკი, საბავშვო ბაღი, სოციალური ადაპტაცია, შფოთვის დონე, მოძრავი თამაში.

## Abstract

The dissertation is dedicated to explore the pedagogical aspect of social adaptation of a child to kindergarten. The study is aimed to reveal factors determining difficulties in child's adaptation to kindergarten and elaborate conditions to overcome them using specially organized active games.

The study consists of 3 stages:

- I. Theoretical analysis of child's social adaptation to kindergarten has been conducted;
- II. Factors determining the difficulties of the child's adaptation to kindergarten have been revealed;
- III. Conditions for facilitation of the child's adaptation to kindergarten have been elaborated.

Qualitative and quantitative methods have been used in the study. When exploring the factors determining the difficulties of social adaptation of pre-school children to kindergarten on the base of 3-4-year olds of the kindergartens in Tbilisi-city (61 children) the following tools have been used: anxiety test for children (by W.Amen, M.Dorkey, R.Temple); method of Rene Jill (for exploration of child's relations with their peers, siblings and adults); Projective method ('tree') elaborated by L. Ponomarenko for estimation of self-assessment level; and socio-metric inquiry conducted in the kindergartens to reveal the children's status.

On the base of the qualitative analysis of adaptation difficulties of a child to kindergarten the following conclusions have been made:

- Due to changed surroundings from family to kindergarten the child experiences discomfort, his anxiety level rising.
- Lack of communicability and non-adequate self-assessment make difficulties to the child's contacts with the peers.
- Lack of attention and care from the teachers complicates the child's coming into contact with the peers.

In order to improve the child's adaptation to kindergarten special active games, aimed at arranging comfortable relationship of the child with adults and peers, have been

selected and conducted. The games have been conducted in the kindergartens of Tbilisi-city (47 children of the age of 3 and 4 years).

The results of the study demonstrated that:

- The difficulties of the adaptation to kindergarten were reflected in the high level of anxiety revealed during the first month of the children's joining the kindergarten (anxiety test for children by W. Amen).

Most of the negatively perceived situations during the test procedure were related with relationships with the peers. Besides, right these relationships were shown as the most important for the children according to the results of the method of Rene Jill. Such complexity of the results represents one of the factors of difficulty of social adaptation to kindergarten.

- High level of anxiety is caused by inadequate self-assessment as demonstrated from the results of the projective method of L.Ponomarenko ('tree').
- Significance of active games in dynamics of lowering anxiety level was experimentally proved (statistically confident difference between the anxiety levels before and after the games). This decrease can be explained by the peculiarity of such games: specifically, the children enjoy dynamic nature of active games, that remove emotional stress of them and meet their need for agility.

Specially selected active games, arranged regularly, is a means to consolidate children and establish well-disposed relationships with the teachers, that finally enhances the child's adaptation to the kindergarten.

**Key words:** pre-school age, kindergarten, social adaptation, anxiety level, active game.

# სარჩევი

<b>შესავალი</b> -----	<b>1</b>
საკვლევი პრობლემის არსი და აქტუალობა-----	<b>1</b>
სადოქტორო ნაშრომის მიზანი-----	<b>4</b>
კვლევითი ამოცანები-----	<b>4</b>
კვლევითი ჰიპოთეზები-----	<b>4</b>
გზამკვლევი ნაშრომის სტრუქტურაში-----	<b>5</b>
<b>თავი 1.საბავშვო ბალისადმი ბავშვთა სოციალური ადაპტაციის პრობლემის თეორიული ანალიზი</b> -----	<b>6</b>
1.1.სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის თავისებურებები-----	<b>6</b>
1.2.საბავშვო ბალისადმი ბავშვთა ადაპტაციის პროცესზე ზეგავლენის ფაქტორები-----	<b>23</b>
1.3.მოზრდილთა და თანატოლთა როლი ბავშვის საბავშვო ბალისადმი ადაპტაციაში-----	<b>40</b>
<b>თავი 2. საბავშვო ბალის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის სირთულეების კვლევა</b> -----	<b>55</b>
2.1 ბალისადმი ბავშვთა ადაპტაციის ინდენტიფიკაცია.-----	<b>55</b>
<b>მეთოდი I.</b> -----	<b>56</b>
2.2. კვლევის პირველი სერია. დაკვირვება.-----	<b>56</b>
2.2.1.მონაწილეები-----	<b>56</b>
2.2.2.კვლევის პროცედურა-----	<b>56</b>
2.2.3.დაკვირვების შედეგი-----	<b>58</b>
2.3.კვლევის მეორე სერია. შფოთვის დონის გამოვლენა-----	<b>59</b>



2.3.1.მონაწილეები-----	59
2.3.2..კვლევის ინსტრუმენტი და პროცედურა.-----	60
2.3.3.შედეგების ანალიზი-----	64
2.4. კვლევის მესამე სერია. თვითშეფასების და შფოთვის დონის შედარება-----	67
2.4.1.მონაწილეები-----	68
2.4.2.ინსტრუმენტი და პროცედურა-----	68
2.4.3.შედეგების ანალიზი-----	69
2.5.კვლევის მეოთხე სერია. თანატოლებთან, სიბლინგებთან და მოზრდილებთან ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა.-----	70
2.5.1.მონაწილეები-----	71
2.5.2.კვლევის ინსტრუმენტი და პროცედურა-----	71
2.5.3.შედეგების ანალიზი-----	72
2.6.კვლევის მეხუთე სერია. სოციომეტრული კვლევა.-----	73
2.6.1.მონაწილეები-----	74
2.6.2.კვლევის ინსტრუმენტი და პროცედურა-----	74
2.6.3.შედეგის ანალიზი-----	75
2.7.პირველი კვლევის ზოგადი განხილვა-----	76
<b>თავი 3.პედაგოგიური ექსპერიმენტი-----</b>	<b>82</b>
3.1.ბავშვის საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის პირობები-----	82
მეთოდი II.-----	87
3.2.კვლევის პირველი სერია. შფოთვის დონის გამოვლენა.-----	87
3.2.1.მონაწილეები-----	87
3.2.2.პროცედურა-----	87
3.3. კვლევის მეორე სერია-----	87

3.3.1. მონაწილეები -----	88
3.3..2.პროცედურა-----	88
3.3..3.შედეგების ანალიზი-----	89
3.4. მეორე კვლევის ზოგადი განხილვა.-----	92
<b>თავი 4. ბავშვთა შფოთვის დონის შედარება საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის პერიოდში ქ. თბილისის ცენტრისა და პერიფერიაში მდებარე სკოლამდელ დაწესებულებებში. (დამატებითი კვლევა)-----</b>	<b>93</b>
4.1.1. მონაწილეები-----	93
4.1.2.პროცედურა-----	93
4.1.3.კვლევის შედეგები-----	94
4.1.4.კვლევის ანალიზი-----	95
<b>თავი 5. სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დასკვნები-----</b>	<b>96</b>
<b>თავი 6. რეკომენდაციები-----</b>	<b>98</b>
6.1.რეკომენდაციები ბავშვის საბავშვო ბაღისადმი სოციალური ადაპტაციის პერიოდში სირთულეების დაძლევისათვის-----	98
6.2.რეკომენდაციები შემდგომი კვლევებისათვის.-----	100
<b>გამოყენებული ლიტერატურა-----</b>	<b>101</b>
<b>დანართები-----</b>	<b>114</b>
დანართი 1. ამენის. დორკის და ტემპლის შფოთვის დონის განმსაზღვრელი მეთოდის მასალა-----	114
დანართი 2. “საბავშვო ბაღის სიტუაციები“-----	117
დანართი 3. რენე ჟილის მეთოდის მასალა-----	118
დანართი 4. მეთოდის „ხე“-----	121
დანართი 5. მოძრავი თამაშები-----	122
<b>ცხრილების ჩამონათვალი</b>	
ცხრილი1. დაკვირვების ოქმის ნიმუში-----	56

ცხრილი 2. შფოთვის ტესტის ამსახველი ოქმის ნიმუში-----	62
ცხრილი 3. საბავშვო ბაღის სიტუაციების ამსახველი ოქმის ნიმუში-----	63
ცხრილი 4. ბავშვთა შფოთვის დონე-----	65
ცხრილი 5. შეფასება 3 სფეროს მიხედვით-----	65
ცხრილი 6. შფოთვის დონე „საბავშვო ბაღის სიტუაციების“ შეფასებისას-----	66
ცხრილი 7. საბავშვო ბაღის სიტუაციების შეფასება-----	66
ცხრილი 8. შფოთვის დონე და პოზიციების არჩევა ტესტში „ხე“-----	68
ცხრილი 9. პირადი ურთიერთობების შკალები-----	71
ცხრილი 10. მშობლებზე მიჯაჭვულობა -----	72
ცხრილი 11. სოციომეტრული მატრიცის ნიმუში-----	74
ცხრილი 12. ქცევა კონფლიქტურ სიტუაციაში -----	76
ცხრილი 13. შფოთვის დონე თამაშების ჩატარებამდე და თამაშების შემდეგ-----	90
ცხრილი 14. შფოთვის დონის მაჩვენებლები ექსპერიმენტის წინ და ექსპერიმენტის შემდეგ.-----	90
ცხრილი 15. შფოთვის დონეები ქ.თბილისის ცენტრისა და პერიფერიის საბავშვო ბაღებში-----	94
<b>დიაგრამების ჩამონათვალი</b>	
დიაგრამა 1. შფოთვის დონეები ექსპერიმენტის წინ და ექსპერიმენტის შემდეგ-----	91
დიაგრამა 2. შფოთვის დონის შედარება ქ.თბილისის ცენტრისა და პერიფერიის ბაღებში -----	92

# შესავალი

## საკვლევი პრობლემის არსი და აქტუალობა

სოციალური ადაპტაციის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა ცხოვრების პირობების მუდმივი და ღრმა ცვლილებები მიმდინარეობს. ამიტომ ადაპტაციური შესაძლებლობების ადრეული ფორმირება წარმოადგენს პიროვნების განვითარების მნიშვნელოვან მხარეს.

ადაპტაციის უნარი დამახასიათებელია ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის, რადგან ის მისი არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. რაც უფრო მაღალგანვითარებულია ორგანიზმი, მით უფრო მაღალია მისი ადაპტაციური შესაძლებლობები. ადამიანი მისი ცხოვრების მანძილზე არაერთხელ დგება ახალი სოციალური პირობებისადმი ადაპტაციის პრობლემის წინაშე. ეს არის: საბავშვო ბაღი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, შრომითი კოლექტივი და ა.შ.

ადაპტაციის სიძნელების გადალახვისათვის საჭიროა მომზადება ადრეული ასაკიდანვე. სკოლამდელი ასაკი წარმოადგენს გარკვეული უნარ-ჩვევების შექმნის სენზიტიურ პერიოდს. ამიტომ, სწორედ, ამ ასაკიდან არის საჭირო ბავშვის ადაპტაციური შესაძლებლობების ფორმირება, კერძოდ, საბავშვო ბაღში შესვლისათვის.

ახალი სოციალური ურთიერთობებისადმი ბავშვის ადაპტაცია, მისი კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბება ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და საერთო განვითარებისათვის. ადაპტაციური მექანიზმების მოუმწიფებლობა, გარემოს ცვლილებების შემთხვევაში, ხშირად ქმნის ადაპტაციის სირთულეებს, რაც გამოიხატება ქცევის გარკვეულ დარღვევებში, როგორცაა: ჭირვეულობა, კაპრიზები, უარის თქმა აღმზრდელებთან და თანატოლებთან კონტაქტებზე და სხვ. ადაპტაციის პერიოდში ბავშვის ორგანიზმში ხდება ფიზიოლოგიური ცვლილებებიც, იგი ადვილად ავადდება.

ემოციური მდგომარეობის დარღვევა და ქცევის არაადეკვატურობა - ბავშვთა ფსიქიკური დაძაბულობის და შფოთვის დონის ამაღლების შედეგია. შფოთვა, როგორც ცნობილია, ფრუსტრატორის, სტრესორის მოლოდინის ცნობიერი თუ არაცნობიერი ფსიქიკური მდგომარეობაა. შფოთვის მაღალი დონე, როგორც პიროვნების შეძენილი თვისება, გულისხმობს ისეთ მომენტებს, როგორცაა: მაღალი მგრძნობელობა ემოციური სიტუაციებისადმი, არაცნობიერი დაურწმუნებლობა საკუთარ ძალებში, მისწრაფება ჩვეული პოზიციის შენარჩუნების და ასევე „სოციალური მოლოდინების არგამართლების ან გარშემომყოფ ადამიანების კეთილგანწყობის დაკარგვის შიში“ (Н.Имедадзе, 1966). ჩამოთვლილი მახასიათებლები ცვალებადობს ინდივიდუალურად და სიტუაციის მიხედვით. საბავშვო ბაღში გატარებული პირველი დღეები სავარაუდოდ გულისხმობენ ასეთ სიტუაციას. საკვლევა, რამდენად ზოგადია საბავშვო ბაღში სიარულის აღნიშნული ფსიქოლოგიური შედეგი, რამდენად ვრცელდება იგი ყველა ბავშვზე.

ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც აღმზრდელის წინაშე დგას, არის ადაპტაციის პერიოდში ბავშვებში შფოთვის დონის დაწევა და მათში საბავშვო ბაღისადმი დადებითი განწყობის შექმნა. ბავშვებში დაძაბულობის მოხსნის ეფექტურ ხერხს თამაში წარმოადგენს. თამაშის პროცესში ბავშვები ურთიერთობას ამყარებენ ერთმანეთთან და იძენენ კომუნიკაციურ უნარებს. სოციალური უნარები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბავშვის განვითარებაში (Ladd,1990). ამავე დროს უმცროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვებს უჭირთ თამაშის ორგანიზება. პასიური ბავშვები, როგორც წესი, შორიდან აკვირდებიან თავისი აქტიური თანატოლების თამაშს. ამ ეტაპზე აუცილებელია უფროსის დახმარება ბავშვების ჩართვაში ერთობლივ თამაშებში. მაგრამ თუ აღმზრდელი შეძლებს ბავშვის ჩართვას როლურ თამაშში სხვა ბავშვებთან, ამას ერთჯერადი ხასიათი ექნება, რადგან როლური თამაში, როგორც წესი, ბავშვების ინიციატივით ხორციელდება. ბავშვი, რომელსაც არ აქვს განვითარებული თამაშის და კომუნიკაციის უნარები, დარჩება იზოლაციაში ან მუდმივად შეასრულებს მეორეხარისხოვან როლს. ეს კი შეუშლის მას ხელს დაიკავოს აქტიური პოზიცია თანატოლთა ჯგუფში. ბავშვთა სპონტანურ

თამაშებში აღმზრდელი ერევა მხოლოდ კრიტიკულ მომენტებში (Isenberg, Jalongo, 2001). ამიტომ საჭიროა ისეთი ერთობლივი თამაშების ორგანიზება, სადაც აღმზრდელი შეძლებს ხელმძღვანელობას თამაშის პროცესის, მონაწილეების აქტივობის რეგულირებას. ამ მხრივ თამაშის სხვადასხვა სახეობას განსხვავებული პოტენციალი ახასიათებს.

ამრიგად, ყველა თამაშს გააჩნია პოტენციალი, მაგრამ მაღალი პოტენციალი, ჩემი აზრით, სწორედ მოძრავ თამაშს აქვს, მოტორული თამაში შეიცავს ბევრ ფარულ შესაძლებლობას. ამ შესაძლებლობის გამოვლენა სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

ბავშვის სოციალური ადაპტაციის პრობლემის მნიშვნელობა დასტურდება მრავალი კვლევით. კერძოდ, მონოგრაფიაში „სკოლამდელ დაწესებულებებისადმი ბავშვების სოციალური ადაპტაცია“ , სოციალური ადაპტაციის საკითხი ფიზიოლოგიური თვალსაზრისით განიხილება (Тонкова-Ямпольская, Шмидт-Колмер, Анастасова-Вукова, 1980). სკოლამდელებში ემოციის რეგულაციისა და სოციალური ადაპტაციის ურთიერთქმედება განხილულია კ.რუბინის, რ.კოპლანის, ნ.ფოქსის და ს.კალკინსის კვლევებში. (Rubin, Coplan, Fox & Calkins, 1995). ბავშვთა ინდივიდუალური თავისებურებების გავლენაზე (კერძოდ, ინტრავერსიის და ექსტრავერსიის) თანატოლთა ჯგუფში ურთიერთობებზე მიუთითებენ რ.ბულოტსკი-შირერი, ე.ბელლ, ჩ. დომინგესი. (Bulotski-Shearer, Bell & Domingues, 2012). ისინი თვლიან, რომ პედაგოგებს სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება, რათა დახმარება გაუწიონ ბავშვებს სოციალური ადაპტაციის უნარების განვითარებაში. ბავშვები, რომელთაც გააჩნიათ დადებითი ურთიერთდამოკიდებულება თანატოლებთან სკოლამდელ ასაკში, ადვილად ადაპტირდებიან მოზრდილობის ასაკში (Hartup, 1992; Ladd, 2000). რამდენადაც სწრაფად ადაპტირდება ბავშვი საბავშვო ბაღისადმი, მით უფრო ჰარმონიულია შემდეგ მისი განვითარება და მომზადება სკოლისათვის. ბავშვს, რომელსაც უჭირს ურთიერთობა სხვა ბავშვებთან აქვს დაბალი მოსწრება და ადაპტაციის სირთულეები სკოლაში. (Katz & McClellen, 1997).

ზემოაღნიშნულ კვლევებში არ არის განხილული საბავშვო ბაღისადმი ბავშვების ადაპტაციური პერიოდის სირთულეების დაძლევის საშუალებების შემუშავება. ამ ფაქტმა განაპირობა ჩვენი საკვლევი თემის :“საბავშვო ბაღისადმი ბავშვთა სოციალური ადაპტაციის პედაგოგიური ასპექტი“- ს არჩევა.

### **სადოქტორო ნაშრომის მიზანი**

1. ბავშვის საბავშვო ბაღისადმი სოციალური ადაპტაციის განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა და დიაგნოსტიკა.
2. სოციალური ადაპტაციის სირთულეების დაძლევის საშუალებების შემუშავება სპეციალურად შერჩეული მოძრავი თამაშების გამოყენებით.

### **კვლევითი ამოცანები**

სადისერტაციო ნაშრომის მიზნების შესასრულებლად შემდეგი კვლევითი ამოცანები დაისვა:

- საბავშვო ბაღისადმი ბავშვების სოციალური ადაპტაციის არსის თეორიული ანალიზის ჩატარება;
- საბავშვო ბაღისადმი ბავშვების ადაპტაციური პერიოდის სირთულეების გამოვლენა და დიაგნოსტიკა.
- საბავშვო ბაღისადმი ბავშვების ადაპტაციის სირთულეების დაძლევის საშუალებების შემუშავება და აპრობირება.

### **კვლევითი ჰიპოთეზები**

- საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის პერიოდი ხასიათდება მაღალი შფოთვის დონით;
- ადაპტაციური პერიოდი დაკავშირებულია უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობის რესტრუქტურისაგან;
- სპეციალურად შერჩეული მოძრავი თამაშების გამოყენება ხელს უწყობს სოციალური ადაპტაციის პროცესში სირთულეების დაძლევას.

## გზამკვლევი ნაშრომის სტრუქტურაში

ნაშრომი შეიცავს შესავალს და ექვს თავს.

შესავალ ნაწილში წარმოდგენილია საკვლევი პრობლემის არსი და აქტუალობა, კვლევითი მიზანი, ამოცანები და ჰიპოთეზები.

პირველ თავში წარმოდგენილია საბავშვო ბალისადმი ბავშვთა სოციალური ადაპტაციის პრობლემის თეორიული ანალიზი.

მეორე თავი წარმოადგენს საბავშვო ბალის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის სირთულეების კვლევას.

მესამე თავი წარმოადგენს პედაგოგიურ ექსპერიმენტს.

მეოთხე თავი წარმოადგენს დამატებით კვლევას, სადაც ასახულია ბავშვთა შფოთვის დონის შედარება საბავშვო ბალისადმი ადაპტაციის პერიოდში ქ. თბილისის ცენტრისა და პერიფერიაში მდებარე სკოლამდელ დაწესებულებებში.

მეხუთე თავში მოცემულია სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დასკვნები.

მეექვსე თავში მოყვანილია დასკვნების შედეგების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები.

ნაშრომს ასევე თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და 5 დანართი, 15 ცხრილი და 2 დიაგრამა.



## თავი I.

### საბავშვო ბაღისადმი ბავშვთა სოციალური ადაპტაციის პრობლემის თეორიული ანალიზი

#### 1.1. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის თავისებურებები

ადაპტაცია, როგორც ცნობილია, ნიშნავს ორგანიზმის სტრუქტურათა და ფუნქციათა, მისი უჯრედოვანი სისტემების, ორგანოების შეგუებას გარემო პირობებისადმი. ცხოველები ეგუებიან ამა თუ იმ საარსებო გარემოს: თევზები ცხოვრობენ წყალში, ფრინველები - ჰაერში, ადამიანიც ეგუება გარკვეულ კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებს. ესაა ბიოლოგიური ადაპტაცია. მაგრამ, ადამიანს, რომელიც ცხოვრობს ცვალებად სოციალურ პირობებში, ასევე უნდა ქონდეს უნარი შეეგუოს მათ, რადგანაც ნებისმიერი სოციალური გარემო (სამუშაო, ოჯახი და სხვა) მოითხოვს ადამიანისგან მისთვის ადეკვატურ ქცევას ფორმებს, ანუ, გარდა ბიოლოგიურისა, ადამიანს აქვს სოციალური ადაპტაციის უნარიც.

სოციალური ადაპტაცია - ესაა ადამიანის, პიროვნების შეგუება პირობებისადმი, ქცევის წესებისადმი, პრინციპებისადმი, ეტიკეტისადმი საზოგადოებაში, ამ საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისად, აგრეთვე, პიროვნების ინდივიდუალური თვისებების, ფსიქიკის თავისებურებების გათვალისწინებით. სხვა სიტყვებით, ესაა ურთიერთკონტაქტი, ინდივიდის კომუნიკაცია გარშემომყოფ ადამიანებთან, მისი აქტიური მოქმედება ადამიანთა შორის. მას ორი ასპექტი გააჩნია. პირველი - პიროვნების მიჩვევის პროცესი მისთვის ახალ სოციალურ გარემოსთან; ძველი სტერეოტიპის ნგრევის პროცესი და ახლის თანდათანობითი აწყობის პროცესი, ადამიანისა და მისი გარემოს ჰარმონიზაცია. მეორე - პიროვნების სოციალიზაციის, მისი აღზრდისა და თვითგანვითარების შედეგია.

სოციალური ადაპტაცია არ ნიშნავს ადამიანის გარემოებებისადმი დამორჩილებას, საკუთარი თავის დაკარგვას. პირიქით, ადაპტაციის პროცესში პიროვნება იძენს სასიცოცხლო სიმყარეს თავისი მიზნებისკენ სწრაფვაში, თავისი ინდივიდუალობის განვითარებაში. ადამიანი, როგორც საზოგადოებრივი არსება შეუსაბამებს საკუთარ სამყაროს და საკუთარ მოქმედებებს გარემოს. განსხვავებული ხარისხით იგი თვითმონიტორია, ანუ, აქცევს ყურადღებას საკუთარ ქცევას და ახდენს მის რეგულაციას, რათა სასურველი შთაბეჭდილება მოახდინოს.

მაშ, როგორ უყალიბდება ბავშვს ადაპტაციის უნარები? რამდენად შეიძლება ჩავთვალოთ იგი თანდაყოლილ თვისებად და რას იძენს განვითარების პროცესში?

თავისთავად ბავშვის დაბადება - ორგანიზმის ბიოლოგიური ადაპტაციის პირველი ნათელი გამოვლენაა. მუცლად ყოფნის არსებობიდან არამუცლად ყოფნის არსებობაში გადასვლის პირობები მოითხოვს ყველა ძირითადი სისტემის მოქმედების ძირეულ ცვლილებას: სისხლის მიმოქცევის, სუნთქვის, საჭმლის მონელების. ეს სისტემები დაბადების მომენტისთვის უნდა ფლობდნენ ფუნქციური გადახალისების განხორციელების შესაძლებლობას, ანუ, უნდა არსებობდეს ყველა ადაპტაციური მექანიზმის შესაფერისი თანშობილი დონე .

პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ჩვილი სრულიად, ან თითქმის სრულიად ასოციალური არსებაა. მას არა აქვს სოციალური ურთიერთობის ძირითადი საშუალება - ადამიანური მეტყველება. მისი ცხოველქმედება ამოიწურება უმარტივესი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით. ის დიდწილად უფრო ობიექტია, ვიდრე სუბიექტი, ანუ, სოციალური ურთიერთობის აქტიური მონაწილე. აქედან ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ჩვილობის პერიოდი წარმოადგენს ბავშვის განვითარების ასოციალურ პერიოდს, რომ ჩვილი ბავშვი წმინდად ბიოლოგიური არსებაა, მოკლებული სპეციფიკურ ადამიანურ თვისებებს და, პირველ რიგში, მათ შორის ძირითადს - სოციალურობას.

სინამდვილეში ჩვენ ჩვილობის ასაკშიც ვხვდებით ბავშვის სრულიად თავისებურ, სპეციფიკურ სოციალურობას, რომელიც ორი ძირითადი მომენტიტაა განსაზღვრული.

პირველი მდგომარეობს ჩვილის სრულ ბიოლოგიურ უსუსურობაში. მას არ გააჩნია უნარი თავად დაიკმაყოფილოს არც ერთი სასიცოცხლო მოთხოვნილება. ჩვილის კვება და გადაადგილება, მისი გადაბრუნებაც კი მხოლოდ მოზრდლის დახმარებით ხდება. ამრიგად, ბავშვის პირველი კონტაქტი რეალობასთან (ყველაზე ელემენტარული ბიოლოგიური ფუნქციების შესრულებისასაც კი) მთლიანად სოციალურად გაშუალებულია.

მეორე თავისებურება, რომელიც ახასიათებს ჩვილობის ასაკში განვითარების სოციალურ სიტუაციას, მდგომარეობს იმაში, რომ მოზრდილებზე მაქსიმალურად დამოკიდებულებისას, ბავშვი მოკლებულია სოციალური ურთიერთობის ძირითად საშუალებას ადამიანური მეტყველების სახით. სწორედ ეს მეორე ნიშანი გაერთიანებული პირველთან ქმნის სოციალური სიტუაციის თავისებურებას, რომელშიც ვპოულობთ ბავშვს (Выготский, 1984).

სიცოცხლის მთელი ორგანიზაციით იგი იძულებული ხდება მოზრდილებთან მაქსიმალურად იურთიერთოს. ჯანმრთელი ახალშობილი საკმარისად სწრაფად ეგუება არამუცლადყოფნის პირობებში არსებობას. ისევე, როგორც სხვა ფუნქციური სისტემები, ადაპტაციური მექანიზმების სისტემა აგრძელებს წლების მანძილზე მომწიფებასა და სრულყოფას ბავშვის შემდგომ განვითარებაში.

ამ სისტემის ჩარჩოებში სოციალური ადაპტაციის შესაძლებლობა ყალიბდება უკვე დაბადების მერე (ქცევის სოციალური ნორმების შეძენისამებრ და მისი სიცოცხლის სოციალური პირობების ჩარჩოების გაფართოებისამებრ). ჩვეულ ოჯახურ გარემოში ბავშვს უჩნდება გარქვეული ქცევითი რეაქციები.

მაგრამ ბავშვის ცხოვრებაში გარდაუვალია პირობების განსხვავებული ცვლილებები, რომლებთანაც აუცილებელია შეგუება. თუ პირობები იცვლება, ბავშვი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, მან უნდა შეცვალოს ქცევის ჩვეული ფორმები. ასეთი გარემოებები მოითხოვენ ადაპტაციური მექანიზმების სისტემის გარკვეულ დამაბვას.

მკვლევართა ერთი ნაწილი (Тонкова-Ямпольская и др.,1980) ხაზს უსვამს ბავშვების ახალ გარემოსადმი ადაპტაციის ფიზიოლოგიურ ასპექტს. მათი აზრით, ბავშვებს, განსაკუთრებით ადრეული ასაკის, ახასიათებთ ადაპტაციური სისტემების ფიზიოლოგიური მოუმწიფებლობა, ამიტომ, ახალი შეცვლილი პირობებისადმი შეგუება ხშირად იწვევს მთელ რიგ ქცევით დარღვევებს. სიცოცხლის პირობების შეცვლა, როგორც წესი, დაკავშირებულია გადახალისების აუცილებლობასთან, ადრე აწყობილი სტერეოტიპების ნგრევასთან, რაც რთული ამოცანაა ნერვული პროცესების არასაკმარისი მოქნილობის (ძვრადობის) პირობებში და თხოულობს დიდ დამაბვას.

ჩამოყალიბებული სტერეოტიპების ხშირი ცვლილება არღვევს ბავშვის მთელ ქცევას: მილს, მადას, ჩნდება არაადეკვატური რეაქციები, გაძლიერებული გაღიზიანებადობის მდგომარეობა. აწყობილი ქცევის სისტემის ნებისმიერი შეცვლა მოითხოვს ადრე გამყარებული რეაქციების შეკავებას და ახალი რეაქციების სწრაფ გაჩენას, რაც 3 წლამდე ბავშვებისთვის შეკავების პროცესების სისუსტისა და ნერვული პროცესების შედარებით მცირე ძვრადობისას დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული. იმას, თუ რამდენად ახერხებს ბავშვი ამ სიძნელებთან გამკლავებას დიდწილად დამოკიდებულია ადაპტაციური მექანიზმების სისტემის ფუნქციურ შესაძლებლობებზე.

ადაპტაციური მექანიზმების სისტემის ფუნქციური შესაძლებლობები განისაზღვრება რამდენიმე ფაქტორით;

1. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და განვითარების დონით. ჯანმრთელ, კარგად განვითარებულ ბავშვს გააჩნია ორგანიზმის ყველა სისტემათა მეტი ფუნქციური აქტივობა, მათ შორის, ადაპტაციური მექანიზმების სისტემისაც. ის უფრო ადვილად ძლევს ნებისმიერ სირთულეს;
2. ადაპტაციური მექანიზმების ფუნქციური შესაძლებლობისათვის მნიშვნელობა აქვს გარემოს დადებით ზეგავლენას, კერძოდ, ბავშვისთვის მისი ასაკის შესაფერისი სწორი რეჟიმის უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება ქრონიკულ დაღლილობას, ნერვულ-ფსიქიკური განვითარების აშლილობას. ბავშვს არ უყალიბდება ის ჩვევები და უნარები, რომლებიც

შესაბამება ასაკს, ირღვევა ასაკის შესაბამისი სოციალური მოთხოვნილებების ჩამოყალიბების ნორმალური რიტმი.

3. ადაპტაციური მექანიზმების სრულყოფისთვის მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის ადაპტაციური შესაძლებლობების დონეს ქცევის ფორმების გადახალისებაში შეცვლილი სოციალური პირობების შესაბამისად. იგი მოითხოვს გარკვეულ ვარჯიშს, რომელიც რთულდება ასაკთან ერთად.

ახალი სოციალური პირობებისადმი ბავშვის შეჩვევის პერიოდი იყოფა 3 ეტაპად:

1. *მწვავე პერიოდი* ან დეზადაპტაციის პერიოდი, როცა არის მეტ-ნაკლებად გამოვლენილი შეუთანხმებლობა ჩვეულ ქცევით სტერეოტიპებსა და ახალ მიკროსოციალური გარემოს მოთხოვნებს შორის. ამ დროს ყველაზე უფრო ვლინდება ცვლილებები ურთიერთობებში მოზრდილებთან და თანატოლებთან, სამეტყველო აქტივობაში, თამაშში, არის ცვლილება ნერვული სისტემის მოქმედებაში;
2. *ქვემწვავე პერიოდი* ან საკუთრივ ადაპტაცია, როცა ბავშვი აქტიურად აითვისებს ახალ გარემოს, გამოიმუშავებს მის შესაბამის ქცევის ფორმებს;
3. *კომპენსაციის ან ადაპტირებულობის პერიოდი* მოცემული სოციალური პირობებისადმი, როცა ბავშვის მდგომარეობა ნორმალიზდება.

სიმძიმის ხარისხის მიხედვით ადაპტაცია კლასიფიცირდება მსუბუქ, საშუალო და მძიმედ.

მსუბუქი ადაპტაციისას ადრეული ასაკის ბავშვთა ქცევა ნორმალიზდება ერთი თვის განმავლობაში, სკოლამდელეთან - 10-15 დღეში საშუალო სიმძიმის ადაპტაციის დროს ბავშვის ქცევის ყველა დარღვევა გამოვლენილია უფრო ცხადად და ხანგრძლივად. აქტივობის დათრგუნვის პერიოდი გრძელდება საშუალოდ 20 დღე. მძიმე ადაპტაცია ხასიათდება მნიშვნელოვანი ხანგრძლივობით (2-დან 6 თვემდე) და მისი გამოვლინებების სიმძიმით, რასაც მოყვება აქტივობის დაქვეითება. ბავშვი, როგორც წესი, თავს არიდებს სხვა ბავშვებთან კონტაქტს, ავლენს მათ მიმართ აგრესიას ან განმარტოებას ესწრაფვის. მოზრდილებისადმი დამოკიდებულება შერჩევითია. ემოციური მდგომარეობა ხანგრძლივად არის

დარღვეული (Тонкова-Ямпольская и др. 1980). ბავშვის ფსიქიკა განიცდის განვითარების ძლიერ ამოფრქვევას და ხდება განსაკუთრებით მგრძნობიარე განვითარების დამამძიმებელი გარემოებებისადმი.

სკოლამდელ დაწესებულებისადმი მიჩვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ როგორი აღზრდის პირობებია ოჯახში (თუ არ არის აღზრდის ერთიანობა ოჯახში და საბავშვო ბაღში, არის აღზრდის მეთოდების მკვეთრი ცვლილება და ბავშვებში ადაპტაციური მექანიზმების არასაკმარისი განვითარება).

განსხვავებულად ეგუებიან გარემოს ერთი და იგივე ასაკის ბავშვები ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური და უმაღლესი ნერვული სისტემის თავისებურებების მიხედვით. ჩამოყალიბებული დინამიკური სტერეოტიპის გადახალისება დამოკიდებულია პროცესების ძალაზე, მათ ძვრადობაზე და გაწონასწორებულობაზე. ამიტომ, ბუნებრივია, განსხვავებული ტიპოლოგიური თავისებურებების ბავშვები, განსხვავებულად რეაგირებენ მანამდე ჩამოყალიბებული სტერეოტიპების შეცვლაზე. ისინი ტირიან განშორებისას, უარს ამბობენ ჭამაზე, ძილაზე, აპროტესტებენ აღმზრდელის ყველა შეთავაზებას, მაგრამ, 2-3 დღეში შედიან რეჟიმში და თავს კარგად გრძობენ. სხვები, პირიქით, პირველი დღეები გარეგნულად მშვიდად არიან, სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებენ აღმზრდელის მოთხოვნებს, შემდეგომ დღეებში კი იწყებენ ტირილს, დიდი ხნის განმავლობაში ცუდად ჭამენ, არ თამაშობენ და ძნელად ეგუებიან საბავშვო ბაღს.

ბავშვები, რომლებსაც აქვთ ტიპოლოგიური მიმართულება ძლიერი გაწონასწორებული ტიპისკენ, უფრო ადრე და სწრაფად ადაპტირდებიან ახალ გარემოში, ხოლო ბავშვები ტიპოლოგიური მიმართულებით სუსტი ტიპისკენ ეგუებიან ყველაფერ ახალს მძიმედ და ნელა.

ადაპტაციური პერიოდის მიმდინარეობა დამოკიდებულია წინა გამოცდილებაზე, კერძოდ, ნერვული სისტემის ვარჯიშის არსებობაზე ან არარსებობაზე. ბავშვები, რომლებიც საბავშვო ბაღში მისვლისას ურთიერთობდნენ ბევრ მოზრდილთან, სხვადასხვა ბავშვთან, მიიღეს მრავალფეროვანი შთაბეჭდილებები, ცხოვრობდნენ მრავალფეროვან პირობებში (სოფელში ბებიასთან

და სხვა), უფრო ადვილად ეგუებიან ახალ პირობებს, ვიდრე ბავშვები, რომელთა ცხოვრება ერთფეროვანია, და მრავალი მათგანი ურთიერთობდა მხოლოდ მოზრდილებთან.

ადაპტაციური პერიოდის მიმდინარეობაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ფსიქიკური განვითარების დონე. ერთი და იგივე ასაკის ბავშვებს შორის განვითარების უფრო მაღალი დონის ბავშვი ეჩვევა, როგორც წესი, უფრო ადვილად.

ამ პრობლემის დადებითი გადაწყვეტა შეიძლება მიღწეული იყოს:

1. აღზრდის სისტემის ერთიანობის დაწესებით ოჯახში და საბავშვო ბაღში;
2. საბავშვო ბაღში ბავშვის ყოფნის სწორი ორგანიზაციით;
3. ახლადშემოსულ ბავშვთან ინდივიდუალური მიდგომით მისი წინა გამოცდილებისა და ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად.

არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ბავშვი უნდა დავიცვათ სოციალური სიტუაციისგან. პირიქით, ადრეული ბავშვობიდან უნდა ვავარჯიშოთ ადაპტაციური მექანიზმების სისტემა, გავზარდოთ მისი შესაძლებლობები, რომელთა გარეშე ადამიანი ვერ მოახერხებს ადეკვატურად მოქცევას ხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში.

ნებისმიერი ადაპტაცია გარემო პირობების უცაბედი ცვლილებისადმი მოითხოვს ახალი სტერეოტიპის გამომუშავებას ან ჩვეული მეტ-ნაკლებად მყარი ჩვევებისა და ქცევის ფორმების გადახალისებას.

თითქმის ყველა ბავშვს საბავშვო ბაღში შესვლის მერე პირველ ხანს ერღვევა ემოციური მდომარეობა და ქცევით რეაქციათა რიგი. ეს მოვლენები განსხვავებული ხარისხით და ხანგრძლივობით ვლინდებიან. შემდგომში ბავშვები სავსებით ადეკვატურად რეაგირებენ მიკროსოციალური გარემოს ახალ პირობებზე და რიგი მაჩვენებლით უფრო მაღალგანვითარებულები არიან, ვიდრე მათი თანატოლები, რომლებიც იჯახში იზრდებიან. მხოლოდ ზოგი ბავშვი ეგუება უფრო დიდხანს და მძიმედ.

კანონზომიერად ჩნდება კითხვები: არის თუ არა ქცევის დარღვევა საბავშვო ბაღში შესვლისას აუცილებელი ბავშვისთვის? რა ფაქტორებზეა დამოკიდებული მათი გამოვლენა?

სანამ ბავშვთა ქცევაში გადახრების მიზეზებზე ვილაპარაკებთ, უნდა განვსაზღვროთ, რა არის არაადეკვატური რეაქციები?

მათ განეკუთვნება:

*სიჯიუტე*, ანუ, მოზრდილთა დასაბუთებული მოთხოვნებისადმი დამორჩილებაზე უარის თქმა. მაგალითად, დასაძინებლად წასვლა, საჭმელად წასვლა, ხელის დასაბანად წასვლა, პალტოს ჩაცმა და ა.შ. ;

*კაპრიზები (ჭირვეულობა)*, რაც ვლინდება იმაში, რომ ბავშვი გამოთქვამს რაიმე სურვილს, ხოლო მისი დაკმაყოფილების მცდელობისას უარს ამბობს მასზე. მაგალითად, ითხოვს თოჯინას, და როცა სთავაზობენ მას ამბობს :“არ მინდა ასეთი, სხვანაირი მინდა!“ თან, ყველა უარი ტირილის თანხლებით. სრულიად უმნიშვნელო მიზეზი იწვევს ასეთ ბავშვებში არამოტივირებულ ტირილს;

დადებითი დამოკიდებულების გამოწვევის ნებისმიერი მცდელობა წარუმატებელია;

*ბავშვებთან კონტაქტზე უარის თქმა*, როცა ბავშვი განმარტოვდება, მარტო თამაშობს, ბავშვებისგან მოშორებით, ტირის, როცა ბავშვები მიდიან მასთან, თავს აბრუნებს, არ ელაპარაკება მათ, არ უნდა ჯგუფურ თამაშებში და მეცადინეობებში მონაწილეობა;

*სამოდრაო შეუკავებლობა*, როცა ბავშვი ძალიან მოძრავია, არ შეუძლია რამე საქმიანობაზე კონცენტრირება, სწრაფად გადადის საგნიდან საგანზე, არა აქვს სტაბილური ყურადღების უნარი მეცადინეობისას, თამაშების დროს, უშლის ხელს სხვა ბავშვებს თამაშში; აგრესიულია - ხელს კრავს, ჩხუბობს, ყვირის, ართმევს სათამაშოებს, ამტვრევს მათ.

რაშინა არაადეკვატური ქცევის მიზეზები?

ზოგ ბავშვს აქვს ე.წ. საბავშვო ნერვიულობის თანდაყოლილი მიდრეკილება. არსებობს შთამომავლობითი მიდრეკილება ნერვული სისტემის გარკვეული ტიპისადმი, რომელიც ხასიათდება არამყარი ნერვული მოქმედებით, ნერვული



სისტემის ადვილი აგზნებადობით. ნევროტული რეაქციები შეიძლება გართულებული ორსულობით ან მშობიარობით იყოს გამოწვეული, მაგალითად, ნაყოფის ჟანგბადით არასაკმარისი მომარაგებით. ამ დროს ნერვიულობის ნიშნები ვლინდება უკვე ბავშვის დაბადებიდან პირველსავე დღეებში: ის ბევრს ტირის, ხშირად იღვიძებს და სხვა.

სიცოცხლის პირველი თვეებიდან იწყებენ ზემოქმედებას სოციალური ფაქტორები, არასწორი აღზრდითი მიდგომები.

ბავშვის მომატებული აგზნებადობის ან დუნე, პასიური მდგომარეობის მნიშვნელოვან მიზეზს შეიძლება წარმოადგენდეს აქტიური მოქმედების, მაგალითად, მოძრაობის პირობების არარსებობა. ბავშვებს სჭირდებათ მრავალფეროვანი შთაბეჭდილებები და აუცილებლად ურთიერთობა მოზრდილებთან.

ნერვული სისტემის აგზნებადობის დარღვევას იწვევს გადაღლა, რომელიც უნდა განვასხვავოთ გადაღლისგან, რომელიც წარმოადგენს ობიექტურ ფიზიოლოგიურ რეაქციას ხანგრძლივ აქტიურ მოქმედებაზე. ზოგჯერ დაღლა ვლინდება ჭირვეულობაში, მოტორულ შეუკავებლობაში, ნეგატივიზმში.

ბავშვი ასეთ მდგომარეობამდე მიყავს, პირველ რიგში, რეჟიმის დარღვევას, აგრეთვე, ასაკისთვის შეუსაბამო მოქმედებას დაქვეითებული მოტორული აქტივობის პირობებში. ნერვული სისტემის გადაღლა, განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების და ინტენსიური განვითარების პერიოდში, უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ჯანმრთელობაზეც და ქცევაზე.

გადახრები ბავშვის ქცევაში ჩნდება ნებისმიერი ზემოქმედებისას, კერძოდ, სკოლამდელ დაწესებულებაში შესვლისას. ემოციური განწყობის დარღვევა, აქედან ქცევითი რეაქციების არაადეკვატურობაც - ბავშვთა ფსიქიკური დამაბულობის, შფოთვის დონის აწევის შედეგია.

ემოციები მთავარ როლს ასრულებს ადამიანის ყველა წამოწყებაში, მათ შორის კოგნიტურ დამუშავებაში, სოციალურ ქცევასა და ფიზიკურ ჯანმრთელობაში. ემოციები დიდ როლს ასრულებს თვითანალიზშიც, რომელიც თავის მხრივ თვითშეფასების ახალ ემოციებს წარმოშობს. იმისათვის, რომ ბავშვები შეეგუონ

საკუთარ ფიზიკურ და სოციალურ სამყაროს, თანდათანობით უნდა დაეუფლონ საკუთარ ემოციების ნებაყოფლობით კონტროლს.

სკოლამდელ პერიოდში ბავშვები საკუთარი კულტურის ემოციის გამოხატვის წესებთან შეწყობას იწყებენ, მაგრამ ადაპტირება მხოლოდ თანდათანობით ხდება ბავშვობის ასაკის შუა პერიოდში ისინი შეგნებულად ეცნობიან ამ წესებს და სოციალური ჰარმონიისთვის მათ მნიშვნელობას აცნობიერებენ.

იმ მშობლების ბავშვებს, რომლებიც შვილებთან თბილ ურთიერთობას ამყარებენ, აცნობიერებენ ემოციურ რეაქციებს და ბავშვებს ემოციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდიან, ემოციის გაგების (აღქმის) უკეთესი შესაძლებლობები აქვთ. თანატოლებთან ინტერაქცია ემოციის სწავლის შესანიშნავი საშუალებაა (ბერკი, 2010).

ბოლო წლებში შეინიშნება მზარდი ინტერესი ემოციების შესწავლისადმი, მათი გამოხატვის ინტენსივობისა და რეგულირების თვალსაზრისით. ასეთი ყურადღება ამ საკითხის მიმართ დაკავშირებულია იმის აღიარებასთან, რომ ემოციების რეგულირება გავლენას ახდენს ბავშვთა სოციალურ ურთიერთდამოკიდებულებების ხარისხზე (Garber & Dodge, 1991).

რუბინი, კოპლანი და სხვ. აღიარებენ ემოციური გამოვლინებების ფუნქციონალურ მნიშვნელობას ინფორმაციის გადაცემაზე სოციალური ურთიერთობის პროცესში. მაგ., რისხვა შეიძლება გამოვლინდეს უარყოფით სიტუაციაში, დაძაბულობა-როგორც რეაქცია ახალ სიტუაციაზე.

ბავშვები, რომლებსაც არ შეუძლიათ საკუთარი ემოციების რეგულირება შესაძლოა თანატოლთა ჯგუფში იზოლაციაში აღმოჩნდნენ. თავიდანვე მათი იზოლაციაში ყოფნა კი ხელს უშლის თანატოლებთან ურთიერთობის გამოცდილების მიღებაში და ავლენს მათ როგორც სოციალურად არაკომპეტენტურებს. სოციალური არაკომპეტენტურობა და უარყოფითი დამოკიდებულება თანატოლთა მხრიდან შესაძლოა მათში დაბალი თვითშეფასების მიზეზი გახდეს.

ბავშვი, რომელსაც უჭირს რისხვის რეგულირება და ავლენს აგრესიას თანატოლების მიმართ, უარყოფილია ჯგუფის მიერ (Rubin, Coplan and all, 1995).

ემოციების ერთ-ერთ სახეს შფოთვა წარმოადგენს. შფოთვა, როგორც ცნობილია, არის ფსიქიკური მდგომარეობა სტრესორის, ფრუსტრატორის ზემოქმედების გაცნობიერებული ან გაუცნობიერებული მოლოდინისა (სელლივანი, დევისი, საიმონდს, მეი და სხვები). მკვლევართა უმრავლესობა ხაზს უსვამს იმ მოთხოვნების სოციალურ ხასიათს, რომლის ფრუსტრაცია იწვევს შფოთვას. ასეთი შეიძლება იყოს ჯგუფში გარკვეული სტატუსის მოთხოვნის დაკმაყოფილების, ბავშვებისთვის ასეთ სოციალურ მოთხოვნებს წარმოადგენს უკმაყოფილების გამოწვევის შიში.

შფოთვის მაღალი დონე, როგორც პიროვნების შექმნილი თვისება, გულისხმობს ისეთ მომენტებს, როგორებიცაა: ემოციური სიტუაციებისადმი მაღალი მგრძობელობა, საკუთარ ძალებში არაცნობიერი დაურწმუნებლობა, საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების ინდივიდისთვის დამაკმაყოფილებელი ჩვეული პოზიციის შენარჩუნების მიდრეკილება, მძაფრი ემოციური რეაქციის გაჩენა, როდესაც ჩვეულ პოზიციას ცვლილების საფრთხე ექმნება, აგრეთვე, სოციალური მოლოდინების ვერგამართლების, გარშემომყოფთა კეთილგანწყობის დაკარგვის შიში.

შფოთვის დაბალი დონის მქონე ბავშვები თითქმის ყოველთვის ადეკვატურად რეაგირებენ წარმატებასა და წარუმატებლობაზე, თუმცა, არ შეიძლება მტკიცება, რომ შფოთვის მაღალი დონე აუცილებლად იწვევს რეაგირების არაადეკვატურობას.

ამერიკულ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში, მიუთითებენ შფოთვის დონისა და ინდივიდის პრეტენზიის დონის ურთიერთდამოკიდებულებას. მაღალი შფოთვის დონის ადამიანები ავლენენ უფრო მაღალ პრეტენზიის დონეს, დაბალი შფოთვის დონის ინდივიდებთან შედარებით, რაც ავტორების მიერ აიხსნება იმით, რომ შინაგანი თვითდამკვიდრების გრძობის დეფიციტი აამოქმედებს კომპენსატორულ მექანიზმებს, რომელთა შორის ერთ-ერთია „მაღალი მიზნების“ დასახვა.

ამავე ავტორებთან შფოთვა განსაზღვრულია, როგორც „შექმნილი ზემოგრძობელობა ანტიციპირებული სიტუაციებისადმი, რომლებიც შეიცავენ საფრთხეს“ სწორედ თვითდამკვიდრებისთვის. ფაქტიურად პრეტენზიის მაღალი დონეც და შფოთვის მაღალი დონეც აღმოჩნდა უფრო ღრმად მდებარე ფაქტორის - საკუთარ თავში დაურწმუნებლობის - ფუნქცია (იმედაძე, 1966).

ჯერ კიდევ 1995 წელს ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი ს. ქემბელი წერდა „კვლევათა სიმცირის გამო ჩვენ ვიცით ძალიან ცოტა შფოთვის პრობლემაზე სკოლამდელებთან“. მდგომარეობა არ შეიცვალა ახალ საუკუნის დასაწყისშიც : 2001 წელს ცნობილ ჟურნალში „ Behaviour Research and Theraphy“ 4 ავსტრალიელი მკვლევარის ( Susan Spence, Ronald Rapee, Casay Mcdonald, Michelle Ingram) ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაში „შფოთვის სიმპტომების სტრუქტურა სკოლამდელებში“ ისევ ხაზს გასმულია, რომ არსებობს მინიმალური ინფორმაცია სკოლამდელებში შფოთვითი დარღვევების შესახებ, თუმცა სკოლამდელები ხშირად ავლენენ ქცევაში იმას, რასაც უწოდებენ შფოთვით დარღვევებს, ისეთებს როგორცაა განცალკევების (სეპარაციის) შფოთვა, სოციალური ფობია და სხვ. ავტორებს მიაჩნიათ, რომ არსებობს აქტუალური საჭიროება სკოლამდელთა კვლევისა სკალების საშუალებით, რომელიც ფოკუსირებული იქნება შფოთვის დარღვევებზე. ამის გარდა ავტორები აღნიშნავენ, რომ ცოტა რამ არის ცნობილი მაღალი შფოთვის მქონე ბავშვთა ქცევით შედეგებზე და სკოლამდელთა შფოთვის სტაბილობის შესახებ. აგრეთვე არსებობს მხოლოდ მინიმალური მონაცემები სკოლამდელთა შფოთვის პრობლემების ეტიოლოგიის (წარმოშობის) შესახებ და იმ ფაქტორთა შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ რომელ ბავშვებთან გრძელდება შფოთვის პრობლემები შემდეგშიც, და რომელი ბავშვები გადალახავენ მათ. ამ კითხვებზე საპასუხოდ ძირითად ბარიერს ქმნის ადექვატური და ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის ნაკლებობა. სწორედ ამას ცდილობენ ზემოთ დასახელებული ავტორები სპეციალური სკალის შემუშავებით, რომელიც უნდა ჩატარებულიყო ბავშვების მშობლებთან . მეთოდის თავში ჩვენ განვიხილავთ ამ მიდგომას (Campbell, 1995).

ქცევა ირღვევა ბავშვების ავადმყოფობის დროსაც: ხშირად ავადმყოფობის დასაწყისი ვლინდება სწორედ ქცევით რეაქციებში, ამიტომ, თუ ბავშვი აღარ იქცევა მისთვისთვის დამახასიათებლად, ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ.

უნდა გვახსოვდეს, რომ პატარა ბავშვის ორგანიზმი ფუნქციური უმწიფარობით ხასიათდება; გარემოს ცვალებადი პირობებისადმი, კერძოთ, ტემპერატურული

ცვალებადობისადმი შეგუება არასრულყოფილი აქვს, ამიტომ პატარა ადვილად ცივდება.

ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მისი ფსიქიკური განვითარება. თუ ბავშვები ხშირად ავადმყოფობენ, ისინი ხდებიან მოთენთილები, გაღიზიანებულები, მტირალეები და გარემოსადმი გულგრილები.

ბავშვის არაადეკვატურ ქცევას იწვევს არაჯანსაღი კლიმატი ოჯახში, რომელიც წარმოადგენს მისი ზნეობრივი გრძნობების, სოციალური ჩვევების აღზრდის პირველ სკოლას. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე და მის პიროვნებათაშორის ურთიერთობებზე, ესაა ატმოსფერო ოჯახში, მშობლებთან ემოციური კონტაქტის არსებობა, ბავშვის პოზიცია, ოჯახის სტრუქტურა.

სიყვარული, ზრუნვა, ყურადღება მოზრდილების მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვისთვის. ისინი მას დაცულობის გრძნობას აძლევენ, უზრუნველყოფენ ემოციურ წონასწორობას, რომელიც ამაღლებს თვითშეფასებას. მეორეს მხრივ, ემოციური დამოკიდებულების დეფიციტი, არასაკმარისი ყურადღება ახლობელი მოზრდილების მხრიდან ხელს უწყობს ბავშვებში ნევროტიზმის, შფოთვის გამოვლენას.

რაც უფრო მოზრდილია ბავშვი, მით უფრო ცხადად ვლინდება მისი რეაქცია კონფლიქტურ სიტუაციაზე. სოციალურად არაკეთილმოწყობილი ოჯახი - ხშირი წყაროა ე.წ. რთული ბავშვების, ასოციალური ქცევის უფროს ასაკში.

მნიშვნელოვანია, რომ ოჯახი იყოს სრული. სკოლამდელთა და უმცროსკლასელების მოუმწიფებელი კოგნიცია ართულებს მათ მიერ მშობლების განქორწინების მიზეზის გაგებას. პატარა ბავშვები ხშირად საკუთარ თავს ადანაშაულებენ და მშობლების განქორწინებას იღებენ, როგორც ნიშანს, რომ ორივე მშობელმა მიატოვეს ისინი (ბერკი 2010). მათ შეიძლება იწუწუნონ, გამოეკიდონ მშობლებს და გამოავლინონ განშორებით გამოწვეული შფოთვა.

კვლევამ, რომელიც ჩატარდა საბერძნეთის საბავშვო ბაღებში 30 ბავშვზე, რომელსაც ჰყავდა სრული და 30 ბავშვზე, რომელსაც ჰყავდა არასრული ოჯახი, გამოავლინა, რომ ოჯახური ატმოსფერო გავლენას ახდენს ბავშვის სოციალურ და

ემოციურ კეთილდღეობაზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მის სოციალურ ადაპტაციას საბავშვო ბაღისადმი და შემდგომ სკოლისადმი. მკვლევარების აზრით, საბავშვო ბაღს, რომელიც მიმართულია ბავშვის შემეცნებით, სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე, შეუძლია მნიშვნელოვანად დაეხმაროს ბავშვებს, ვინც ასეთ პატარა ასაკში შეხვდნენ ამგვარ ცხოვრებისეულ სირთულეებს (Babalish, and all, 2011).

მეცნიერებმა ჩაატარეს გამოკვლევა და მივიდნენ დასკვნამდე, რომ თუ ოჯახში მამა არაა, ბიჭი უფრო იჩაგრება უფროს სკოლამდელ ასაკში, გოგო კი უმცროს სკოლამდელ (უფროს სკოლამდელ ასაკში გოგონები ჩვეულებრივ თავს აიგივებენ დედასთან (Ньюкомн, 1997).

თუ დედა მარტო ზრდის ბავშვს, მას მხრებზე ორმაგი ტვირთი აწევს. მან უნდა გაზარდოს ბიჭი გამძლე, ძლიერი, მამაცი, განუვითაროს მამაკაცური თვისებები. გოგონებს აგრეთვე სჭირდება „მამაკაცის ხელი“. მიუხედავად ამისა, თუ ბავშვის აზრს ყურს უგდებენ, თუ მას პიროვნებად თვლიან, თუ თავისი ძალების შესაბამისად შრომაში მონაწილეობს, მაშინ არასრულ ოჯახშიც გაიზრდება ჯანმრთელი, სრულფასოვანი ბავშვი. ამასთან სრულ ოჯახებში ყოველთვის არაა შექმნილი სიკეთისა და ურთიერთდახმარების ატმოსფერო. ბავშვს ყოველთვის არ აქცევენ საჭირო ყურადღებას. დაკავებულობის გამო მშობლები ცოტას თამაშობენ მასთან, იშვიათად უკითხავენ წიგნებს. სწორედ ამიტომ წყდება ემოციური კავშირები ბავშვებთან. მშობლებმა ბავშვებს უნდა შეუქმნან დადებითი ემოციური ატმოსფერო: ჩათვალონ ის ოჯახის სრულფასოვან წევრად, პატივი სცენ, მოუსმინონ მის აზრს. უნდა გვახსოვდეს რომ ბავშვის ემოციური კარგადყოფნა - მისი ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის მთავარი პირობაა.

დარღვევები ბავშვის ქცევაში შეიძლება დაკავშირებული იყოს 3 წლის კრიზისთან. იმისთვის რომ გავიგოთ რა ხდება 3 წლის ასაკში, უნდა გავიაზროთ კრიზისის ის სიმპტომები, რომლების კრიზისს გამოაქვს წინა პლანზე. ესაა, პირველ რიგში, ნეგატივიზმი. როცა ბავშვის ნეგატივიზმზე ლაპარაკობენ, ის უნდა გავარჩიოთ ჩვეულებრივი ურჩობისაგან. ნეგატივიზმის დროს ბავშვის მთელი ქცევა ეწინააღმდეგება იმას, რასაც მას მოზრდილები სთავაზობენ. თუ ბავშვს არ უნდა

რაიმის გაკეთება იმიტომ, რომ ეს არ სიამოვნებს (მაგალითად, თამაშობს, ის კი დასაძინებლად მიყავთ, ძილი კი არ უნდა) - ეს არ წარმოადგენს ნეგატივიზმს. ეს უარი უნდა განვიხილოთ როგორც ბავშვის უარყოფითი რეაქცია მოზრდილთა მოთხოვნაზე, რომელიც ბავშვის ძლიერი სურვილითაა მოტივირებული.

*ნეგატივიზმი* - ეს ისეთი გამოვლინებებია ბავშვის ქცევაში, როცა მას არ უნდა რაიმის შესრულება მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ერთ-ერთმა უფროსმა შესთავაზა, ანუ ესაა რეაქცია არა მოქმედების შინაარსზე, არამედ, თვით მოზრდილების წინადადებაზე. წინააღმდეგობის მიდრეკილება, უკუღმა კეთების სწრაფვა - სწორე ესაა ნეგატივიზმი (Выготский, 1984).

3 წლის კრიზისის მეორე სიმპტომია - სიჯიუტე. თუ ნეგატივიზმი უნდა განვასხვავოთ ჩვეულებრივი ურჩობისან, სიჯიუტე - დაჟინებულობისგან. მაგალითად, ბავშვს უნდა რაიმის გაკეთება და დაჟინებულად მოითხოვს, რომ ეს გაკეთდეს. ეს არაა სიჯიუტე, ასეთი ქცევა გვხვდება 3 წლის კრიზისამდეც.

*სიჯიუტე* - ეს ბავშვის ისეთი რეაქციაა, როცა ის მოითხოვს რაღაცას იმიტომ, რომ ძალიან უნდა. მაგალითად, ბავშვს უძახიან სახლში ეზოდან: ის უარს ამბობს, მისთვის მოყავთ საბუთები, რომლებიც მას არწმუნებენ, მაგრამ ის აგრძელებს უარის თქმას იმისტომ, რომ უკვე უარი თქვა. სიჯიუტის მოტივი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ბავშვს არ უნდა თავის პირველად გადაწყვეტილებაზე უარის თქმა.

მესამე სიმპტომი ითვლება იმდენად ცენტრალურად სამწლიანი ბავშვებისთვის, რომ მთელს ასაკს მიანიჭეს *სიანჩხლის* დასახელება. ნეგატივიზმისგან სიანჩხლე განსხვავდება იმით, რომ იგი უპიროვნოა. თუ ნეგატივიზმი ყოველთვის მიმართულია მოზრდილის წინააღმდეგ, რომელიც მოცემულ მომენტში ამ თუ იმ მოქმედებისკენ უბიძგებს ბავშვს, სიანჩხლე უფრო მიმართულია ბავშვისთვის დაწესებული აღზრდის ნორმების წინააღმდეგ, ცხოვრების წესის წინააღმდეგ. იგი ვლინდება თავისებურ ბავშვურ უკმაყოფილებაში მთელი იმ ცხოვრების წესისადმი, რომელიც ჩამოყალიბდა 3 წლის განმავლობაში. სიანჩხლე სიჯიუტისგან განსხვავდება იმით, რომ იგი მიმართულია გარეთ, გარე სამყაროსკენ და განპირობებულია საკუთარი სურვილების გატანის მიდრეკილებით. მაგალითად, თუ ადრე ბავშვი მშვიდად რეაგირებდა იმაზე, რომ ხელჩაკიდებული დაყავდათ,

დამჯერი იყო, ახლა ის ამით უკმაყოფილოა, ეწინააღმდეგება იმას, რასაც „მას უშვებია“.

მეოთხე სიმპტომია *თავნებობა*. იგი მდგომარეობს ბავშვის დამოუკიდებლობის ტენდენციაში. ბავშვი ცდილობს ყველაფერი თითონ გააკეთოს და უარყოფითად რეაგირებს, თუ მოქმედების თავისუფლებას არ აძლევენ.

3 წლის კრიზისის ზემოთხსენებული სიმპტომები ართულებენ ბავშვის გარემომცხოვრებულ ადამიანებთან ურთიერთობას და ქმნიან ადაპტაციური პერიოდის სიმნელებს საბავშვო ბაღში.

ადაპტაციის პროცესის სამართავად ოჯახშიც და საბავშვო ბაღშიც აუცილებელია ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება. ასე, ბავშვების სიცოცხლის პირველი წლების დამახასიათებელი თავისებურებაა მათი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ძლიერი ტემპი. ცვლილებები ბავშვის განვითარებაში ხასიათდებიან არა მარტო მაღალი ტემპებით, არამედ გარკვეული თანმიმდევრობითაც. მეტყველების დაუფლებაში ბავშვი გაივლის გზას ღულუნიდან, ტიტინიდან, წაბაძვიდან, სიტყვების გამოთქმამდე და ფრაზების წარმოებამდე. თამაშის ქცევის დაუფლებაში - საგნებით მანიპულირებიდან ცალკეული მოქმედებამდე საგნებთან დანიშნულების მიხედვით, მათგან - საგნობრივ ქცევამდე, შემდეგ კი უკვე როლურ და სიუჟეტურ- როლურ თამაშებამდე. „უახლოესი განვითარების ზონის“ ცოდნა აუცილებელია აღმზრდელისთვის ბავშვის ჯგუფში შეყვანისას, რადგანაც ეს ხელს უწყობს გამოკვეთილად დადგენას რა არის უკვე ჩამოყალიბებული ბავშვში და რა უნდა ჩამოყალიბდეს.

თანატოლებთან ურთიერთობის აწყობის პროცესიც ხანგრძლივი და რთულია. იგი იწყება ხანმოკლე მოქმედებებით სხვა ბავშვების გვერდით, ერთობლივი მოქმედებებით. და მხოლოდ მოგვიანებით ეს ერთობლივი მოქმედებები ხანგრძლივდება.

სიცოცხლის პირველი დღეებიდან იწყება მოზრდილებთან ურთიერთობის ჩვევების განვითარება, რომლის პროცესში ბავშვი იძენს სოციალურ გამოცდილებას, შეიმეცნებს გარშემო სამყაროს, მას უყალიბდება მიჯაჭვულობა



ახლობლებთან. მოზრდილებთან ურთიერთობის შინაარსი სიცოცხლის პირველ თვეებში ემოციური ხასიათისაა: ბავშვი პასუხობს ღიმილზე ღიმილით, ცოცხალი სიხარულით ხვდება ახლობლებს. სიცოცხლის პირველი წლის მეორე ნახევარში ისინი რთავენ საგნებსა და სათამაშოებს ბავშვთან ურთიერთობისას. მეორე წელს ბავშვს უჩვენებენ სათამაშოს და ასწავლიან გარკვეული მოქმედებების გაკეთებას: ბურთის გორაობას, კოლოფების გახსნა-დახურვას, რგოლების აღებას და შემდეგ ჩამოცმას ღერძზე და ა.შ.

თუ მოზრდილები არ ჩართავენ სათამაშოს აღზრდის პროცესში, ბავშვი შეფერხდება ემოციური განვითარების სტადიაზე, ეს კი ამუხრუჭებს საგნებთან მოქმედების განვითარებას, რისი დაუფლებაც აუცილებელია ძირითადი ფსიქიკური პროცესების ნორმალური განვითარებისთვის.

თანდათანობით ურთიერთობის წრე ფართოვდება. 2-3 წლის ბავშვებს სწორი აღზრდის პირობებში შეუძლიათ კონტაქტში შესვლა არა მხოლოდ ახლობელ ან ნაცნობ, არამედ მათთვის ახალ მოზრდილებთან და ბავშვებთან.

ცნობილი ამერიკელი მკვლევარი უ. ბრონფენბრენერი გვთავაზობს ეკოლოგიური სისტემების მოდელს, რომლის მიხედვით ბავშვი ზრდის პროცესში ახდენს სასიცოცხლო გარემოს რესტრუქტირებას. ამ სისტემებს იგი უწოდებს მიკროსისტემას, ეზოსისტემას და მაკროსისტემას. მიკროსისტემა ეხება ინდივიდის ურთიერთქმედებას მის უახლოეს გარემოსთან: ოჯახი, საბავშვო ბაღი. (Bronfenbrenner, 1993).

ამრიგად, განხილული იყო ახალ სოციალურ პირობებთან ბავშვის მიჩვევის ეტაპები, მისი არაადეკვატური რეაქციები, რომლებიც ადაპტაციურ პერიოდში ვლინდება და მათი გაჩენის მიზეზები. ბავშვის განვითარების კანონზომიერებების ცოდნა, მათი გათვალისწინება აღმზრდელობით მუშაობაში დიდწილად შეუმსუბუქებს აღმზრდელს ბავშვის ადაპტაციის პროცესის მართვას საბავშვო ბაღში, აგრეთვე მის წინ მდგარი ამოცანის მიღწევა - ჩაუნერგოს ბავშვს კარგისკენ მისწრაფება და აღზარდოს თვისებები, რომლებიც აუცილებელია კოლექტივში საცხოვრებლად.

## 1.2. საბავშვო ბაღისადმი ბავშვთა ადაპტაციის პროცესზე ზეგავლენის ფაქტორები

ყველა ბავშვს დაბადებიდან უყალიბდება მშობლებთან ურთიერთობის დაბალანსებული სისტემა, რომელიც ფიქსირებული განწყობის სახით ეფუძნება ბავშვის შინაგან შესაძლებლობებს და გარე ზეგავლენებს მასზე.

ბავშვები საბავშვო ბაღში მოდიან განსხვავებული საოჯახო გარემოდან. და ეს გარემო მათ მიერ აღიქმება, როგორც ჩვეული, კომფორტული. საბავშვო ბაღში ბავშვი შეეჯახება რადიკალურად ახალ სიტუაციას. მას უწევს შეცვალოს ცხოვრების ჩვეული წესი, ქცევის გამომუშავებული სტერეოტიპი და შეუხამოს საბავშვო ბაღის მოთხოვნებს. ის დისკომფორტი, რომელსაც განიცდის ბავშვი სიტუაციის მკვეთრი შეცვლის გამო, იწვევს ნეგატიურ მოვლენებს ფსიქიკაში. საბავშვო ბაღთან შეგუების პერიოდი - ადაპტაცია, არსებითად არის მრავალდღიანი სტრესის მდგომარეობა, დათრგუნულობა, მოწყენა, დარდი. ნეგატიური მდგომარეობის ხანგრძლივობა და ინტენსივობა ბავშვებს სხვადასხვა აქვთ და დამოკიდებულია მთელ რიგ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზზე.

*ობიექტურ ფაქტორებს* განეკუთვნება: საბავშვო ბაღის ასაკობრივი გარემო (მისი მიმზიდველობა ბავშვისთვის); აღმზრდელის დამოკიდებულება ბავშვისადმი; თანატოლების კონტინგენტი, რომლებიც გარს არტყიან საბავშვო ბაღში.

*სუბიექტურ ფაქტორებს* განეკუთვნება: ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი ტემპერამენტი და ხასიათის თვისებები, რომლებსაც, პირველ რიგში, ოჯახში ეყრება საფუძველი.

განვიხილოთ ეს ფაქტორები უფრო დეტალურად.

დაბადებიდანვე ბავშვი ხვდება გარკვეულ ასაკობრივ გარემოში. მშობლები ზრუნავენ არა მხოლოდ მის ფიზიკურ მდგომარეობაზე, არამედ, ფსიქიკურზეც. ისინი ქმნიან პირობებს ბავშვის პოტენციური უნარების განვითარებისთვის ასაკობრივი მოთხოვნების შესაბამისად. ამრიგად, ხდება არა მხოლოდ ამა თუ იმ ფსიქიკური ფუნქციის გამოვლინებათა კონსტატაცია, არამედ ბავშვის ფსიქიკური

პროცესების სრულყოფასა და სრულფასოვან განვითარებაზე მიზანდასახული აღმზრდელობითი ზემოქმედება. თუ ადრეულ ბავშვობაში თავისი უსუსურობის გამო ბავშვი უფრო დამოკიდებულია მშობლებზე ან სხვა მომვლელეებზე, ასაკთან ერთად, სიარულისა და მეტყველების დაუფლების პროცესში, მისი ურთიერთობის წრე ფართოვდება. ბავშვი იწყებს მეტი დამოუკიდებლობის გამოვლენას. სკოლამდელი ასაკის ბავშვის ასაკობრივი გარემო მის წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს. ბავშვი შედის საბავშვო ბაღში. მას უწევს უცნობ ბავშვებთან და აღმზრდელებთან ურთიერთობა, საბავშვო ბაღის წესებისადმი დამორჩილება. თამაშების, მეცადინეობების პროცესში ხდება ბავშვის შემდგომი განვითარება, აგრეთვე მისი მომზადება სკოლისთვისაც.

სკოლამდელ დაწესებულებებში აღმზრდელობითი სამუშაოს სწორი ორგანიზაცია შესაძლებელია ასაკის შესაბამისი ბავშვის ძირითადი მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი ღონისიებების ჩატარებით (ბიოგენური, ფსიქოგენური, სოციოგენური). ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სიამოვნებას ანიჭებს ბავშვს და აძლიერებს მის აქტივობას. ზემოთაღნიშნულ მოთხოვნილებათა სამი სახეობიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სოციალური მოთხოვნილებები (სიყვარულის, ალერსის, აღიარების, ურთიერთობის, დამოუკიდებლობის) (ყოლბაია, 1998). ასაკობრივი გარემოს ცნებას ფართოდ იყენებდა დ.უზნაძე, კერძოდ, განვითარების პერიოდიზაციის პრინციპების გამოსაყოფად (უზნაძე, 1967), ბავშვის სოციალური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობამ შეიძლება გაართულოს მისი ბაღში ყოფნა.

უმცროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვები მალე იღლებიან. დაღლა იწვევს მათი ქცევის სხვადასხვა ცვლილებას: ირღვევა ჩამოყალიბებული ჩვევები, ჩნდება ნეგატივიზმის ნიშნები, უფროსებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, აგრესია თანატოლების მიმართ. ბავშვს უჭრება მადა, ერღვევა ძილი. ამიტომ, გადაღლის თავიდან ასარიდებლად აუცილებელია დღის რეჟიმის ორგანიზება.

მასლოუს აზრით, ბავშვები უფრო ეფექტურად ფუნქციონირებენ იმ ოჯახებში, სადაც არსებობს ზუსტად გაწერილი რეჟიმი და დისციპლინა. თუ ამგვარი ელემენტები არ არის, ბავშვი ვერ გრძნობს თავს უსაფრთხოდ და ხდება შფოთვიანი.

მშობლები, რომლებიც ზრდიან შვილებს ყოველგვარი შეზღუდვების და აკრძალვების გარეშე, არ აკმაყოფილებენ ბავშვების უსაფრთხოების მოთხოვნილებებს. თუ ბავშვისგან არ თხოულობენ, რომ გარკვეულ დროს წავიდეს დასაძინებლად ან ჭამოს და სხვა, ეს იწვევს მასში დაბნეულობას და შიშს (Maslow, 1987).

ცხოვრების ახალ წესს ბავშვი თანდათან უნდა მივაჩვიოთ. გარემოსა და რეჟიმის პროცესების მკვეთრმა ცვლილებამ შეიძლება მათდამი უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვიოს.

ადაპტაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს, თანატოლების რომელ ჯგუფში მოხვდება ბავშვი. მნიშვნელოვანია, რომ იგი სწრაფად შევიდეს კონტაქტში სხვა ბავშვებთან. ეს დიდწილად დამოკიდებულია ბავშვის კომუნიკაციურ უნარებზე. მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღში მისვლამდე განუვითაროთ მას კომუნიკაციური უნარები, რადგანაც ხშირად მას არ გააჩნია ურთიერთობის გამოცდილება: ერთადერთი ბავშვია ოჯახში და არ ეკონტაქტება სხვა ბავშვებს სეირნობის დროს. ასეთ შემთხვევაში საგრძნობლად რთულდება მისი ყოფნა თანატოლების ჯგუფში. ამიტომ, მშობლებმა რაც შეიძლება ხშირად უნდა შეუქმნან სხვა ბავშვებთან ურთიერთობის პირობები.

ბავშვის სტატუსი ოჯახში და შემდგომ ხშირად საზოგადოებაშიც დამოკიდებულია იმაზე დედისერთაა ბავშვი, უფროსი თუ უმცროსი. პირველი (უფროსი ბავშვი ) სანამ ერთადერთია ოჯახში, იღებს უსაზღვრო სიყვარულს და ზრუნვას მშობლებისაგან, რომლებიც განსაკუთრებით ელიან მის გაჩენას და ცდილობენ მთლიანად დაუთმონ თავისი დრო მასზე ზრუნვას. მაგრამ ეს გრძელდება მანამ, სანამ მეორე ბავშვი არ გაჩნდება და არდააკარგვინებს პირველს პრივილიგიურებულ მდგომარეობას. როცა უფროსი ბავშვი აკვირდება თუ როგორ იმარჯვებს მისი უმცროსი ძმა ან და მშობლების ყურადღების მოპოვებაში, იგი ცდილობს დაიბრუნოს თავისი პრიორიტეტი ოჯახში. მაგრამ ეს „ბრძოლა“, როგორც წესი, მარცხით მთავრდება. დროთაგანმავლობაში ბავშვი აცნობიერებს, რომ მისი უმცროსი ძმა ან და უსუსურობის გამო მეტ ყურადღებას საჭიროებს მშობლებისაგან და ითვისებს

დამოუკიდებლად ცხოვრების სტრატეგიას. უფროსი ბავშვი ისწრაფვის ძალაუფლების მოპოვებისა და ლიდერის პოზიციისაკენ.

დედისერთა ბავშვის პოზიცია განსხვავებულია, რადგან მას არ ჰყავს კონკურენტები. იგი დიდი ხნის განმავლობაში იმყოფება მშობლების კონტროლის ქვეშ და ასეთივე ზრუნვას ელოდება სხვებისგან. ასეთი ცხოვრების სტილის მთავარი თავისებურებაა ეგოცენტრიზმი. დედისერთა ბავშვი არავისთან ყოფს თავის პრივილიგიურებულ მდგომარეობას და არ იბრძვის ამ პოზიციის შენარჩუნებაზე ძმებთან და დებთან. ამის შედეგად მას შესაძლოა ჰქონდეს სირთულეები თანატოლებთან ურთიერთობაში.

მეორე (შუათანა) ბავშვს გარკვეულ ტემპს აძლევს უფროსი ძმა ან და. ხშირად მისი განვითარების ტემპი არის უფრო მაღალი ვიდრე მისი უფროსი სიბლინგის. მაგ., მეორე ბავშვი პირველ ბავშვზე ადრე იწყებს ლაპარაკს ან სიარულს. ამის შედეგად მეორე ბავშვი ხდება კონკურენტული და პატივმოყვარე. მისი ცხოვრების სტილია მუდმივი მისწრაფება დაუმტკიცოს ყველას რომ თავის ძმაზე და დაზე უკეთესია. შუათანა ბავშვი უყენებს საკუთარ თავს ძალიან მაღალ მიზნებს, რაც შესაძლოა წარუმატებლობის მიზეზი გახდეს.

ბოლი (ყველაზე უმცროსი) ბავშვი ყურადღებას და ზრუნვას იღებს არა მხოლოდ მშობლებისგან, არამედ უფროს ძმებისგან და დებისგან. მაგრამ თუ ოჯახი ხელმოკლეა, მაშინ იგი მუდმივად უფროს სიბლინგების ტანსაცმელში დადის. ამ მხრივ უფროს ბავშვებს მეტი პრივილეგია აქვს. ამის გამო უმცროსი ბავშვი განიცდის არასრულფასოვნების გრძნობას. ამავე დროს მას აქვს უფროს სიბლინგებთან შეჯიბრების მაღალი მოტივაცია (Хьел, Зинглер, 1997).

4-6 წლის ბავშვები უფრო მეტ დროს ატარებენ თავის ძმებთან და დებთან ურთიერთობაში ვიდრე მშობლებთან. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ხშირად ვლინდება დაპირისპირება და აგრესია, ისინი ბევრს თამაშობენ ერთად, ბაძავენ ერთმანეთს (განსაკუთრებით უმცროსები უფროსებს).

სკოლამდელი ასაკის სიბლინგების ურთიერთობებში დომინირების და ურთიერთქმედების ინიციატორები უფროსები არიან. თავის უმცროს ძმებთან და დებთან ურთიერთობაში ბიჭები ხშირად იყენებენ ფიზიკურ ძალას, ხოლო

გოგონები- აკონტროლებენ მათ ქცევას. მაგრამ უმცროსი სიბლინგები არ ასრულებენ მხოლოდ ხელქვეითის როლს. ასაკის მატებასთან ისინი ხდებიან უფრო დამოუკიდებლები და უფრო აქტიურები. უფროს ბავშვებთან ურთიერთქმედება ასტიმულირებს მათ ინტელექტუალურ და სოციალურ განვითარებას.

ლორა ბერკი ამტკიცებს, რომ სკოლამდელები სოციალურად უფრო კომპეტენტურები არიან, როდესაც მშობლები ხელს უწყობენ მათ არაფორმალურ ურთიერთობას თანატოლებთან და სთავაზობენ რჩევას, როგორი ურთიერთობა ჰქონდეთ სხვებთან. ავტორიტეტული აღზრდის სტილი, ინდუქციური დისციპლინა და ბავშვი-მშობლის ემოციურად პოზიტიური და კოოპერაციული თამაში ხელს უწყობს თანატოლებთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბებას (ბერკი, 2010).

სკოლამდელი ბავშვები, ვისი მშობლებიც ხშირად აწყობენ მეგობართა არაფორმალურ კონტაქტებს, გეგმავენ თამაშს სახლში, მიჰყავთ ბავშვები საზოგადოებრივ ადგილებში და რთავენ მათ ორგანიზებულ საქმიანობაში- როგორც წესი, აქვთ მეგობართა უფრო დიდი ქსელი და სოციალურად უფრო კომპეტენტურები არიან. იმითი, რომ შვილებს შესაძლებლობას აძლევენ მეგობრებთან ითამაშონ, მშობლები აჩვენებენ შვილებს ინიციატივას ურთიერთობებში, წახალისებენ, რომ იყვნენ კარგი მასპინძლები და გაითვალისწინონ თავიანთი მეგობრების პრობლემები.

მშობლები ზეგავლენას ახდენენ ბავშვის სოციალურ ურთიერთობებზეც იმით, რომ ასწავლიან, როგორი ურთიერთობა ჰქონდეთ სხვებთან. მათი დახვეწილი რჩევები, როგორ მოგვარდეს კონფლიქტი, რანაირად არ გააღიზიანონ სხვა, როგორ ჩაერთონ სათამაშო ჯგუფში, დაკავშირებულია სკოლამდელი ასაკის ბავშვის კომპეტენტურობასთან და მეგობრების მხრიდან მიმღებლობასთან (ბერკი,2010). გასარკვევია, რა კავშირი არსებობს ზემოთჩამოთვლილ ფაქტორებს საბავშვო ბაღისადმი შეგუებას შორის. მნიშვნელობა აქვს ჯგუფში ნაცნობი ბავშვების ყოფნას. საბავშვო ბაღში, როგორც წესი, მიყავთ ბავშვები უახლოესი რაიონებიდან. არის შემთხვევები, როცა ახალმისული ხვდება ერთ ან რამდენიმე ნაცნობ ბავშვს. ისინი მაშინვე „პოულობენ“ ერთმანეთს, ერთად თამაშობენ, იცავენ სხვა ბავშვებთან კონფლიქტებისგან. ზოგჯერ ხდება, რომ ნაცნობი ბავშვი უფროს ასაკობრივ ჯგუფშია.

ასეთ შემთხვევაში აღმზრდელს შეუძლია შეხვედრის ორგანიზება. აღმზრდელმა ხელი უნდა შეუწყოს უკვე ადაპტირებული, კომუნიკაბელური ბავშვების შეხვედრა ახალშემოსულებთან.

დაკვირვება აჩვენებს, რომ ყველა ბავშვი არ გრძნობს თავს კარგად თანატოლების გარემოცვაში, ყველასთვის არაა დადებითი „ემოციური კლიმატი“ ჯგუფში (Коломинский, 1984). ჯგუფში ჩვეულებრივ, არის რამდენიმე აქტიური ბავშვი, რომელთაც ხშირად აღმზრდელები თვლიან ჯგუფის ბირთვად, მხარს უჭერენ მათ და ეყრდნობიან აღმზრდელობით სამუშაოში. ამავე დროს ჯგუფში არიან ბავშვები, რომლებიც ამ პირველების დაქვემდებარების ქვეშ იმყოფებიან. ასეთი „პოლარიზაცია“ უარყოფითად მოქმედებს როგორც პირველების, ისე მეორეების პიროვნების განვითარებაზე. პირველებს უვითარდებათ აწეული თვითშეფასება, მიუხედავად ყველაფრისა ყველაზე წინ ყოფნის მიდრეკილება, სისასტიკე უფრო პასიური ბავშვების მიმართ. იმათ კი, ვინც არ შედის ბირთვში უვითარდებათ ან მლიქვნელობა, „მთავარის“ მფარველობის მოპოვების სურვილი, ან თავისთავში ჩაკეცვა და ნდობის დაკარგვა ადამიანების მიმართ. ასეთი ბავშვები უხერხულად გრძნობენ თავს თანატოლების ჯგუფში და ხშირად უხალისოდ მიდიან საბავშვო ბაღში. ზოგჯერ ისინი ითხოვენ სახლში კანფეტს ან სათამაშოს, რომ მიართვან რომელიმე ჯგუფის ბირთვიდან და ამით მოიპოვონ მისი კეთილგანწყობა.

ასეთი ურთიერთობა არაა იშვიათი საბავშვო ბაღში. მაგრამ ეს ზედაპირზე არ დევს და ხშირად პედაგოგის მზერას გაეპარება. ბავშვები თითქოს მეგობრულად თამაშობენ, არ ჩივიან. ასე აეწყობა ურთიერთობის ტიპი: ზოგნი მხოლოდ მბრძანებლობენ, სხვები - ემორჩილებიან.

ჯგუფური პიროვნებათაშორისი ურთიერთობების იერარქია - ჯგუფის წევრთა პრესტიჟისა და სტატუსის იერარქია - ყველაზე უფრო მკაფიოდ ვლინდება საერთო საქმიანობის დროს, სადაც ჯგუფის სხვადასხვა წევრები სოციალური როლების, რომელთაც მათგან ელიან, და მათი საქმიანი და პიროვნული თვისებების მიხედვით, რომლებიც ამ სოციალური მოლოდინებს ამართლებს, იკავებენ სხვადასხვა პოზიციებს (წინამძღოლების და მიმყოლების). სკოლამდელ ჯგუფებში ასეთი იერარქია მხოლოდ ოდნავ შესამჩნევია და ბავშვები განსხვავდებიან ერთმანეთზე

ზეგავლენის ხარისხით. მათ შორის არიან წინამძღოლები (ან ლიდერები), საბავშვო თამაშების ორგანიზატორები, რომლებიც დიდი ავტორიტეტი აქვთ, ყველას მათთან უნდა თამაში და პასიური ბავშვები, რომლებიც ბავშვებს წინამძღოლებს. ჩვეულებრივ, პარტნიორი ფასდება საერთო საქმიანობაში მისი შენატანის მიხედვით, მისი გავლენით სხვაზე და დადებითი განწყობილების უზრუნველყოფით.

ლ. ბერკის აზრით, არსებობს პოპულარული ბავშვების ორი ქვეტიპი: *პოპულარულ-პროსოციალური ბავშვები*, ისინი, ვინც აკადემიურად და სოციალურად კომპეტენტურები არიან და *პოპულარულ-ასოციალური ბავშვები*- ისინი ვინც აგრესიულები არიან და თანატოლების მოწონებით სარგებლობენ მათი დევიანტური სოციალური უნარ-ჩვევების გამო.

გარიყული ანუ უარყოფილი ბავშვები აგრეთვე ორ ქვეჯგუფად იყოფიან: *უარყოფილი აგრესიული ბავშვები*- პრობლემატური ყოფაქცევით გამორჩეულები და *უარყოფილი უკანდახედული ბავშვები*, რომლებიც პასიურები და სოციალურად მოუხერხებლები არიან და თანატოლთა მხრიდან ვიქტიმიზაციის რისკის ქვეშ იმყოფებიან. წინააღმდეგობრივი ბავშვები ერთმანეთში ურევენ პოზიტიურ, პროსოციალურ ქმედებებს და მტრულ, შემაწუხებელ ქცევას. მიუხედავად იმისა, რომ უგულველყოფილი ბავშვები უპირატესად მარტო თამაშობენ, ისინი ჩვეულებრივ სოციალურად კომპეტენტურები და ადაპტირებულები არიან (ბერკი, 2010).

თამაში, როგორც ცნობილია, წარმოადგენს სკოლამდელი ბავშვების ძირითადი საქმიანობის სახეს. სწორედ თამაში უწყობს ხელს ბავშვებს ერთმანეთთან ურთიერთობის აწყობაში. სკოლამდელი ბავშვობის მთელი პერიოდის განმავლობაში მისი ფორმები განიცდიან გარკვეულ ცვლილებებს დაწყებული ექსპერიმენტული და დამთავრებული კონსტრუქციული თამაშით. თამაშის პროცესში ბავშვებს მაშინვე უჩნდებათ ინტერესი ერთმანეთის მიმართ. ადრეულ ბავშობაში ბავშვები, როგორც წესი, თამაშობენ ერთმანეთის გვერდით და არა ერთად. ისინი ინტერესდებიან სათამაშოებით და ვერ ამჩნევენ სხვა ბავშვებს. მაგრამ, დროთა განმავლობაში ბავშვს უჩნდება ინტერესი სხვა ბავშვის მიმართ. ბავშვები იწყებენ ერთმანეთის მიბაძვას, სათამაშოების გაცვლას და შემდგომ ერთობლივი თამაშების ორგანიზებას. მათ



უჩნდებათ ერთმანეთთან თანამშრომლობის მოთხოვნილება თამაშის პროცესში როლების განაწილებისთვის .

დ. უზნაძემ ხაზი გაუსვა კონსტრუქციული თამაშის როლსაც ბავშვების ურთიერთობაში. მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუქციული თამაში არ თხოულობს ჯგუფურ საქმიანობას, ბავშვს შეუძლია ინდივიდუალურად ააწყოს სასურველი ობიექტი, მაინც თამაშის ეს ფორმა ხელს უწყობს ჯგუფში თანამშრომლობას: კონსტრუირების პროცესში იქმნება გარკვეული პროდუქტი, რომელიც მოითხოვს შეფასებას, რასთან დაკავშირებითაც ბავშვს უჩნდება სურვილი აჩვენოს თავისი შემოქმედების შედეგი სხვა ბავშვებს (უზნაძე, 1967; ყოლბაია 1998).

ერთ სათამაშო გაერთიანებაში კონტაქტის ხანგრძლივობა დიდწილად განისაზღვრება ბავშვების უნარით ააწყონ თამაში და იმოქმედონ მასში შეთანხმებულად, აგრეთვე, პარტნიორებს შორის ურთიერთობის გამოცდილების არსებობით, ერთმანეთისთვის მათი ავტორიტეტულობით. ურთიერთობის მოთხოვნილების მკვეთრი დაცემა, როგორც წესი, ნიშანია ჯგუფში ბავშვის არასახარბიელო მდგომარეობის, სიძნელეების, რომელიც მას უჩნდება თანატოლებთან ურთიერთობაში.

ერთობლივი თამაში ქმნის ბავშვებს შორის რეალური ურთიერთობის განვითარების აუცილებლობას. მათ უნდა ისწავლონ მოლაპარაკება ერთმანეთს შორის, კამათისა და გაუგებრობების მოგვარება. მაგრამ 3-4 წლის ბავშვებისთვის ეს დიდ სიძნელეებს იწვევს, რომლის გამოც შეიძლება დაირღვეს თამაშის მიმდინარეობა. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს უფროსის მიერ თამაშის წარმართვას. მაგრამ ეს წარმართვა არ უნდა იყოს ბავშვებისთვის მზა რეცეპტების თავზე მოხვევა (რა და როგორ ითამაშონ), არამედ, თამაშში წარმოქმნილი კითხვების შესახებ თვითონ ბავშვების მსჯელობის ორგანიზება. მონტესორის მეთოდი ხაზს უსვამს დამოუკიდებელ აქტივობას ბავშვის მხრივ და დაკვირვებას პედაგოგის მხრიდან. ასეთი მეთოდი წახალისებს ბავშვებს ისწავლონ თამაშის მეშვეობით (Andy Sharman, 2012).

უფროსებმა უნდა ხელი შეუწყონ ბავშვების დადებით ურთიერთობას თამაშის პროცესში და დააინტერესონ ისინი თამაშით. სათამაშო გარემოს ორგანიზებისას

მნიშვნელოვანია კონკრეტული თამაშისათვის საჭირო სათამაშოებით და მასალით უზრუნველყოფა. ეს შეუქმნის ბავშვებს მოტივაციას თამაშისათვის. აუცილებელია აგრეთვე შეისწავლოს, თუ როგორ იყენებენ ისინი ამა თუ იმ სათამაშოს ან მასალას, რაც ხელს შეუწყობს ბავშვების ინტერესების და უნარების გამოვლენაში (Burton, 2011).

თამაში ეხმარება ბავშვს საკუთარი ქცევის რეგულაციაში, ამცირებს აგრესიას, ხელს უწყობს ისეთი სოციალური უნარების განვითარებას, როგორცაა ემპათია და ურთიერთობის პრობლემების მოგვარება (Kaufman, Scott and all, 2012).

აღზრდელმა უნდა გამოიყენოს ისეთი ერთობლივი თამაშები, სადაც იგი შეძლებს თამაშის პროცესის ხელმძღვანელობას, მონაწილეთა აქტივობის რეგულირებას. ერთ-ერთი ასეთი თამაშის სახეა-მოძრავი თამაში.

მოძრავი თამაშები, როგორც ცნობილია, მიეკუთვნებიან მზაწესებიანი თამაშების ჯგუფს და 3-4 წლის ბავშვებში უფროსის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს, რადგან ამ ასაკის ბავშვებს უჭირთ თვითორგანიზაცია თუნდაც მარტივ წესებიანი თამაშებში.

მოძრავი თამაშები ხელს უწყობენ ბავშვებში მოქნილობის, მოძრაობის სისწრაფის, გამჭირაობის განვითარებას. ბავშვებს მუდმივად სჭირდებათ მოულოდნელ სიტუაციისადმი შეგუება, წინააღმდეგობების გადალახვა, რთული სიტუაციიდან თავის დაღწევა.

თანდათანობით თამაშების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა თავად ბავშვებთან გადადის. მაგრამ ყველა ერთნაირად არ მონაწილეობს. ჩვეულებრივ, უფრო აქტიური და ინიციატივიანი ბავშვები, რომლებმაც ბევრი სიუჟეტური თამაში იციან, ხდებიან მათი ორგანიზატორები, სხვა მონაწილეები პასიურად რჩებიან (Венгер, Мухина, 1988). ურთიერთობის გამოცდილება და თამაშის უნარ-ჩვევები ხელს უწყობს საბავშვო ბაღისადმი უფრო სწრაფ ადაპტაციას. ასეთი ბავშვები უფრო სწრაფად შედიან კონტაქტში სხვა ბავშვებთან და ხდებიან კოლექტიური თამაშების ინიციატორები.

ამრიგად, განხილული იქნა ის ობიექტური ფაქტორები, რომელსაც შეეჯახება ბავშვი საბავშვო ბაღში შესვლისას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებაც, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვთა სოციალურ ადაპტაციაზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებია.

განსაკუთრებულ ყურადღებას თხოულობს პერიოდი 2 დან 4 წლამდე, რომელიც ითვლება ბავშვის ცხოვრებაში პირველ კრიტიკულ ასაკად. ლ.ვიგოტსკი უძახის მას „3 წლის კრიზისს“. მით უმეტეს, რომ სწორედ ამ ასაკში ბავშვები, ძირითადად, შედიან სკოლამდელ დაწესებულებებში. ამ პერიოდში, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, ბავშვის ფსიქიკაში ვლინდება სიმპტომების მთელი რიგი, რომლებიც უქმნიან სიმნელებს მოზრდილებთან და ბავშვებთან ურთიერთობისას. ამ ასაკის სიმნელებს შორის ჩვენ გამოვყოფთ უკვე ხსენებულ ნეგატივიზმს, სიჯიუტეს, ჭირვეულობას და თავნებობას. ბავშვი მიისწრაფის დამოუკიდებლობისკენ და ნეგატიურად რეაგირებს მოზრდილების მხრიდან ნებისმიერი ჩარევის მცდელობაზე, მათი თხოვნა და, მითუმეტეს ბრძანებები მასში ნეგატიურ რეაქციას იწვევს. ბავშვისადმი სწორი მიდგომა მდგომარეობს მოთმინებაში, თავსმოუხვეველ ზემოქმედებაში, სათამაშო ილეთების გამოყენებაში, ეს ყველაფერი აიოლებს ბავშვის ურთიერთობას მოზრდილთან. მნიშვნელოვანია დროზე რეაგირება და სწორი პედაგოგიური მიდგომის ნახვა რათა აღნიშნული სიმპტომები არ დაფიქსირდნენ როგორც პიროვნული თვისებები. ასეთი სახის, გარკვეული აზრით, კორექციული სამუშაო აწვება მხრებზე აღმზრდელს, რასაც ყველა ოჯახი ვერ გასწვდება. უნდა აღინიშნოს, რომ საოჯახო ავტორიტარიზმი, ისევე, როგორც ლიბერალიზმი, აფიქსირებს ნეგატიურ სიმპტომებს და შემდგომში ქმნის სერიოზულ სიმნელებს ბავშვის ურთიერთობისთვის სოციალურ გარემოში.

ასაკობრივი თავისებურებების - ბავშვების შესაძლებლობების მაჩვენებლების, რომლებიც მათ განვითარებას განაპირობებენ - ცოდნა აუცილებელია, , მაგრამ, არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაც. 2-3 წლის ასაკში ბავშვს უკვე გააჩნია საკუთარი ინდივიდუალური ქცევის, ურთიერთობის გამოცდილება, თავის მოთხოვნილებები და სურვილები, ჩვევები. ეს ყველაფერი უაცილებლად გასათვალისწინებელია აღზრდის პროცესში

განსაკუთრებით ისეთ რთულ პერიოდში, როგორცაა ბავშვის მიჩვევის პერიოდი საბავშვო ბაღის ცხოვრებისადმი.

ზოგი ბავშვი მოძრავია, მათ ურჩევნიათ ხმაურიანი თამაშები, უყვართ სირბილი, სიანცე; სხვები - ნელეები, ურჩევნიათ მშვიდი თამაშები; მესამეები - მფრთხალები, ერიდებიან თანატოლებს და აღმზრდელსაც პირველ ხანებში უნდობლად ექცევიან, ან, პირიქით, არ შორდებიან, რადგან მასში დამცველს ხედავენ. ზოგ ბავშვს 2-3 წლის ასაკში შეუძლია დამოუკიდებლად ჩაცმა, დაუსვრელად ჭამა, სხვები კი ელიან, რომ მათ უნდა აჭამონ, ჩააცვან.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავშვის ქცევასა და განვითარებაზე მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაც. დასუსტებული, ავადმყოფური ბავშვი შეიძლება იყოს ჭირვეული, გაღიზიანებული, ან, პირიქით, დუნე, მალე იღლებოდეს. დასუსტებული ბავშვები, როგორც წესი, უფრო რთულად ადაპტირდებიან ახალ პირობებთან, უფრო ხშირად ავადმყოფობენ, უფრო მეტად განიცდიან ახლობლებთან განშორებას.

ბავშვის სოციალური ადაპტაციის პროცესს მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ პიროვნების ისეთი თვისება როგორცაა ტემპერამენტი.

ტემპერამენტი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ადამიანის ემოციური ცხოვრების საფუძველს. ადამიანის ემოციები ვლინდება ურთიერთობის პროცესში და ქმნიან დადებით ან უარყოფით ფონს ამ ურთიერთობისთვის. სოციალურ ფსიქოლოგიაში არსებობს ემოციური მიკროკლიმატის ცნება, რომელიც ქმნის გარკვეულ ფონს მცირე სოციალური ჯგუფების წევრთა ურთიერთობაში. იგივე ხდება სკოლამდელ ჯგუფებშიც. ბავშვი მიდის საბავშვო ბაღში თავისი ემოციებით, რომელთა გამოვლენა ტემპერამენტითაა განსაზღვრული.

ლ.ბერკის მოსაზრებით, ნათესაური კავშირების კვლევებმა ცხადყო, რომ ტემპერამენტი ძირითადად მემკვიდრეობითია. ამასთანავე, ტემპერამენტის განვითარებაზე ძლიერი გავლენა აქვს გარემოს. გარდა ამისა, ტემპერამენტზე გავლენას ახდენს გაუზიარებელი გარემო ( მშობლის მიდრეკილება, გამოყოს თითოეული ბავშვის უნიკალური თვისება) და თანაბარი გარემო (ოჯახური სტრესი და ბავშვის აღზრდის მეთოდი). ტემპერამენტის ეთნიკურ განსხვავებულობას

შესაძლოა ბიოლოგიური ფესვები ჰქონდეს, რასაც კულტურა (ტრადიციები) და გამოცდილება განაპირობებს. ტემპერამენტის კვლევებმა საკუთარ განვითარებაში თავად ბავშვის როლი დაადასტურა. ბავშვის ტემპერამენტის თვისებები მათი კოგნიტური და სოციალური ქმედუნარიანობის წინაპირობაა.

ტემპერამენტი სოციალურ ქცევებთანაცაა დაკავშირებული. ძალიან აქტიური სკოლამდელი ასაკის ბავშვები თანატოლებთან ზედმეტად სოციალიზებულნი არიან, ამიტომ ნაკლებად აქტიურ თანატოლებთან შედარებით, გაცილებით მეტ კონფლიქტურ სიტუაციაში ვარდებიან. მორცხვი, შეზღუდული ბავშვები ხშირ შემთხვევაში საკუთარ თანაჯგუფელებს შორიდან აკვირდებიან და შფოთვის ქცევებით შემოიფარგლებიან. მსგავსი ქცევები კი მათ ურთიერთობას ზღუდავს, მაგ., ერიდებიან თამაშს და იშვიათად საუბრობენ თანაჯგუფელებთან. გულჩათხრობილ ბავშვებში არასწორი მოქმედებისას ძლიერი შფოთი მეტ დისკომფორტსა და სხვების მიმართ პასუხისმგებლობის გადაჭარბებულ გრძნობას განაპირობებს. ადრეული გაუბედაობა ბავშვებს აგრესიის განვითარებისაგან იცავს. გულფიცხ, იმპულსურ ბავშვებში კი აგრესიისა და ანტი-სოციალური ქმედებების განვითარების დიდი რისკი არსებობს (ბერკი, 2010).

არსებობს, როგორც ცნობილია, ტემპერამენტის რამდენიმე ტიპი. მიუხედავად იმისა, რომ ეს პიროვნების თანდაყოლილი თვისებაა, სკოლამდელ ასაკში ამა თუ იმ ტიპისთვის დამახასიათებელი ნიშნები სუსტადაა გამოვლენილი, მაგრამ უფრო „სუფთა“ სახით. ეს ნიშნავს, რომ მოზრდილებთან სოციალური გარემოს ზემოქმედებით ზოგი ნიშანი უფრო გამოიკვეთება, ზოგი ნაკლებად (უზნაძე, 1967).

ბავშვები, რომლებთაც აგზნების და შეკავების პროცესები გაწონასწორებული აქვთ, გამოირჩევიან მშვიდი ქცევით, კარგი გუნებ-განწყობით, მათ უყვართ როგორც წყნარი, ისე მოძრავი თამაშებიც, დადებითად აღიქვამენ ყველა რეჟიმულ პროცესს, აქტიურად მონაწილეობენ მათში. თუ ახალ პირობებში აღმოცენებული ურთიერთობის შინაარსი აკმაყოფილებთ, ისინი საკმაოდ ადვილად და სწრაფად ეგუებიან.

ბავშვები, რომლებიც გამოირჩევიან ადვილი აგზნებადობით, მწვავედ გამოხატავენ თავის დამოკიდებულებას გარემოს მიმართ, სწრაფად გადადიან ერთი

მდგომარეობიდან მეორეში. მათ უყვართ მოძრავი თამაშები, ხშირად იცვლიან სათამაშოებს, ადვილად ეფანტებათ ყურადღება. ხაგრძლივ თამაშებს არ გაშლიან, ურჩევნიათ ხმაურიანი თამაშები. საბავშვო ბაღში მოსვლის პირველ დღეებში არ შეიძლება ამ ბავშვების მოქმედებათა მკვეთრი შეზღუდვა. მათთან საჭიროა ძალიან თანაბარი, მშვიდი ურთიერთობა, არ უნდა დავუშვათ ნერვული სისტემის ზედმეტი აგზნება.

ადვილად აგზნებადი ბავშვების საპირისპიროდ არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებიც გამოირჩევიან მშვიდი, ცოტა შენელებული ქცევით. ისინი გარეგნულად კარგად ადაპტირებულების შთაბეჭდილებას ახდენენ. მაგრამ, მათთვის დამახასიათებელი შენელებულობა შეიძლება ამ პეროდში გაძლიერდეს. ნელი ბავშვები ხშირად ჩამორჩებიან თანატოლებს მოძრაობათა განვითარებაში, გარემოს ათვისებაში, ჩვევების და უნარების დაუფლებაში. მათ ურჩევნიათ ბავშვებისგან მოშორებით თამაში. აღმზრდელი უნდა დაეხმაროს ასეთ ბავშვებს ახალ გარემოსთან შეგუებაში. ამასთან, არ შეიძლება გაღიზიანება მათი სინელის გამო. აღმზრდელმა უნდა მშვიდად და დაჟინებით ასწავლოს მათ საგნებთან მოქმედება, მოთმინებით გაუმყაროს ჩვევები და ჩამოუყალიბოს ახლები.

პირველ დღეებში არაა რეკომენდირებული ნელი ბავშვების ჩართვა თანატოლებთან ურთიერთობაში, რადგანაც მათ სჭირდებათ დრო ახლის ასათვისებლად, გარემოს გასაცნობად. აღმზრდელის მოუთმენელმა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს ქცევითი სირთულეები, ადაპტაციის შეფერხება.

განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვენ ბავშვები ნერვული სისტემის სუსტი ტიპით. ისინი ძალიან მტკივნეულად განიცდიან ცხოვრების და აღზრდის პირობების ნებისმიერ ცვლილებას. მათი ემოციური მდგომარეობა ირღვევა უმცირესი უსიამოვნებებისას, თუმცა ისინი მწვავედ არ გამოხატავენ გრძნობებს. ყველაფერი ახალი აფრთხობს მათ და ძნელად ეძლევათ. ისინი დაურწმუნებლები არიან მოძრაობებში და საგნებთან ქმედებებში, აუცილებელ ჩვევებს ისინი იძენენ უფრო ნელა, ვიდრე მათი ასაკის ბავშვები. ასეთი ბავშვები მუდამ უნდა წავახალისოთ, დავეხმაროთ ახლის ათვისებაში.

სკოლამდელი ასაკის ბავშვები, რომლებიც ძალიან ინტროვერტირებულნი არიან, როგორც წესი, „ქრებიან ჯგუფში“, ისინი არ მონაწილეობენ ჯგუფურ საქმიანობაში. ხმაურიანი, აგრესიული ბავშვები პედაგოგებისგან მეტ ყურადღებას იღებენ, ხოლო გულჩათხრობილი, მორცხვი ბავშვები შეიძლება უყურადღებოდ დარჩნენ (Rebecca J. Bulotsky-Shearer and all, 2012).

აღმზრდელის მიერ ბავშვის ნერვული სისტემის ტიპოლოგიური თავისებურებების იგნორირებამ მისი საბავშვო ბაღთან ადაპტაციის პერიოდში შეიძლება ქცევით გართულებებამდე მიიყვანოს. ასე, მაგალითად, ზედმეტი მომთხოვნელობა დაურწმუნებელ, არაკომუნიკაბელურ ბავშვებთან იწვევს ცრემლებს და იმას, რომ არ უნდათ საბავშვო ბაღში ყოფნა; ადვილად აგზნებად ბავშვებთან მკაცრი ტონი - ურჩობას.

ამრიგად, ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნა აუცილებლად სჭირდება აღმზრდელს ადაპტაციურ პერიოდში ბავშვებთან მუშაობისას, ხოლო შემდგომში, მთელ აღმზრდელობით პროცესშიც.

და ბოლოს, მნიშვნელოვან ფაქტორს, არა მარტო ადაპტაციურ პერიოდში, არამედ ეფექტური აღმზრდელობითი მუშაობისთვის წარმოადგენს ბავშვის ხასიათის ნიშანთა გათვალისწინება.

ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც გრძელდება დაბადებიდან მოწიფულობამდე. თუ ტემპერამენტის ტიპები თანდაყოლილია, ხასიათის თვისებები - სოციალური გარემოსა და აღზრდის შედეგია. ხასიათის გამოვლენაში ძირითად როლს თამაშობს პიროვნების ორიენტაცია, მისი ძირითადი მოტივაცია, სოციალური მოთხოვნილებები, იდეალები. ბუნებრივია, სკოლამდელ ასაკში ამ ფაქტორებზე ლაპარაკი ადრეა. ძირითად, ბავშვის ხასიათი - საოჯახო აღზრდის შედეგია (Подласый, 2003). თითოეულ ოჯახში, როგორც ცნობილია, აღზრდის განსხვავებული მეთოდებია, რასთან დაკავშირებითაც საბავშვო ბაღში მოდიან ბავშვები განსხვავებული ხასიათის ნიშნებით. ზოგჯერ ძნელია ბავშვის ასოციალური ქცევის განპირობებულობის განსაზღვრა. მაგალითად, სიჯიუტისა და ნეგატივიზმის გამოვლენა - დროებითი ასაკობრივი მოვლენაა თუ არასწორი აღზრდის შედეგი.

საოჯახო აღზრდის თანამედროვე პრაქტიკაში გამოყოფენ მშობლების შეილებსადმი დამოკიდებულების სამ სტილს: ავტორიტარულს, დემოკრატიულს და ხელმიშვებულს. იმისდა მიხედვით, ოჯახში რომელ სტილს ანიჭებენ უპირატესობას, ყალიბდება ხასიათის განსხვავებული ნიშნები. ასე, მაგალითად, ავტორიტარულ ოჯახებში ბავშვს, ძირითადად ბრძანების კილოთი მიმართავენ. უფრო ხშირად იყენებენ სიტყვებს „არ შეიძლება“, ვიდრე „შეიძლება“. ბავშვის აზრს არავენ ითვალისწინებს. მისგან მოითხოვენ, დიდწილად, ყოველგვარი ახსნის გარეშე, მოთხოვნათა განუხრელ შესრულებას. ასეთ ოჯახებში ბავშვებს უფრო ხშირად სჯიან, მათ შორის, ფიზიკურადაც, და ბავშვის ფსიქიკაზე ასეთი აღზრდის გავლენა უარყოფითად აისახება. იგი იმყოფება მუდმივ სტრესში. მშობლების მოთხოვნები ან პროტესტს და აგრესიას, ან აპათიას და პასიურობას იწვევენ. საზოგადოებაში, ჩვეულებრივ, ასეთი ბავშვები გულჩათხრობილები არიან, მფრთალები ან ავლენენ აგრესიას გარემომყოფების მიმართ. საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის პროცესში ეს თვისებები უფრო მკვეთრად ვლინდება. ასეთი ბავშვები არ შედიან კონტაქტში აღზრდელთან. თუ ემორჩილებიან აღზრდელთა მოთხოვნებს, ეს უფრო დასჯის შიშით. ისინი ვერ ღებულოენ სიამოვნებას საბავშვო ბაღში მიმდინარე პროცესებისგან. თანატოლებთანაც შეიძლება გაუჩნდეთ პრობლემები არაადეკვატური ქცევის გამო (გარიყულობის, ან აგრესიულობის გამო).

სხვანაირადაა საქმე ოჯახებში, სადაც უპირატესია აღზრდის ხელმიშვებულ სტილი. აქ ყველანაირად წახალისებენ ბავშვის ახირებებს. სიტყვები „არ შეილება“ პრაქტიკულად არ არსებობს მისთვის. ამისი წყარო მშობლების ზედმეტი სიყვარულია. ბავშვები არადისციპლინირებულები და უპასუხისგებლოები იზრდებიან. ამ სტილის არსია ბავშვისთვის ყველაფრის ნების დართვა ბავშვის სიყვარულის მოსაპოვებლად, ზედმეტი აღერსის, ყველაფრის უფლების მიცემის გზით (Подласый, 2003). საბავშვო ბაღში შესვლისას განებივრებული ბავშვი იწყებს ჭირვეულობას, აწყობს ისტერიკებს, თუ მისი რომელიმე სურვილი არ სრულდება. მათ ყველაზე უფრო უჭირთ საბავშვო ბაღის მოთხოვნებისადმი დამორჩილება, კოლექტიური ცხოვრების წესის შეგუება, რადგან მათ უჩნდებათ სურვილი აკეთონ



ის, რაც უნდათ და არა ის, რაც უნდა შეასრულონ ამ კონკრეტულ მომენტში. ასეთი ბავშვები ძნელად თანაარსებობენ კოლექტივში.

ბავშვის აღზრდაში ყველაზე უფრო მისაღები აღზრდის დემოკრატიული სტილია. ასეთ ოჯახებში ბავშვის აზრს ანგარიშს უწევენ. თუ მას უკრძალავენ რამეს, ამის მიზეზაც უხსნიან. მისი ქცევა რეგულირდება არა ბრმა მორჩილებით, არამედ, გაცნობიერებულად. მშობლები, თავიანთი ქცევისა და მოთხოვნების მოტივირებისას, ბავშვის აზრსაც ისმენენ, პატივს სცემენ მათ პოზიციას, ავითარებენ მათში დამოუკიდებელ მსჯელობას (Подласый, 2003).

ასეთ ოჯახებში არ იყენებენ ფიზიკურ სასჯელს. ბავშვი იზრდება კეთილმოსურნე ატმოსფეროში. ბავშვი, რომელიც კეთილგანწყობილია გარემომყოფებისადმი, უფრო ადვილად ადაპტირდება ახალ პირობებთან. მისთვის საკმარისია გაიგოს, თუ რისი გაკეთება შეიძლება და რა არ შეიძლება და ის მოქმედებს საბავშვო ბაღში მიღებული ქცევის ნორმების მიხედვით. თანატოლებს შორის ასეთი ბავშვისთვის ადვილია ავტორიტეტის მოპოვება, რადგანაც თამაშებში იგი ხშირად იღებს ინიციატივას თავის ხელში. ბავშვები, რომლებსაც აქვთ ოჯახში ურთიერთობის პოზიტიური გამოცდილება (ზრუნვა და პატივისცემა), ასევე ექცევიან მეგობრებსაც (Jennifer M. Engle and all, 2011). აღზრდის პირველი ორი ხსენებული სტრატეგიისგან განსხვავებით, ბავშვი ასეთი ოჯახიდან არ უქმნის პრობლემებს აღმზრდელს. რაც შეეხება ბავშვებს იმ ოჯახებიდან, სადაც უპირატესობას ანიჭებენ ავტორიტარულ ან ხელმიშვებულ სტილებს, აღმზრდელს უწევს სერიოზული „მუშაობა“, რომ გამოასწოროს საოჯახო აღზრდის ნაკლოვანებები. და რაც უფრო სწრაფად მოხდება ეს, მით უკეთესი, რადგან ხასიათის გამჯდარი უარყოფითი ნიშნები შეუქმნიან ამ ბავშვებს პრობლემებს მოზრდილობაშიც.

თანამედროვე ოჯახის შესწავლისას, მარალოვის აზრით, შეიძლება დავრწმუნდეთ ორი ძირითადი მოდელის არსებობაში სქემაში „მოზრდილი-ბავშვი“.

ბავშვის ქცევა I მოდელში:

- უარყოფითი რეაქცია აღმზრდელის მოთხოვნებზე;
- მოთხოვნის შესრულებაზე უარი ან მორჩილება;
- ნეგატივიზმის და ნევროტიზმის გამოვლინება ბავშვებთან;

შედეგი: ბავშვები იზრდებიან მშვიდარა და უნიციატივო.

II მოდელის შედეგი:

- ვითარდება ბავშვის აზროვნება, წარმოსახვა;
- ქრება წარუმატებლობის, დაცინვის შიში, ბავშვი თავს კომფორტულად გრძნობს უცხო გარემოში.

მოყვანილი სქემებიდან ჩანს, რომ ურთიერთობის მეორე მოდელის დროს მიიღწევა ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის ერთიანობა.

I მოდელი: დისციპლინარული ურთიერთობა

შეტყობინების საშუალება	ქცევის ტაქტიკა	ლოზუნგი
დარიგება, აკრძალვა, მოთხოვნა, ნოტაცია, დასჯა	მზრუნველობა დიქტატი	„გაკეთე ჩემსავით“ „მე რა გითხარი“

II მოდელი: ურთიერთობის პიროვნულად-ორიენტირებული კრიტერიუმები

ურთიერთობის საშუალება	ქცევის ტაქტიკა	ლოზუნგი
ბავშვის მდგომარეობის გაგება, მისი სურვილების აღიარება. მისი მიღება, როგორც პიროვნების, მისი ინდივიდუალური თავისებურებების, უნარების გათვალისწინება.	ფსიქოლოგიური დაცულობის გრძნობის უზრუნველყოფა (განსაკუთრებით) ადაპტაციის პერიოდში, რადგან ბავშვი შეწუხებულია (პირველად არის დედის გარეშე დიდი ხნით).	„ვაკეთებთ ერთად“ „მე მოზრდილი ვარ არა შენს ზემოთ, არამედ შენთან“.

ზემოთქმული ადასტურებს, რომ ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნა ეხმარება აღმზრდელს ბავშვთან მოქცევის სწორი ტაქტიკის შერჩევაში (Маралов,2005).

ამრიგად, განხილული იყო სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რომლებიც, სავარაუდოდ, მოქმედებდნენ სოციალური ადაპტაციის პროცესზე და მთელს სააღმზრდელო პროცესზე საბავშვო ბაღში. ამ ფაქტორების კონკრეტული კვლევა და გათვალისწინება დაეხმარება მშობლებს საბავშვი ბაღისთვის ბავშვის მომზადებაში, აღმზრდელებს კი სკოლამდელ დაწესებულებაში ბავშვთა ადაპტაციისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში.

### **1.3. მოზრდილთა და თანატოლთა როლი ბავშვის საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციაში**

სკოლამდელ ასაკში სოციალური ადაპტაცია, გაგებული როგორც ბავშვის ადეკვატური ჩართულობა ახალ სოციალურ სიტუაციაში, გავლენას ახდენს ბავშვის პიროვნების განვითარებაზე. ახალი პირობები და ახალი ქცევის , როგორც საპასუხო რეაქცია, მოითხოვს გარკვეულ ძალისხმევას ბავშვის მხრიდან. იმისგან, თუ როგორაა პატარა მომზადებული ოჯახში სკოლამდელ დაწესებულებაში გადასასვლელად, დამოკიდებულია ადაპტაციური პერიოდის მიმდინარეობა (რომელიც ზოგჯერ ნახევარ წლამდე გრძელდება) და ბავშვის შემდგომი განვითარება (Тонкова-Ямпольская и др.,1980).

მნიშვნელოვანია ბავშვის მოვლის და აღზრდის ისეთი ორგანიზება, რომ მინიმუმამდე დაიყვანებოდეს ადაპტაციური პერიოდი - ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გართულებები, რომელთა არსი, უპირველეს ყოვლისა, იმალება ფსიქიკურ ბუნებაში და იმყოფება ბავშვის სამყაროსთან დამოკიდებულების სოციალურ სფეროში.

გარშემომყოფ ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილება, რომლის მეშვეობით ბავშვი ეუფლება სოციალურ გამოცდილებას, ადრე იქცევა მის ძირითად

მოთხოვნილებად. ურთიერთობის მოთხოვნილების ბუნებაზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ლ.ვიგოტსკი და ა.ნ. ლეონტიევი აყენებენ დებულებას იმის შესახებ, რომ ბავშვი მაქსიმალურად სოციალური არსებაა და მიისწრაფის ურთიერთობისკენ მოზრდილებთან, რადგანაც მას სჭირდება მოზრდილის დახმარება, პირველ რიგში მისი ბიოლოგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ლ.ბოჟოვიჩი და მ.კისტიაკოვსკაია მოზრდილსა და ბავშვს შორის კონტაქტის დამყარებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმ გარემოებას, რომ მოზრდილი აკმაყოფილებს რა ბავშვის შემეცნებით მოთხოვნილებას და, თან, ერთდროულად კარგი შესამეცნებელი ობიექტია, უზრუნველყოფს მას ახალი შთაბეჭდილებებით.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვებს, რომლებსაც უფრო ახლო ურთიერთობა აქვთ დედებთან და მამებთან კოგნიტურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაში აქვთ უპირატესობა (Raikes, 1996).

კვლევათა რიგი ეძღვნება სკოლამდელი ბავშვების ურთიერთობას ერთმანეთთან. უცხოელი ავტორებიდან ვ.ჰერტუჰმა ჰ.დევიმ, ა.ჯერალდმა შეისწავლეს ბავშვების ურთიერთობა ერთმანეთთან თამაშისას, ამ დროს წარმოქმნილი კონფლიქტები, შეჯიბრებითი მომენტების როლი და მეგობრული ურთიერთობები. სკოლამდელი ბავშვების ერთმანეთის მიმართ აგრესიულ ქცევას იკვლევდნენ ა.ბანდურა და რ. უოლტერსი (Ньюкомб, 1997).

ფსიქოლოგების კვლევებით დადგენილია მოზრდილის ბავშვთან ურთიერთობის როლი მისი სრულფასოვანი ფსიქიკური განვითარებისთვის. ბავშვს უზრუნველყოფილი უნდა ქონდეს მისი მოზრდილთან ურთიერთობის გენეტიკურად აუცილებელი ყველა ფაზის გავლა (Леонтьев 1974).

სიცოცხლის პირველი წლის პირველ ნახევარში სრულფასოვანი ემოციურ ურთიერთობას მოზრდილთან (პირადად მისკენ მიმართული კეთილგანწყობილი ყურადღება, ალერსი და სინაზე) მოსდევს აფექტურ-პიროვნული კავშირების გაჩენა მასთან, მიჯაჭვულობა, მინდობილი მგრძნობიარობა მისი ზემოქმედების მიმართ. ეს კი, თავის მხრივ, წარმოადგენს ბავშვის შემეცნებითი განვითარების, პიროვნების ჩამოყალიბების, სამყაროსთვის ღიაობის საფუძველს.

სიცოცხლის პირველი წლის მეორე ნახევარში ჩნდება საქმიანი თანამშრომლობა უფროსთან, დაკავშირებული საგნობრივი ქცევის დაუფლებასთან. უფროსი ხდება არა მხოლოდ კეთილგანწყობის წყარო, არამედ, მიბაძვის ნიმუშიც, აგრეთვე პარტნიორი ჯერ ერთობლივი მოქმედებებისა საგნებთან, შემდეგ კი თამაშშიც.

მოზრდილთან თანამშრომლობის პირობებში ბავშვი ეუფლება სპეციფიკურ მოქმედებებს საგნებთან, რომელიც ადამიანის მიერ შექმნილია სხვადასხვა საჭიროებისთვის: ჭიქა, კოვზი, სავარცხელი და სხვა. პატარა ძლივ-ძლიობით, მაგრამ დიდი სიამოვნებით ცდილობს გააკეთოს ყველაფერი როგორც დიდებმა. თუ პირველი ნახევარი წლის განმავლობაში ბავშვი ეძებს მოზრდილის კეთილგანწყობილ ყურადღებას და ამით კმაყოფილდება, შემდგომში იგი მისწრაფის მასთან პრაქტიკული თანამშრომლობისკენ.

ბავშვის მოზრდილებთან თანამშრომლობის მოთხოვნილების შინაარსი იცვლება სიტუაციურ-საქმიანი ურთიერთობის ჩარჩოებში. პირველ წელ-წელიწადნახევარში, მეტყველებამდელი განვითარების დონეზე, მათ სჭირდებათ დახმარება საგნობრივ ქმედებებში. მოგვიანებით, მეტყველების დონეზე, თანამშრომლობის მოთხოვნილება ახალ ელფერს იძენს. ბავშვი არ იფარგლება დახმარების მოლოდინით, არამედ უნდა, რომ იმოქმედოს მოზრდილივით, მისი მაგალითით და მიბაძვით (Рузская, 1988).

მოზრდილებთან ურთიერთობის პროცესში, საქმიანი თანამშრომლობის პირობებში ბავშვი ეუფლება მეტყველებასაც. ემოციური კონტაქტები ეხმარებიან ბავშვებს გამოყონ მოზრდილის მეტყველება როგორც განმასხვავებელი ნიშანი ბავშვთან მისი მიმართვისა. მოზრდილთან მიჯაჭვულობა აჩენს მიბაძვის სურვილს. მიმდობი დამოკიდებულება მოზრდილისადმი უბიგებს ბავშვს რომ მიმართოს მას, გაუზიაროს განცდები და სირთულეები. რაც უფრო მჭიდრო ემოციური კავშირები აქვს ბავშვს მოზრდილებთან, მით უფრო ეფექტურად ეუფლება ენას.

კომუნიკაციური ფაქტორის ყველა ასპექტი (მოზრდილის მეტყველების აღქმა, თამაშობა, ემოციური კონტაქტები) დაკავშირებულია ერთმანეთთან ბავშვის მოზრდილთან ურთიერთობის ერთიან პროცესში.

ამრიგად, სიტუაციურ-საქმიანი ურთიერთობის ფორმის ჩარჩოებში ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში ხდება მნიშვნელოვანი მოვლენები. ამიტომაც ასე მნიშვნელოვანი ბავშვის დროული გადაყვანა ასეთი სახის კონტაქტებზე. შეფერხება მოზრდილების ურთიერთობის წინა (ემოციურ) ეტაპზე იწვევს სიმძნელებს ბავშვის განვითარებაში, ცხოვრების ახალ პირობებთან ადაპტაციაში, კეროდ, სკოლამდელ დაწესებულებაში შესვლასა და უცნობ ადამიანებთან კონტაქტების გაფართოებაში.

საგნობრივი საქმიანობის დაუფლებაში არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მხარე - ბავშვებთან თამაშის აღმოცენება და განვითარება. თამაშს ადრეულ ასაკში ეყრება საფუძველი. და აქ მოზრდილის როლი გადამწყვეტია. დასაწყისში ბავშვი თამაშობს რეალისტური სათამაშოებით, იფარგლება მათთან უბრალო მანიპულაციებით: საგნების გადაადგილება, ერთმანეთში ჩადება. იშვიათად ეს მანიპულაციები იძენენ სათამაშო ეპიზოდების ხასიათს (ბავშვი მიიტანს კოვზს თოჯინის პირთან). თანდათან, მოზრდილის დახმარებით, ბავშვები სწავლობენ საგნების ჩანაცვლებას სხვა საგნებით, რაც აღნიშნავს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს არა მხოლოდ თამაშის განვითარებაში, არამედ, ზოგადად ფსიქიკის განვითარებაში, კერძოდ, აღქმის, აზროვნების, წარმოსახვის და ა.შ.

ამრიგად, ბავშვის ძირითადი მონაპოვრები ადრეულ ასაკში - ესაა საგნობრივი ქცევის, მეტყველების, თამაშის ჩამოყალიბება. ეს მონაპოვრები გავლენას ახდენს ბავშვის ქცევაზე ახალ პირობებში, კერძოდ, საბავშვო ბაღში შესვლისას სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას.

საქმიანი ურთიერთობისას ბავშვს უყალიბდება დიფერენცირებული კავშირები გარემომყოფ ადამიანებთან. ემოციური კონტაქტი გამოირჩევა საქმიანისგან პირველ რიგში შერჩევითობით, რომელიც აგებულია პიროვნული ურთიერთობის გამოცდილებაზე ყველაზე ახლობელ ადამიანებთან. თუ ბავშვი სოცოცხლის პირველი თვეებიდან ერთნაირად კეთილმოსურნეა ნებისმიერი ადამიანისადმი, პირველი წლის მეორე ნახევრიდან უკვე მკვეთრად ასხვავებს თავისიანებს და უცხოებს. დედასთან განშორება მას ხშირად სასოწარკვეთაში აგდებს, ის უარს ამბობს სხვებთან ურთიერთობაზე, სათამაშოებზე, კარგავს მადას და ძილს. ეს მეტყველებს

იმაზე, რომ ბავშვს აქვს მხოლოდ პირადი ურთიერთობა და მხოლოდ ახლობელ ადამიანებთან.

ემოციურ ურთიერთობასთან შედარებით პრაქტიკული ურთიერთქმედება უფრო უპიროვნოა, ნაკლებად გაშუალებული ჩვეული კონტაქტით გარკვეულ ადამიანთან. მის მსვლელობაში პარტნიორებს შორის ჩნდება ახალი რგოლი -საგანი, რომელიც მიიქცევს ბავშვის ყურადღებას და გადაიტანს იგი იმისაკენ, ვისაც ურთიერთება: ბავშვი უპირატესობას მიანიჭებს უფრო ახლობელ ადამიანთან თამაშს, ვიდრე უცნობთან. მაგრამ, თუ იგი დაინტერესებულია საგნით, მისი ხასხასა ფერით, სიახლით, აგრეთვე შეუძლია საქმიანი კონტაქტების დამყარება ადამიანებთან, მაშინ იგი სწრაფად მიეჩვევა უცხოს, ახალი ურთიერთობების ჩათვლით, რომელთაც არ სჭირდებათ განსაკუთრებული ემოციური სიახლოვე.

სერიოზულ სიმძნელებს ბავშვები განიცდიან ერთი ურთიერთქმედების სფეროდან მეორეზე გადართვისასაც; მაგალითად, დილით მშობლებთან განშორებისას მწარე ტირილი, ალელვება, დღის ბოლოს კი - ეკზალტირებული ქცევის ნიშნები. ურთიერთობა აღმზრდელთან, როგორც წესი, ზედაპირულია, დასაწყისში არ ვლინდება არავითარი მიჯაჭვულობა მისდამი. დღის განმავლობაში ბავშვს აკლია ემოციური სიტბო, რომელსაც ასე მიეჩვია სახლში, სადაც ყველა ურთიერთობა ძირითადად ემოციურ კონტაქტებზე დაიყვანება, მას ცოტას ეთამაშებიან, და თუ ეთამაშებიან, არ ახდენენ ინიციატივის, დამოუკიდებლობის აქტივაციას. ამის დასტურია ჯგუფში ქცევაც - ძირითადად სათამაშოებით მანიპულირება მარტო ან მოზრდილებთან და თანატოლებთან ერთად. ოჯახშიც ბავშვის თამაში გაყიფილია ურთიერთობისგან. ახლობლებთან ურთიერთობა ხორციელდება ემოციურ დონეზე, თამაში კი ვითარდება ინდივიდუალურ პლანში, ამ დროს არ არის მოზრდილთან თანამშრომლობა.

აღმზრდელთან პრაქტიკული ურთიერთქმედების ჩვევების არარსებობა, დაწეული სათამაშო აქტივობა ურთიერთობის აწეული მოთხოვნილებით ართულებს ბავშვის ურთიერთობებს თითქმის ყველა მოზრდილთან, რომლებიც მას გარს არტყიან საბავშვო ბაღში. ბავშვს უჭირს უცხო ადამიანთან ემოციური კონტაქტის დამყარება, აღმზრდელი კი ყოველთვის ვერ ეხმარება ბავშვს ამაში.

ამრიგად, საწყისი უნდა ვეძებოთ მოზრდილთან ბავშვის ემოციური ურთიერთობის გახანგრლივებებულ ფორმასა და სხვა ურთიერთობის ფორმას შორის - ჩამოყალიბების პროცესში მყოფ საგნებთან მოქმედების, რომელიც მოითხოვს სხვა ფორმას - თანამშრომლობას. ახალ სოციალურ გარემოში გადასვლა ამწვავებს ამ წინააღმდეგობას.

ამრიგად, საგნობრივი ქცევის განვითარების მაღალი დონე - ესაა მოზრდილებთან საქმიანი კონტაქტების აწყობის უნარი, რაც უზრუნველყოფს ბავშვის ემოციურ კეთილდღეობის განცდას და, საბოლოო ანგარიშით, მის სწრაფ ადაპტაციას საბავშვო ბაღში.

მეორე ჯგუფის განმასხვავებელი თავისებურებებია: საგნებთან მოქმედების სუსტი განვითარება, თამაშზე კონცენტრირების უუნარობა, სათამაშოს არჩევის ინიციატივის არარსებობა, უფროსებთან საქმიანი კონტაქტების აწყობის შეუძლებლობა. ჩამოთვლილი თავისებურებების მქონე ბავშვები, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, წინასწარ უნდა მომზადდნენ საბავშვო ბაღში შესასვლელად.

აუცილებელია მივაქციოთ ყურადღება ურთიერთობის იმ მხარეებს, რომლებიც აიოლებენ საგნობრივი ქცევის ჩამოყალიბებას. უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, როგორი კონტაქტები ურჩევნია ბავშვს - ემოციური თუ საქმიანი. პირველი ფორმის უპირატესობა მიუთითებს იმას, რომ მეორე ფორმა უნდა განვითარდეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უნდა შევწყვიტოთ პატარასთან პიროვნული ურთიერთობა. კეთილგანწყობილი ყურადღების მოთხოვნილება ძველებურად ურთიერთობის გულია, მისი განვითარების საფუძველი. საჭიროა მხოლოდ თანდათან უკვე არსებული ურთიერთობის ფორმა შეავსო ახალი კავშირებით, წინ წამოვიწიოთ საგნობრივი ქცევა, შევთავაოთ ბავშვს ურთიერთობის ახალი ტიპი.

ასაკთან ერთად უცხო ადამიანებთან კონტაქტების ხასიათი, ისეთები, როგორც მოლოდინი და დადებითი ემოციური დამოკიდებულება, იცვლება ინიციატივიანი და აქტიური ქმედებებით, რომლებიც მიმართულია მოზრდილის ყურადღების მოსაზიდად და გამოხატულ კეთილგანწყობაზე მისდამი. რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო მეტადაა დამოკიდებული მისი მოზრდილთან ურთიერთობის ინიციატივა ამ უკანასკნელის აქტივობაზე.



უმცროსი სკოლამდელები (3-4 წლის) ეძიებენ მოზრდილის დახმარებას თამაშის ორგანიზებაში და პრაქტიკული ამოცანების შესრულებაში; მათ ახასიათებთ საქმიანი ინტერესი სხვა ადამიანისადმი. საშუალო სკოლამდელების (4-5 წლის) შემეცნებითი ინტერესები კარგავენ თავიანთ ვიწროსიტუაციურ ხასიათს და გამოდიან იმ კონკრეტული პირობების ჩარჩოებიდან, რომელშიც ხორციელდებოდა მოზრდლთან თანამშრომლობა; შემეცნებითი ინტერესები იძენენ ბავშვების ფართო ცნობისმოყვარეობის ხასიათს. უფროსი სკოლამდელებისთვის არსებით მნიშვნელობას იძენს პირადი კონტაქტები უფროსებთან, რომელთა დროს ბავშვი იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას გაუგოს ადამიანებს და მათ ურთიერთობებს, მიიღოს მოზრდილისგან თავისი მიღწევებისა და მთლიანი პიროვნების შეფასება.

აღზრდელები, პედაგოგები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს პროსოციალური უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობაში. „მასწავლებელი-ბავშვი წარმოადგენს გაგრძელებას პირველადი ურთიერთობისა მშობელი-ბავშვი“ (Edwards & Raikes, 2002).

ამრიგად, სკოლამდელი ბავშვობის ჩარჩოებში დაბადებიდან 7 წლამდე თანმიმდევრობით იცვლება *მოზრდილთან ურთიერთობის 4 ფორმა*;

*1. სიტუაციურ-პიროვნული ან უშუალო-ემოციური ფორმა.*

მოზრდილი ორგანიზებას უკეთებს ურთიერთობის ატმოსფეროს. 2 თვისთვის მოზრდილის დახმარებით ყალიბდება კომუნიკაციური მოთხოვნილება. ურთიერთობის ამ ფორმის არსებითი ნიშანია - მოზრდილების მხრიდან კეთილგანწყობილი ყურადღების, ემოციური კონტაქტის ბავშვის მოთხოვნილების დაკმაყოფილება

*2. მოზრდილებთან ურთიერთობის სიტუაციურ-საქმიანი ფორმა*

პირველი ნახევარი წლის ბოლოსთვის ბავშვი იწყებს საგნების აღებას და მანიპულირებას მათით. ის უმარტივეს მანიპულაციებს ატარებს მათით. პატარას უნდა, რომ უფროსები მასთან ერთად ჩაერთონ ამ პროცესში, ის მოითხოვს თავის „საქმეებში“ მონაწილეობას. 1,1,5 წლისთვის იგი უფროსის ნიმუშით მოქმედებს.

*3. ურთიერთობის სიტუაციისგან დამოუკიდებელი-შემეცნებითი ფორმა.*

3-დან 5 წლამდე ურთიერთობის ფორმა, როგორც მეორე, გაშუალებული, მაგრამ ჩაწნულია არა უფროსებთან პრაქტიკულ თანამშრომლობაში, არამედ მასთან ერთად

შემეცნებით ქცევაში. ცნობისმოყვარეობის განვითარება აიძულებს ბავშვს სულ უფრო რთული ამოცანების დაყენებას.

#### *4. ურთიერთობის სიტუაციისგან დამოუკიდებელი-პიროვნული ფორმა*

უფროსი სკოლამდელები, წინა ასაკის ბავშვებთან შედარებით, ბევრად უფრო დამოუკიდებლები არიან. მათ წინაშე დგას ახალი ამოცანა - აითვისონ ადამიანთა სამყაროში ქცევის წესები, ისწავლონ თავისი ქცევისა და მოქმედების კონტროლი. მოზრდილი - ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა მოქცევა (Русская, 1988).

ამრიგად, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სკოლამდელი ასაკის განმავლობაში ბავშვები შედიან ურთიერთობაში განსხვავებული მოტივებით, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი ჯგუფი - საქმიანი, შემეცნებითი და პიროვნული მოტივები.

სკოლამდელი პერიოდის დასაწყისში ურთიერთობაში უპირატესი მნიშვნელობა აქვს საქმიან მოტივებს, შემდეგ კი საქმიანი და შემეცნებითი ხასიათის მოტივებს.

სკოლამდელ დაწესებულებაში შესვლისას ბავშვი შეეჯახება კიდევ ერთ პრობლემას - თანატოლებთან ურთიერთობას. ბავშვები სხვადასხვანაირად იქცევიან თანატოლების საზოგადოებაში: ზოგი თავს არიდებს მათ, სხვები სიამოვნებით შედიან კონტაქტებში. პირველ შემთხვევაში მდგომარეობა, დამძიმებული მოზრდილებთან ურთიერთობის უუნარობით, არ კომპენსირდება თანაბარ პარტნიორთან ურთიერთობის სიხარულით, რაც ამძიმებს შფოთვის, დისკომფორტის მდგომარეობას.

თანატოლებთან კონტაქტები უფრო გვიან აეწყო, ვიდრე მოზრდილებთან ურთიერთობა. პირველი წლის განმავლობაში ბავშვის ყურადღება კონცენტრირდება მოზრდილზე, შემდეგ საგნებზე. მაგრამ თანდათან სასიცოცხლო გამოცდილება ფართოვდება. ურთიერთობის მოთხოვნილება უბიგებს ბავშვს ეძებოს ემოციური კონტაქტი არა მხოლოდ მოზრდილთან, არამედ თანატოლებთან, სხვა ადამიანებთან. თავიდან ინტერესი გამოიხატება ღიმილში, ახალი ადამიანის ქმედებებზე დაკვირვებით, მასთან მიახლოების, ხელის მოკიდების სურვილით. უკვე მეორე წელს

ბავშვებს შორის ჩნდება მრავალნაირი კონტაქტები, რომლებიც მოიცავენ როგორც დადებით, ისე უარყოფით ურთიერთობებს. მოზრდილის როლია მოცემულ ეტაპზე - გადაიტანოს ინტერესი თანატოლისადმი ობიექტურიდან სუბიექტურ თვისებებზე. მოზრდილის ყურადღება, ალერსიანი დამოკიდებულება - პიროვნული კონტაქტების, დადებითი ურთიერთმიმართების დამყარების ერთ-ერთი მაგალითია. ამ მხრივ სასარგებლოა ერთობლივი თამაშები - მოზრდილი და რამდენიმე ბავშვი. თამაშით ხელმძღვანელობისას მოზრდილი აყალიბებს ერთად თამაშის უნარ-ჩვევას.

რ.სანდლერი აღნიშნავს მეორე წლის ბავშვების ურთიერთ-კონტაქტების განსხვავებულ სახეებს შორის ემოციურად დამუხტულ ურთიერთობის ფორმას, რომელიც წარმოადგენს თანატოლის თანატოლის მიმართ სიმპატიის გამოვლენის ყველაზე ადრეულ ფორმას. ეს არაა არც თამაში და არც ერთობლივი საქმიანობა, არამედ ქცევაა, რომელშიც ვლინდება ბავშვების ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, რაც წარმოიქმნება ბავშვის ემოციური მდგომარეობის გავლენით. ბავშვი თვალშისაცემი მიზეზის გარეშე მიდის მეორე ბავშვთან, ეფერება მას (Сандлер, 1950).

ასაკთან ერთად ურთიერთობის მოთხოვნილება ფართოვდება და ღრმავდება როგორც ფორმით, ისე შინაარსით. მეორე წლის ბოლო, მესამე წლის დასაწყისი - ურთიერთობის განვითარების ახალი ეტაპია. ამ მომენტისთვის თანატოლი სულ უფრო იზიდავს ბავშვს როგორც პარტნიორი თამაშში. თუმცა ეს თამაში თავიდანვე განსხვავდება უფროსთან ურთიერთობისგან. ბავშვების ურთიერთინტერესი პოულობს გამოვლენას განსაკუთრებულ ურთიერთქმედებაში, რომელიც გაიფურჩქნება მესამე წელს. პირველი შეხედვით ურთიერთობა ამ პერიოდში უმიზნოა: სირბილი, ხტომა, გორაობა, აღტაცებული ყიჟინა. თითქოს ყველა მოქმედება ატარებს ერთმანეთისთვის თავიანთი უნარების დემონსტრაციის ხასიათს. მაგრამ, მსგავსი კონტაქტები, უპირველეს ყოვლისა, უყალიბებენ ბავშვებს ქცევის სხვებთან შეთანხმების უნარს. თავდაპირველი ინტერესი სხვა ბავშვისადმი, როგორც საინტერესო სათამაშოსადმი, იცვლება პიროვნულად-ორიენტირებული დამოკიდებულებით. დადებითი ემოციები იწვევენ დაკმაყოფილებას და სიამოვნების გაწელვის სურვილს. თუ 3-4 წლის ბავშვი ჯერ კიდევ კმაყოფილდება სათამაშოებით, 5 წლისას სჭირდება ამხანაგი თანატოლები. ეს ურთიერთობის მოთხოვნილება

სწორედ ბავშვებთან მკაფიოდ გამოხატა 6 წლის პატარამ. როცა ეკამათებოდა დედას, რომელიც სთავაზობდა საკუთარ თავს არმოსული მეგობრის სანაცვლოდ, მან უთხრა „მე ბავშვები მჭირდება, შენ კი არა ხარ ბავშვი“. ცნობილია, რომ დაწყებული 4-5 წლიდან ბავშვების იზოლაცია - დასჯის ერთ-ერთი უმძიმესი ფორმაა (Коломинский, 1984).

თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილების ზრდას მოყვება ის, რომ სკოლამდელების ჯგუფი - ეს უკვე რთული სოციალურ-ფსიქოლოგიური ერთეულია.

ბავშვის მოსვლა საბავშვო ბაღში - ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი მის ცხოვრებაში: იცვლება მისი ფსიქიკური განვითარების სოციალური სიტუაცია. იმ მომენტიდან, როცა ბავშვი ხვდება თანატოლთა ჯგუფში, მისი ინდივიდუალური განვითარება უკვე ვერ განიხილება, ვერ შეისწავლება ჯგუფში სხვა ბავშვებთან ურთიერთქმედების გარეშე. სწორედ ჯგუფში, თანატოლებთან ურთიერთობის ნიადაგზე ეყრება საფუძველი პიროვნების ძირითად ზნეობრივ თვისებებს.

ზოგიერთი სოციალური ჩვევები ყალიბდება თამაშის პროცესში: საერთო მიზნისთვის ერთობლივი მუშაობის უნარი, თანამშრომლობა თანატოლებთან, საუბრის ინიცირება და გაგრძელება. მსგავსი ინტერესები შეიძლება მეგობრობაში გადაიზარდოს. მეგობრობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ურთიერთობები აზრთა, გრძნობათა გაცვლით, ერთმანეთის ნუგეში აუცილებლობის შემთხვევაში (ბერკი, 2002).

ამრიგად, სკოლამდელ ბავშვობაში გამოიყოფა შემდეგი **ურთიერთობის ფორმები**:

*1. ემოციურ-პრაქტიკული ფორმა (2-დან 4 წლამდე).*

ესაა ბავშვებს შორის კომუნიკაციური ურთიერთქმედების მარტივი ფორმა. თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილების შინაარსი ვლინდება საერთო გართობებში თანამონაწილეობის სახით. თანატოლებთან ურთიერთობის ამ ფორმის თავისებურებები ხელს უწყობენ ინიციატივის გაშლას, რადგან ასეთ კონტაქტებში ბავშვები თავისუფლად გრნობენ თავს და თანაბარ პირობებში მოქმედებენ. ასეთი ურთიერთობა აძლევს საშუალებას ბავშვს თავისი შესაძლებლობები დაინახოს.

*1. სიტუაციურ-საქმიანი ფორმა (4-დან 5 წლამდე)*

თანატოლებთან ურთიერთობის როლი იზრდება 4 წელზე უფროს ბავშვებთან სხვა სახის აქტივობებს შორის. ეს დაკავშირებულია სკოლამდელების წამყვანი ქცევის - სიუჟეტურ-როლური თამაშის ტრანსფორმირებასთან. სიუჟეტი სიმკვეთრეს იძენს, მასში გამოიყოფა ცალკეული დასრულებული ეპიზოდები, წამყვანი როლები და ა.შ. მაგრამ, ყველაზე მთავარია - 4 წლიდან სიუჟეტურ-როლური თამაში ნამდვილად კოლექტიური ხდება.

სიტუაციურ-საქმიანი ურთიერთობის ჩარჩოებში თანატოლებთან კონტაქტის პროცესში სკოლამდელები მიისწრაფიან დაამყარონ ერთმანეთთან საქმიანი თანამშრომლობა. სწორედ ეს სწრაფვა წარმოადგენს მათი კომუნიკაციური მოთხოვნილების ძირითად შინაარსს.

ემოციურ-პრაქტიკული ურთიერთობისას ბავშვები გვერდი-გვერდ მოქმედებენ, იშვიათად ან ზედაპირულად ეხებიან ერთმანეთს. ასეთ კონაქტებს შეიძლება ვუწოდოთ „თანამონაწილეობა“. სიტუაციურ-საქმიანი ურთიერთობისას სკოლამდელები საერთო საქმით არიან დაკავებულნი და, თუმცა საქმის ნაწილს ინდივიდუალურად ასრულებენ, მაინც ცდილობენ მოაღწიონ მოქმედებების შეთანხმებას, საერთო მიზანს.

სიტუაციურ-საქმიანი ურთიერთობის ჩარჩოებში ბავშვი მიისწრაფის გახდეს თავისი ამხანაგების ინტერესისა და შეფასების ობიექტი. თანატოლების ყურადღების მოპყრობის სწრაფვა ამ დროს მაქსიმალურ სიციხადეს იძენს.

ამხანაგებთან ურთიერთობის განვითარებაში ჩამორჩენა სიტუაციურ-საქმიანი ურთიერთობის ჩარჩოებში ახდენს უკვე საგრძნობლად უარყოფით გავლენას ფსიქიკურ განვითარებაზე. ბავშვები მძიმედ განიცდიან თავიანთ გარიყულობას, რაც დაკავშირებულია თამაშში მონაწილეობის შეუძლებლობასთან. ეს წარმოშობს პასიურობას, გულჩათხრობილობას, ზოგჯერ კი არაკეთილმოსურნეობასაც. ურთიერთობის მეორე ფორმა თხოულობს უფროსების ზრუნვას მის ჩამოსაყალიბებლად, განსაკუთრებით, შეფერხების შემთხვევაში.

### *3. ურთიერთობის არასიტუაციურ-საქმიანი ფორმა (6-დან 7 წლამდე)*

ბავშვობის ამ პერიოდის ძირითადი მისწრაფება, რომელიც უბიძგებს სკოლამდელებს უფრო რთული კონტაქტებისკენ - ესაა თანამშრომლობის წყურვილი. ისევე, როგორც

წინა ეტაპზე თანამშრომლობა, რომელსაც პრაქტიკულ-საქმიანი ხასიათი აქვს, იმლება თამაშის ფონზე. მაგრამ თამაში საგრძნობლად იცვლება. ფანტაზიით შეფერილ თამაშებს სიუჟეტებით და როლებით, ცვლიან თამაშები წესებით. უფროსი სკოლამდელებისთვის ეს ვარჯიშითაა სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. ეს თამაშები ეხმარებიან მათ გააცნობიერონ თავიანთი მოვალეობები, რომლებიც საერთო წესების სახით არსებობენ.

თანატოლებთან ურთიერთობის პროცესში ბავშვი შეიცნობს საკუთარ თავს შედარების გზით. თუ მოზრდილებთან ურთიერთობა შეიძლება შევადაროთ დახრილ სიბრტყეს, თანაბარ პარტნიორთან ურთიერთობა ხორციელდება, ასე ვთქვათ, ჰორიზონტალურ სიბრტყეში, რომელიც აჩენს თვითშემეცნების ახალ რაკურსს. ერთმანეთთან თავისუფალი, არარეგლამენტირებული ფორმით ურთიერთობისას, ბავშვები თავისებურად შეიმეცნებენ საკუთარ თავებსაც და სხვებსაც. თანასწორთან ურთიერთობა - ეს თვითგამოხატვის საშუალებაა. მამასადამე, დროული კონტაქტები შეუქმნიან ბავშვს თანატოლთა ჯგუფში ყოფნის, მათთან ურთიერთობის სურვილს.

განსაკუთებულ პრობლემას წარმოადგენენ კომუნიკაციური სიძნელებები, რომლებიც წარმოიქმნება ოჯახის გარეთ - ნეგატივიზმიდან, აგრესიიდან და სიჯიუტიდან, შიშის, დაურწმუნებლობის და აღმზრდელის წინაშე სიმორცხვის გამოხატულ ფორმებამდე. კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, სხვა ადამიანის გაგების უნარი, მისი მისწრაფებების საკუთარ გეგმებთან და მიზნებთან შეფარდების, სხვისი მოთხოვნილებების, გრძნობების, განცდების წარმოდგენის უნარი, მოითხოვს პიროვნებათშორისი ურთიერთობის საკმარის გამოცდილებას. თუ ბავშვი ურთიერთობს მხოლოდ რამდენიმე ახლობელ ადამიანთან, მაშინ, როგორც წესი, ის სიძნელებებს განიცდის ამ ვიწრო წრიდან გადასვლისას ბავშვთა ჯგუფზე სკოლამდელ დაწესებულებაში.

სკოლამდელებთან აგრესიის გამოვლენა ბავშვების დაცინვის საპასუხოდ, სხვა ადამიანებთან კონფლიქტები (ბავშვებთან და მოზრდილებთან) და სხვა ტრავმული სიტუაციები - საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. სიჯიუტეს და აგრესიულობას შეიძლება ქონდეთ განსხვავებული მიზეზები - სირთულეები მშობლებთან

(აგრესიული მშობლები, ან მათ მიერ ბავშვის უგულვებელყოფა, ან, პირიქით, ზედმეტი დათმობა). ქცევის დარღვევების საფუძვლად აფექტური პიროვნულად მნიშვნელოვანი განცდების მთელი კომპლექსი დევს. ეს შეიძლება იყოს წყენასთან, შელახულ თავმოყვარეობასთან, ახლობლებთან კოფლიქტთან (პირველ რიგში, დედასთან) დაკავშირებული განცდები. ასეთი ტიპის რეაქციები ყოველთვის შერჩევითი მიმართულობისაა: პირველად ისინი ყოველთვის ჩნდება იმ სიტუაციაში, რომელიც ფსიქოტრავმულია, და მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვისაც ბავშვი თვლის უსიამოვნო განცდებისა და კონფლიქტების მიზეზად. ოჯახში ეს შეიძლება იყოს კონფლიქტები მშობლებთან, ეჭვიანობა გაჩენილი უმცროსი ბავშვის მიმართ, ხშირი უსამართლო ან ბავშვისთვის გაუგებარი დასჯა, ბავშვის შეურაცხმყოფელი მოქმედებები ან ქცევა. საბავშვო ბაღში ეს ყველაზე ხშირად არის აღმზრდელთან, სხვა ბავშვებთან ვერაწყობილი ურთიერთობა, სოციალური იზოლაცია, ადაპტაციის დარღვევა.

ზემოთ ჩამოთვლილი სიტუაციების წარმოქმნისას აუცილებელია მათი ზედმიწევნითი ანალიზი, ბავშვის სიძნელეების გამოვლენა, მიზეზების დადგენა და, შესაძლებლობისდაგვარ, მათი გამოსწორება, შემდეგ ბავშვში საჭირო უნარ-ჩვევების, აგრეთვე სხვა ადამიანებისადმი ადექვატური განწყობების ჩამოყალიბება. მოზრდილის ყურადღება და უზარმაზარი მოთმინება - წარმატების აუცილებელი პირობებია.

მთლიანობაში სკოლამდელ ბავშვთა აგრესიული ქცევის წყაროები განპირობებულია, ერთი მხრივ, მათი ბიოლოგიური ქარაქტეროლოგიური თავისებურებებით, ტემპერამენტით, ემოციური აგზნებადობით, მეორე მხრივ - სოციალური მიზეზებით: ოჯახში ან კოლექტივში მდგომარეობით, ამ მდგომარეობით დაკმაყოფილების ხარისხით, თანატოლებთან ურთიერთობის უნარით, თამაშის უნარ-ჩვევის განვითარებით და საქმიანობის სხვა სახეების ფლობის დონით.

ბავშვისადმი ყურადღება, მისი ქცევის მარჯვე ხელმძღვანელობა, სიჯიუტის და ჭირვეულობის წინასწარ არიდება, რომელთა საფუძველზე შემდგომში შეიძლება განვითარდეს აგრესიული ქცევა, ბავშვში ურთიერთობის ჩვევების

გამომუშავება, მისთვის სხვა ბავშვებთან ურთიერთობის პირობების შექმნა, მისი სოციალური გამოცდილების ორგანიზება ოჯახში თბილი, თანაბარი ემოციური კლიმატის ფონზე - ყველაფერი ეს შეძლებს სკოლამდელებთან აგრესიის გამოვლენის აცილებას და მისი შემდგომი განვითარების არდაშვებას.

არსებით როლს თამაშობს აგრეთვე საკუთარი ქცევის ნებელობითი რეგულაციის ჩამოყალიბებულობის საფეხური, სკოლამდელი დაწესებულებისადმი ადაპტაციების დინამიკა, აგრეთვე, აღმზრდელების პროფესიული კვალიფიკაცია და პიროვნული თვისებები.

თანატოლებთან არაადეკვატური ურთიერთობები შეიძლება დაკავშირებული იყოს სოციალური მოტივების არასაკმარის განვითარებასთან, აუცილებელი კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარების დაბალ დონესთან, ქცევის იმ ფორმების ჩამოყალიბებულობასთან, რომლებშიც ბავშვები დამოუკიდებელ აქტიურ ურთიერთობას ამყარებენ.

ქცევის ყველაზე ადეკვატურ ფორმას აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად წარმოადგენს კოლექტიური თამაში. თუ საწყის ეტაპზე ბავშვის თამაშების ინიციატორი მოზრდილია, შემდგომში ბავშვი თითონ იღებს ინიციატივას საკუთარ ხელში. თამაშისადმი ინტერესი სკოლამდელ ასაკში იმდენად დიდია, რომ იგი ეძებს პარტნიორებს არა მხოლოდ ნაცნობ, არამედ უცნობ ბავშვებს შორისაც.

ბევრი მშობელი თვლის, რომ თუ ბავშვები დიდი ხნის განმავლობაში ეურთიერთობიან სხვა ბავშვებს, ისინი შეიძენენ სოციალურ უნარ-ჩვევებს. მაგრამ სოციალიზაცია - ეს უბრალოდ ურთიერთობა არაა, ესაა იმის სწავლის პროცესი, თუ როგორ უნდა ააწყო ურთიერთობა სხვა ადამიანებთან. ხშირად, თანატოლებთან ურთიერთობა არ ნიშნავს თანამშრომლობის უნარ-ჩვევების შეძენის საშუალებას. თანატოლებისგან განსხვავებით, მოყვარული და მგრძნობიარე მშობლები, ბავშვებთან ურთიერთქმედებისას ეყრდნობიან ემოციურ რესურსებს. მათ შეუძლიათ:

- გაიგონ ემოციათა მიზეზები და შედეგები;
- სხვა ადამიანთა ემოციების გაგება;



- ემოციის აღწერა სიტყვიერად;
- საკუთარი ემოციები რეგულირება;

ჩამოთვლილი მაჩვენებლები, როგორც ცნობილია, ითვლება ე.წ. „ემოციური ინტელექტის“ განვითარების კრიტერიუმად (Mayer, J., and all, 2004).

სკოლამდელის ძირითადი სოციალური უნარ-ჩვევები - ემპათია, ემოციური თვითკონტროლი და ვერბალური კომუნიკაცია - საუკეთესოდ ვითარდება მშობლების დამსახურებით (Dewar, G., 2006-2009).

ბავშვის სოციალური უნარ-ჩვევებისა და ემოციური კომპეტენციის გასავითარებლად აუცილებელია ბავშვთან მის გრძნობებზე ლაპარაკი. ვიმსჯელოთ, რა სიტუაციებში ვგრძნობთ თავს ცუდად და რაში კარგად. როცა მშობლები უხსნიან ემოციებს და მათ მიზეზებს, ბავშვები სწავლობენ თავიანთი ემოციების რეგულაციას (Denham and all, 1992).

ბავშვები, რომლებსაც შეუძლიათ მშობლებზე დაყრდნობა და გრძნობენ მათ მხარდაჭერას, ემოციურად უფრო გაწონასწორებულები არიან. მათთვის უფრო ადვილია ახალ სოციალურ სიტუაციებთან ადაპტაცია (Dewar, G., 2006-2009).

ვვარაუდობ რომ, ახალი პირობებისადმი შედარებით სწრაფი ადაპტაცია შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მათთვის სპეციალური მომზადებით, მისი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეთანხმებული იქნება აღმზრდელებისა და მშობლების მოქმედება ბავშვებში აუცილებელი ჩვევების, კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებაში, რომლებიც ხელს უწყობენ მოზრდილებთან და თანატოლებთან კონტაქტების დამყარებას. თამაშის უნარ-ჩვევები, სხვა ბავშვებთან ურთიერთობის უნარი ხელს უწყობს ბავშვის ადაპტაციას ახალი სოციალური გარემოს პირობებთან.

## თავი 2

### საბავშვო ბაღის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის სირთულეების კვლევა

#### 2.1 ბაღისადმი ბავშვთა ადაპტაციის ინდენტიფიკაცია.

საბავშვო ბაღში მოხვედერა, ბავშვთა უმრავლესობისთვის, დაკავშირებულია სტრესულ განცდებთან. სკოლამდელი ასაკის ბავშვის ცხოვრებისეული გამოცდილება მწირია და რადგან ნებისმიერი ადაპტაცია მოითხოვს ადრე შექმნილი სტერეოტიპების მკვეთრ შეცვლას მისი შეგუება ახალ პირობებისადმი დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან. ბავშვი განიცდის მშობლებთან (თუნდაც დროებით), ჩვეულ ოჯახურ სიტუაციასთან განშორებას. მას უჩნდება დაუცველობის, დაურწმუნებლობის გრძნობა. მისი შფოთვის დონე მატულობს. ჩვენი კვლევა წარმართა ამ სირთულეების ინდენტიფიკაციისათვის.

საბავშვო ბაღისადმი ბავშვთა სოციალური ადაპტაციის სირთულეების გამოსავლენად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მეთოდები შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინებით. სკოლამდელი ასაკის თანამედროვე მკვლევართა ერთერთ ჯგუფს (Spence, Rapee, McDonald, Ingram ) მიაჩნია, რომ ბავშვთა თვითანგარიშის გაზომვის გამოყენება სკოლამდელ ასაკში მაგ., სპილბერგერის State-Trait Anxiety Inventory for Children (1973) და მსგავსი (რეინოლდსი 1978) არ იძლევა გარანტიას, რომ ბავშვებს ადექვატურად ესმით კითხვები, ხოლო სურათებიანი მეთოდები, მაგ. Martini (1990) Halpern, Ellis, Simon (1990) Gibenheim, O'Dell (1984) „ზომავს შფოთვის მხოლოდ ძალიან ვიწრო სფეროებს, მაგალითად, სეპარაციის შიშს, ძაღლების ან სიბნელის შიშს (Spence 2001). ჩვენ პრინციპში ვეთანხმებით ამ ავტორებს პირველ შენიშვნაში, მაგრამ მიგვაჩნია, რომ პროექციული სურათებიანი მეთოდი შეიძლება მოიცავდეს მრავალ სფეროს. აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით კვლევის პირველ ეტაპზე გამოვიყენეთ ცდისპირებზე (ბავშვებზე) დაკვირვების მეთოდი, პროექციული მეთოდების სხვადასხვა ვარიანტი, კერძოდ, შფოთვის დონის დიაგნოსტიკის მეთოდიკა, შემუშავებული ე.ამენის, მ.დორკის, და რ. ტემპლის მიერ (იხ დანართი 1),

უფროსებთან, თანატოლებთან, დებთან და ძმებთან ურთიერთობის ხარისხის გამოსავლენად - რენე ჟილის მეთოდის (იხ. დანართი 3) ; თვითშეფასების დონის დასადგენად ლ. პონომარენკოს მიერ შემუშავებული პროექციული მეთოდის „ხე“ (იხ. დანართი 4), სოციომეტრიული მეთოდი საბავშვო ბაღის ჯგუფში ბავშვთა სტატუსის დასადგენად.

## მეთოდი I.

### 2.2. კვლევის პირველი სერია. დაკვირვება.

#### 2.2.1. მონაწილეები

დაკვირვება ტარდებოდა (15.09.05-19.09.05.) ქ. თბილისის საბავშვო ბაღებში (№1, 137 და „ჩიორა“). დაკვირვების ობიექტი იყო 61 ბავშვი (33-გოგონა და 28-ბიჭი).

#### 2.2.2. კვლევის პროცედურა

დაკვირვება ტარდებოდა ბავშვების ბაღში მოსვლის პირველი დღეების დილის საათებში (9.30-13.00) და საღამოს საათებში (16.30-18.00) ბავშვების სახლში წასვლისას. დაკვირვების შედეგები ფიქსირდებოდა ოქმში (იხ. დაკვირვების ოქმის ნიმუში).

#### ცხრილი 1. დაკვირვების ოქმის ნიმუში

N	ბავშვის სახელი	ასაკი	როგორ ემშვიდობება მშობელს დილას	თამაშში ჩართულობა	მეცადინეობაზე აქტივობა	როგორ ხვდება მშობელს საღამოს
1.	ანა. შ.	3,5 წ.	მშვიდად	ჩართულია	აქტიურობს	მშვიდად
2.	მარი ბ.	3,10 წ.	მშვიდად	ჩართულია	არ ავლენს აქტიურობას	მშვიდად
3.	ნინო .ე.	3,10 წ.	მშვიდად	ჩართულია	არ ავლენს აქტიურობას	მშვიდად

4.	აკაკი კ.	3,11 წ.	მოწყენილი	არ ერთვება თამაშში	არ აქტიურობს	მშვიდად
5.	გეგა დ.	3 წ.	მშვიდად	აგრესია (ცდილობს ინიციატივა აიღოს საკუთარ თავზე)	ხანერტვება, ხან უარს ამბობს	გამოხატა დიდი სიხარული
6.	ნინო მ.	3,3 წ.	მშვიდად	არ ერთვება. ხან ზის მარტო, ხან თვითონ თამაშობს	პასიურობს, არ აქტიურობს	მშვიდად
7.	თეა ხ.	3 წ.	ტირის	ზის აღმზრდელთან	ისევ ატირდა	იტირა
8.	გეგა თ.	4 წ.	მშვიდად	ჩართულია თამაშში	აქტიურობს	მშვიდად
9.	ლუკა ვ.	3,4 წ.	მშვიდად	დაუნგრია ბავშვებს ნაგებობა	პასიურობს	მშვიდად
10.	მარი ბ.	3,11 წ.	მშვიდად	აქტიურობს თამაშის დროს	აქტიურია	მშვიდად
11.	ქეთი ჩ.	4 წ.	მშვიდად	ჩართულია თამაშში	აქტიურობს	გაუხარდა
12.	ანრი პ.	3,2 წ.	მოწყენილი	ჯერ აკვიდება სხვა ბავშვებს შემდეგ კი მარტო იწყებს თამაშს	უარს ამბობს, არ აქტიურობს	მშვიდად
13.	ამიკო ნ.	3,11 წ.	მოწყენილი	არ ერთვება, მარტო თამაშობს	არ აქტიურობს	მშვიდად
14.	ლუკა ს.	3,10 წ.	მშვიდად	ავლენს ლიდერის	ჩართულია, აქტიურობს	მშვიდად

				თვისებებს (თამაშის ინიციატორია)		
15.	გუგა ჩ.	3,9 წ.	მოწყენილი	ხან ერთვება თამაშში, ხან მოწყენილი ზის	არ აქტიურობს	მშვიდად
16.	ნუცა გ.	3,10 წ.	მშვიდად	ჩართულია თამაშში	პასიურობს	მშვიდად
17.	ზარზარე ჟ.	3 წ.	ტირის	დრო და დრო მიდის აღმზრდელთან და სთხოვს დედასთან წაიყვანონ	უარს ამბობს აქტივობაზე	ტირის
18.	ანა გ.	4 წ.	მშვიდად	ხან ერთვება თამაშში ხან თვითონ თამაშობს	აქტიურობს	მშვიდად

### 2.2.3. დაკვირვების შედეგი.

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა: თავდაპირველად, ბავშვისთვის ყველაფერი უჩვეულოა: დიდი ხმაურიანი ოთახი, უცნობი ბავშვები და უცხოა აღმზრდელები, განსხვავებული რეჟიმი, ჯგუფში მიღებული ქცევის წესების დაცვის აუცილებლობა. ამ ცვლილებებზე ბავშვები სხვა და სხვანაირად რეაგირებენ: ზოგი გულჩათხრობილი ხდება, ზოგი კი მოუსვენარი და ჭირვეული.

ჩატარებულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ გარდა ადაპტაციის სირთულეების მკვეთრი გამოვლინებებისა, როგორცაა ტირილი, აგრესია, უარის თქმა აღმზრდელებთან და თანატოლებთან ურთიერთობებზე, იყო ფარული ხასიათის გამოვლინებებიც: ბავშვი იყო მშვიდი, მაგრამ პასიური, არ იღებდა მონაწილეობას

საბავშვო ბაღის ცხოვრებაში, ბავშვებთან თამაშში და ხშირად დამკვირვებლის პოზიციას ირჩევდა.

ვვარაუდობთ, რომ საბავშვო ბაღში ახალმოსულ ბავშვების უმრავლესობას აღენიშნება მაღალი შფოთვის დონე. ამის დადასტურებლად ჩავატარეთ კვლევა შფოთვის დონის განმსაზღვრელი პროექციული მეთოდიკის გამოყენებით.

### **2.3. მეორე სერია. შფოთვის დონის გამოვლენა.**

პროექციული მეთოდიკების მთავარი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ამგვარ მეთოდიკებში არის შედარებით არასტრუქტურირებული ამოცანა, რომელშიც დასაშვებია სავარაუდო პასუხების შეუზღუდავი მრავალფეროვნება. იმისათვის, რომ ინდივიდის ფანტაზია თავისუფლად გამოვლინდეს, მას ეძლევა მხოლოდ მოკლე, ზოგადი ინსტრუქციები. ჰიპოთეზა, რომელზეც აგებულია ამგვარი დავალებები მდგომარეობს იმაში, რომ ინდივიდის მიერ ტესტური მასალის და სიტუაციების „სტრუქტურების“ აღქმა და ინტერპრეტაცია უნდა ასახავდეს მისი ფსიქიკის ფუნქციონირების ფუნდამენტალურ ასპექტს. ტესტური მასალა უნდა იმუშაოს ისე, რომ მასზე, როგორც ეკრანზე მოხდეს აზროვნების პროცესების, მოთხოვნილებების, შფოთვის და კინფლიქტების „პროეცირება“.

პროექციული მეთოდიკები წარმოადგენენ შენიღბულ ტესტირებას, ვინაიდან ცდის პირი ვერ ხვდება, თუ როგორი ინტერპრეტაცია მიეცემა მის პასუხებს საბოლოოდ.

პროექციული მეთოდიკები ხასიათდებიან აგრეთვე პიროვნების შეფასების გლობალური მიდგომით. აქ ყურადღება ფოკუსირდება მთლიან პიროვნებაზე და არა მის ცალკეულ თვისებებზე. რაც ნაკლებად არის სტრუქტურირებული ტესტი, მით უფრო მეტად მგრძნობიარეა იგი ამგვარ შენიღბულ მასალისადმი.

ექსპერიმენტულ კვლევაში ჩვენ გამოვიყენეთ ხატოვანი პროექციული მეთოდიკები, რადგან ამ მეთოდიკების გამოყენება უფრო მიზანშეწონილია სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე კვლევის ჩატარებისას, ამ ასაკისათვის დამახასიათებელი თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნების გამო.

ჩვენ შევჩერდით ისეთ სურათებიან მეთოდზე, რომელიც გაზომავდა ბავშვთა შფოთვის მრავალ სფეროს.

ბავშვებში შფოთვის დონის გამოსავლენად ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა ამენის და სხვ. შფოთვის საბავშვო ტესტი (იხ. დანართი 1). ტესტის ავტორები განიხილავენ შფოთვის როგორც ემოციურ მდგომარეობას, რომლის დანიშნულებაც სუბიექტის პიროვნულ დონეზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. შფოთვის მაღალი დონე მიგვანიშნებს ბავშვის ამა თუ იმ სოციალურ სიტუაციებისადმი არასაკმარის ემოციურ შემგუებლობაზე. შფოთვის დონის გამოვლენა გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ გარკვეული ტიპის სიტუაციებისადმი ბავშვის შინაგანი დამოკიდებულება და მივიღოთ ინფორმაცია ოჯახში, საბავშვო ბაღში, სკოლაში თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობის ხასიათზე.

ჩვენ სინამდვილეში ეს ტესტი პირველად გამოიყენა ადაპტირებული სახით ნ.იმედაძემ 1966 წელს.(გამოქვეყნდა მე-18 საერთაშორისო კონგრესისადმი მიძღვნილ კრებულში, რომელიც დაიბეჭდა დ.უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მიერ «Психологические исследования» რედ. ა.ფრანგიშვილი, 1966). მომდევნო წლებში ეს მეთოდიკა გამოყენებულ იქნა პრიხოჟანის მიერ (სასკოლო ასაკისათვის) (Прихожан,2000).

### **2.3.1.მონაწილეები**


კვლევა ჩატარდა (20.09.05-22.09.05) ქ. თბილისის სამ საბავშვო ბაღში (№№ 1, 137 და “ჩიორა“), სადაც მონაწილეობა მიიღო 3-4 წლის ასაკის 61 ბავშვმა. (აქედან 33-გოგონა და 28 ბიჭი). კვლევის ჩატარება შეთანხმებული იყო ბაღის ადმინისტრაციასთან და მშობლებთან.

### **2.3.2.კვლევის ინსტრუმენტი და პროცედურა.**

ექსპერიმენტული მასალა წარმოადგენს 14 ნახატს, რომელზეც გამოსახულია სკოლამდელის ცხოვრების ტიპიური სიტუაციები.

1. უმცროს ბავშვებთან თამაში. (ბავშვი თამაშობს პატარა ბავშვთან).
2. ბავშვი დედასთან ერთად ასეირნებს ჩვილ ბავშვს. (ბავშვი მიდის დედის გვერდით, რომელსაც ეტლით მიჰყავს ჩვილი ბავშვი).
3. აგრესიის ობიექტი. (ბავშვი გაურბის თავდამსხმელ თანატოლს).
4. მარტო ჩაცმა. (ბავშვი ზის სკამზე და იცმევს ფეხსაცმელს).
5. თამაში უფროს ბავშვებთან. (ბავშვი თამაშობს უფროს ბავშვთან).
6. დასაძინებლად წასვლა. (ბავშვი მიდის დასაძინებლად, ხოლო მშობლები ზიან სავარძელზე და უყურებენ ტელევიზორს).
7. პირის დაბანა. (ბავშვი მარტო იბანს პირს აბაზანაში).
8. საყვედური. (დედა საყვედურობს ბავშვს.)
9. იგნორირება. (მამა ეთამაშება უმცროს ბავშვს, უფროსი კი დგას მარტო).
10. აგრესიული თავდასხმა. (ტანატოლი ართმევს ბავშვს სათამაშოს).
11. სათამაშოების ალაგება. (დედა და ბავშვი ალაგებენ სათამაშოებს).
12. იზოლაცია. (ორი ბავშვი გაურბის ბავშვს, რომელიც მარტო რჩება).
13. ბავშვი მშობლებთან ერთად. (ბავშვი დგას დედის და მამის შუაში).
14. მარტო ჭამა. (ბავშვი ზის მაგიდასთან და ჭამს). (იხ. დანართი 1).

ტესტი სამ ნაწილისაგან შედგება: უფროსებთან ურთიერთობის სიტუაციები (გასეირნება მშობლებთან ერთად, დედისგან მიღებული საყვედური), ბავშვებთან ურთიერთობა (თამაში უფროს ბავშვებთან, თამაში უმცროს ბავშვებთან, იზოლაცია, აგრესიული თავდასხმა), ყოველდღიური მოქმედებები (ჩაცმა, ჭამა, დასაძინებლად მარტო წასვლა).



ზემოთაღწერილ ნახატებს დაემატა 4 ნახატი (იხ. დანართი 2), სადაც ასახულია საბავშვო ბაღის სიტუაციები:

1. ბავშვი დედასთან ერთად მიდის საბავშვო ბაღში.



2. აღმზრდელი უკითხავს ბავშვებს ზღაპარს.
3. ბავშვები თამაშობენ საბაშვო ბაღში
4. აღმზრდელი ბავშვებთან ერთად თამაშობს ბურთს.



ყოველი სიტუაცია ორ ვარიანტში იყო შესრულებული: გოგონებისთვის (ნახატზე გამოსახულია ცდის პირთან იდენტური ასაკის გოგო,) და ბიჭებისთვის (ნახატზე გამოსახულია, ცდის პირთან იდენტური ასაკის, ბიჭი,). სახე გამოსახულია კონტურით. ბავშვის წინ ედო ორი ამოჭრილი სახე: ერთი მხიარული, მეორე მოწყენილი და მას უნდა აერჩია მისთვის სასურველი სახე და დაედო კონტურზე. ბავშვისთვის ნახატების ჩვენება ხდებოდა მკაცრი თანმიმდევრობით. ნახატის წარდგენის შემდეგ ბავშვს ვუსმებდით კითხვას: “როგორ ფიქრობ, რა სახე ექნება ბავშვს მოწყენილი თუ მხიარული?”. ბავშვის არჩევანი ფიქსირდებოდა სპეციალურ ოქმში ( იხ. ცხრილი 2 და 3).

## ცხრილი 2.

## შფოთვის ტესტის ამსახველი ოქმის ნიმუში

ბავშვის სახელი და გვარი : <b>ლუკა სამხარაძე</b> ასაკი <b>4 წ.</b>			
კვლევის ჩატარები თარიღი: 19.09.05			
ნახატის ნომერი და შინაარსი	ბავშვის გამონათქვამების მაგალითები	სახის არჩევა	
		მხიარული +	მოწყენილი -
1. თამაში უმცროს ბავშვთან			-
2. ბავშვი დედასთან ერთად ასეირნებს		+	

ჩვილ ბავშვს			
3. აგრესიის ობიექტი			-
4. მართო ჭამა		+	
5. თამაში უფროს ბავშვთან		+	
6. მართო დასაძინებლად წასვლა	მე არ მეშინია მართო დაძინება	+	
7. პირის დაბანა		+	
8. საყვედური			-
9. იგნორირება			-
10. აგრესიული თავდასხმა			-
11. სათამაშოების ალაგება	მე ყოველთვის ვალაგებ სათამაშოებს	+	
12. იზოლაცია			-
13. ბავშვი მშობლებთან ერთად		+	
14. მართო ჭამა		+	

**ცხრილი 3. საბავშვო ბაღის სიტუაციების ამსახველი ოქმის ნიმუში**

ბავშვის სახელი და გვარი: <b>თეა სუხიტაშვილი.</b> ასაკი: 3 წ.		კვლევის	
ჩატარების თარიღი : 19.09.05			
ნახატის შინაარსი	ნომერი და ბავშვის გამოთქმების მაგალითები	სახის არჩევა	
		მხიარული +	მოწყენილი -
1. ბავშვი დედასთან ერთად მიდის საბავშვო ბაღში			-

2. აღმზრდელი უკითხავს ბავშვებს ზღაპარს	მე არ მიყვარს როცა კითხულობენ ზღაპარს		-
3. ბავშვები თამაშობენ საბავშვო ბაღში		+	
4. აღმზრდელი ბავშვებთან ერთად თამაშობს ბურთს		+	

ნახატებში შემოთავაზებული სიტუაციები ემოციური ელფერით განსხვავდებიან. ასე, 1,5 და 13 ნახატს აქვს დადებითი მნიშვნელობა. 3, 8, 10 და 12 - უარყოფითი მნიშვნელობა. ხოლო 2, 4, 6, 7, 9, 11 და 14 -არის ორაზროვანი. ორაზროვან ნახატებს აქვს ძირითადი პროექციული დატვირთვა. იმის მიხედვით, რომელ ემოციურ აზრს ანიჭებს ბავშვი ამა თუ იმ სიტუაციას, განისაზღვრება მისი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ, ურთიერთობის ნორმალური ან ტრავმული გამოცდილება. უარყოფითი შეფასებების რაოდენობის მიხედვით იზომებოდა თითოეული ბავშვის შფოთვის დონე.

### 2.3.3. შედეგების ანალიზი

ყოველი ბავშვის ოქმი რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის მიხედვით დამუშავდა. შფოთვის დონე დგინდებოდა მოწყენილი სახის არჩევის რაოდენობით: დაბალი 0-20%, საშუალო-20-50%, მაღალი- 50% ზევით. რაოდენობრივი ანალიზის შედეგად, 61 ბავშვიდან შფოთვის მაღალი დონე აღენიშნა 23 %, საშუალო-73,7% და დაბალი-3,3%. (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4.

ბავშვთა შფოთვის დონე

ბავშვთა რაოდენობა	შფოთვის დონე		
	მაღალი	საშუალო	დაბალი
61	14	45	2
100%	23%	73,7%	3,3%

აქტივობის სფეროების მიხედვით ანალიზის შედეგად ყველაზე ხშირად ნეგატიური შეფასება გამოვლინდა სიტუაციებში „ბავშვი-ბავშვი“ (აგრესიული თავდასხმა. იზოლაცია) და სიტუაციებში „ბავშვი-მოზრდილი“ (საყვედური). შედარებით იშვიათად ნეგატიური შეფასება გამოვლინდა ნახატებში „იგნორირება“, „სეირნობა ჩვილ ბავშვთან ერთად“, „ბავშვი მშობლებთან ერთად“. ყველაზე ხშირად სიტუაციების დადებითი შეფასება სიტუაციებში, სადაც ასახულია ყოველდღიური მოქმედებები (ჩაცმა. ჭამა. პირის დაბანა. დაძინება).

ცხრილი 5. შეფასება 3 სფეროს მიხედვით.

სფეროები	სიტუაციები	ბავშვთა რაოდენობა	
		უარყოფითი შეფასება	დადებითი შეფასება
„ბავშვი-ბავშვი“	თამაში უმცროს ბავშვთან	5	56
	თამაში უფროს ბავშვთან	2	59
	თავდასხმა	59	2
	აგრესიის ობიექტი	59	2
	იზოლაცია	58	3
„ბავშვი-მშობელი“	დედასთან ერთად ჩვილის გასეირნება	3	58
	იგნორირება	8	53
	სეირნობა მშობლებთან ერთად	1	60
	საყვედური	59	2

ყოველდღიური, „რუტინული“ მოქმედება	მარტო ჩაცმა	-	61
	სათამაშოების ალაგება	2	59
	პირის დაბანა	-	61
	მარტო ჭამა	-	61
	დასაძინებლად მარტო წასვლა	1	60

რაც შეეხება საბავშვო ბაღთან დაკავშირებულ სიტუაციებს, ბავშვების 65,5 % აღნიშნა დადებითი შეფასება -შფოთვითი რეაქციების არარსებობა, რაც ეწინააღმდეგება ჩვენს მოლოდინს საბავშვო ბაღის სიტუაციებისადმი ბავშვის უარყოფითი დამოკიდებულების მიმართ. (იხ.ცხრილი 6).

**ცხრილი 6. შფოთვის დონე „საბავშვო ბაღის სიტუაციების“ შეფასებისას**

ბავშვთა რაოდენობა	ნეგატიური შეფასების ციხშირე		
	მაღალი	საშუალო	დაბალი
61	13	8	40
100%	21,3%	13,1%	65,5%

სიტუაციების უარყოფითი შეფასების ხარისხობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბავშვის შფოთვის ყველაზე მაღალი სიხშირე გამოვლინდა სიტუაციაში: „ბავშვი დედასთან ერთად მიდის საბავშვო ბაღში“, ბავშვის შფოთვის ყველაზე დაბალი დონე კი: „აღმზრდელი ბავშვებთან ერთად თამაშობს ბურთს“ (იხ.ცხრილი 7).

**ცხრილი 7. საბავშვო ბაღის სიტუაციების შეფასება**

დავალების N	სიტუაცია	პასუხები	ბავშვთა
1	ბავშვი დედასთან ერთად მიდის საბავშვო ბაღში	+	38
		-	23

2	აღმზრდელი	+	43
	უკითხავს ბავშვებს ზღაპარს	-	18
3	ბავშვები თამაშობენ	+	43
	საბავშვო ბაღში	-	18
4	აღმზრდელი	+	51
	ბავშვებთან ერთად თამაშობს ბურთს	-	61

ვვარაუდობ, რომ არადეკვატური თვითშეფასების მქონე ბავშვს ხშირად აღენიშნება შფოთვის მაღალი დონე, რაც უქმნის მას ურთიერთობის სირთულეებს. თვით ადეკვატური შეფასება არ წარმოადგენს წარმატებული ურთიერთობის აუცილებელ პირობას. მაგრამ თუ თვითშეფასება დეფორმირებულია, ეს უკვე სოციალური დეზადაპტაციის მიზეზი შეიძლება გახდეს. დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვს ხშირად აღენიშნება შფოთვის მაღალი დონე, რაც უქმნის მას ურთიერთობის სირთულეებს. მაღალი თვითშეფასების ბავშვი ცდილობს აჩვენოს თავისი უპირატესობა სხვების წინაშე, მიიღოს აქტივობების შედეგების მაღალი შეფასება. თუ ამის აღიარება ვერ ხერხდება, ბავშვი ავლენს ჭირვეულობას, აგრესიას უფროსების და თანატოლების მიმართ. თუ ბავშვი არ გრძნობს მხარდაჭერას გარშემომყოფ ადამიანებისგან, ეს შესაძლოა ხელი შეუწყოს ემოციური გაუწონასწორებულობის და ემოციური რეაქციების უმართავობის ფორმირებას. ეს კი თავის მხრივ, ამძაფრებს ურთიერთობას ადამიანებთან, ხელს უშლის ერთობლივ თამაშებში ჩართულობას, რადგან გაუწონასწორებელ ბავშვისთვის ძნელია თამაშის წესებისადმი დამორჩილება (Рогов, 1996). სწორედ ამ ვარაუდის შესამოწმებლად ჩავატარეთ მომდევნო კვლევა.

#### 2.4. კვლევის მესამე სერია. თვითშეფასების და შფოთვის დონის შედარება.


ცდისპირებში (ბავშვებში) თვითშეფასების დონის გამოსავლენად გამოყენებულ იქნა ლ.პონომარენკოს მიერ დამუშავებული პროექციული მეთოდიკა „ხე“(იხ. დანართი 4).

**2.4.1.მონაწილეები:**

კვლევა ჩატარდა (20.09.05-22.09.05) ქ.თბილისის 3 საბავშვო ბაღში (№№ 1, 137, “ჩიორა“) იგივე 61 ბავშვებზე (33- გოგონა და 28-ბიჭი), ვინც პირველ კვლევაში მიიღო მონაწილეობა.

**2.4.2.ინსტრუმენტი და პროცედურა:**

ბავშვებს წარუდგინეთ ნახატი, სადაც გამოსახული იყო ხე, მასზე განლაგებული კაცუნებით.



დავალემა შემდეგი ფორმით იყო დასახული: „ დაათვალიერე ეს ხე. შენ ხედავ მასზე და მის გარშემო უამრავ კაცუნებს. გვიჩვენე, რომელ კაცუნას აირჩევ, სად იმყოფები შენ?“ შედეგების ინტერპრეტაცია ხდებოდა იმის მიხედვით 20 პოზიციიდან რომელს აირჩევდა ბავშვი (იხ.ცხრილი 8).

**ცხრილი 8. შფოთვის დონე და პოზიციების არჩევა ტესტში „ხე“.**

პოზიციები	დახასიათება	შფოთვის დონე			ბავშვთა რაოდენობა
		მაღალი	საშუალო	დაბალი	
1,3,6,7	ორიენტაცია წინააღმდეგობების გადალახვაზე	1	13	1	15/24,6%
2,18,19,11,12	კომუნიკაბელურობა, მეგობრული მხარდაჭერა	2	4	-	6/9,8%

4	საიმედო მდგომარეობა (წარმატების მიღების სურვილი წინააღმდეგობის გადალახვის გარეშე)	1	3	-	4/6,5%
5	საერთო სისუტე, ძალების ნაკლებობა, მორცხვობა	-	-	-	-
9	მოტივაცია გართობაზე	-	2	-	2/3,2%
14	კრიზისული მდგომარეობა, უფსკრულში ვარდნა	-	-	-	-
13, 21	განყენებულობა, გულჩათხრობილობა, შფოთვა	1	2	-	3/4,9%
8	თავის თავში ჩაკეტვა, ჩაკეტილობა	1	-	-	1/1,6%
10,15	კომფორტული მდგომარეობა, ნორმალური ადაპტაცია	-	10	-	10/16,4%
16,17	მხარდაჭერა, ემოციური სიახლოვე	1	2	-	3 / 4,9%
20	მომატებული თვითშეფასება, ორიენტაცია ლიდერობაზე	7	9	1	17/27,9%

### 2.4.3. შედეგების ანალიზი

პროცენტული განაწილების მიხედვით 61 ბავშვიდან 27,9%-მა აირჩია მე-20 პოზიცია, რომელიც ასახავს მაღალ თვითშეფასებას და ლიდერობისკენ სწრაფვას.



კვლევის პირველი და მეორე ეტაპების შედარებითი ანალიზის შედეგად კი გამოჩნდა, რომ მათგან 41% -ს აღნიშნება შფოთვის მაღალი დონე, ხოლო 52%-ს საშუალო.

პროცენტული განაწილების მიხედვით მეორე ადგილზეა წინააღმდეგობის გადალახვის განმსაზღვრელი პოზიციები, რომლებიც ძირითადად უკავშირდება შფოთვის საშუალო დონეს.

## **2.5. კვლევის მეოთხე სერია. თანატოლებთან, სიბლინგებთან და მოზრდილებთან ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა.**

ადაპტაციური პერიოდის ერთ-ერთი სირთულე მდგომარეობს ბავშვის თანატოლთა ჯგუფთან ურთიერთობის დამყარებაში. ეს სირთულე უფრო გამოკვეთილია იმ ბავშვებში, რომელთაც არ ჰქონდათ ურთიერთობის სათანადო გამოცდილება (დედისერთა ბავშვები არიან ოჯახში, ნაკლებად ურთიერთობენ სხვა ბავშვებთან სეირნობის დროს).

ჩვენ გაგვიჩნდა ვარაუდი, რომ ძმების და დების ყოლა, მათთან ურთიერთობის გამოცდილება, მნიშვნელოვნად უადვილებს ბავშვს საბავშვო ბაღის ჯგუფში თანატოლებთან ურთიერთობას. ჩვენ მიერ შეგროვდა ინფორმაცია ცდისპირებში სიბლინგების ყოლაზე, მათ დაბადების რიგზე, რადგან ცნობილია, რომ ბავშვის სტატუსი ოჯახში და შემდგომ ხშირად საზოგადოებაშიც დამოკიდებულია იმაზე დედისერთაა ბავშვი, უფროსი თუ უმცროსი.

სიბლინგებს შორის ურთიერთობის თავისებურებები გავლენას ახდენენ ბავშვის შემდგომ ქცევაზე. თბილი, ახლო ურთიერთობები ხელს უწყობენ ქცევის სასურველი ფორმების განვითარებას.

სიბლინგებთან, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობის გამოსავლენად გამოვიყენეთ რენე ჟილის ვიზუალურ-ვერბალური მეთოდიკა (იხ. დანართი 3). მეთოდიკის მიზანი მდგომარეობს ბავშვის, მის გარშემომყოფ ადამიანებთან (სიბლინგები, მშობლები, თანატოლები და ავტორიტეტული უფროსები) სოციალური შემგუებლობის გამოვლენაში. ბავშვს ეძლეოდა სხვადასხვა მანძილზე და სიტუაციებში ბავშვების, ბავშვების და უფროსების გამოსახულებები.


მეთოდის ადაპტაცია მოხდა 1978 წელს ილიასოვას და იგნატიევას მიერ (Психологические исследования личности в клинике). ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა ახმედჯანოვის მიერ დამუშავებული უფრო გვიანი 1992 წლის ვარიანტი.

### 2.5.1. მონაწილეები

კვლევა ჩატარდა (23.09.05-27.09.05) ქ.თბილისის სამ საბავშვო ბაღში (№№1,137, “ჩიორა“). კვლევა ჩატარდა იგივე ბავშვებზე, ვინც მონაწილეობდა პირველ და მეორე კვლევაში (61 ბავშვი).

### 2.5.2. პროცედურა

ბავშვს უნდა აერჩია გამოსახული ადამიანებს შორის ადგილი ან იდენტიფიცირება გაეკეთებინა ამა თუ იმ პერსონაჟთან ჯგუფში. ბავშვს ვატყობინებდით, რომ მისგან ველით პასუხებს კითხვებზე ნახატების მიხედვით. ტესტურ დავალებებში ხდებოდა ბავშვის არჩევანის რაოდენობის დათვლა. (იხ. ცხრილი 9).



ცხრილი 9

პირადი ურთიერთობების სკალები

სკალების დანიშნულება	პასუხები	ბავშვთა რაოდენობა
მშობლებთან დამოკიდებულება	უპირატესობას ანიჭებენ მშობლებს	41/67,2%
დამოკიდებულება ძმებთან და დებთან	უპირატესობის ანიჭებენ ძმებთან და დებთან ყოფნას	37/60,6%

	უპირატესობას ანიჭებენ ძმებისგან და დებისგან ცალკე ყოფნას	24/39,9%
დამოკიდებულება მეგობრებთან	უპირატესობას ანიჭებენ მეგობრებთან ყოფნას	44/72,1%
	უპირატესობას ანიჭებენ მეგობრებისგან ცალკე ყოფნას	17/27,9%
დამოკიდებულება ავტორიტეტულ უფროსებთან, აღმზრდელთან	აღიარებენ აღმზრდელის ავტორიტეტს	48/78,7%
	არ ცნობენ აღმზრდელის ავტორიტეტს	13/21,3%
კომუნიკაბელურობა	კომუნიკაბელურები არიან	30/49,2%
	არ არიან კომუნიკაბელურები	31/50,8%

### 2.5.3. შედეგების ანალიზი

როგორც ჩანს მე-8 ცხრილიდან, ბავშვთა (67,2%) უპირატესობას ანიჭებს მშობლებთან ყოფნა. ბავშვები (34,4%), რომლებსაც არ ჰყავთ სიბლინგები 85,7% უფრო მეტად არიან მიჯაჭვულები მშობლებზე. ბავშვები (34,4%), რომლებსაც ჰყავთ ყფროსი ძმები და დები 47,6% აირჩიეს მშობლებთან სიახლოვის პოზიცია. ბავშვები (27,8%), რომლებსაც ჰყავთ უმცროსი სიბლინგები 70,5% მიჯაჭვულია მშობლებთან (იხ. ცხრილი 10).

### ცხრილი 10. მშობლებზე მიჯაჭვულობა

საერთო ბავშვთა რაოდენობა	სიბლინგების ყოლა	ბავშვთა რაოდენობა	მიჯაჭვულობა მშობლებზე
61	არ ჰყავთ ძმები და დები	21/34,4%	18/85,7%
	ჰყავთ უფროსი ძმები და დები	21/34,4%	10/47,6%

	ჰყავთ უმცროსი ძმები და დები	17/27,8%	12/70,5%
შენიშვნა: ტყუპები			

**2.6. კვლევის მეხუთე სერია. სოციომეტრული კვლევა.**

უმცროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვის დამოკიდებულება თანატოლებთან უტილიტარულ-ემოციურ არაინტეგრირებულ ხასიათს ატარებს. ბავშვს მაგ., სეირნობა სურს ერთ ბავშვთან, ხოლო დაბადების დღეზე პატიჟებს მეორეს და ხსნის ამას პრაქტიკული ინტერესით: „იგი მამლევს სათამაშოს“, „ის დამპირდა, რომ თოჯინას მაჩუქებს“ და ა.შ. თანდათან ეს უტილიტარობა ნაწილობრივ გადაიფარება ემოციურით და უფროს სკოლამდელ ასაკისთვის ურთიერთობა ხდება ემოციურ-უტილიტარული (Коломинский 1969).

თანატოლის შეფასებისას უმცროსი და უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვის წამყვანი მოტივაცია მდგომარეობს მის საერთო დადებით („ის კარგია“), საერთო საქმიანობის (თამაშის) და ქცევის ურაცოფითი ფორმებისარ ქონაში („არ ჩხუბობს“, „არ მართმევს სათამაშოს“). ბავშვების მიერ თანატოლების შეფასება, პირველ რიგში, დამოკიდებულია აღმზრდელის შეფასებაზე (Коломинский, 1969).

მკვლევარები ჩვეულებრივ აფასებენ თანატოლთა მიმდებლობას სოციომეტრული ტექნიკის გამოყენებით. სოციომეტრიული ტექნიკა ზომავს სოციალურ პრეფერენციებს. მეორე მიდგომაა, თანატოლთა რეპუტაციის შეფასება. ეს არის ბავშვების აზრი იმაზე, რომელი თანაჯგუფელია ყველაზე პოპულარული.

სოციომეტრული ტექნიკის საფუძველზე გამოიყოფა თანატოლთა მიმდებლობის ოთხი ტიპი:

1. *პოპულარული ბავშვები*- ანუ ისინი ვინც თანატოლთა უმრავლესობას მოსწონს.
2. *გარიყული ბავშვები*- ისინი, ვინც აქტიურად არ მოსწონთ.
3. *წინააღმდეგობრივი ბავშვები*- ისინი ვინც თანატოლების ნაწილს მოსწონს და ნაწილს არა.
4. *უგულველყოფილი ბავშვები*- ისინი, ვისაც იშვიათად ირჩევენ, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური თვალსაზრისით.

თანატოლთა მიმღებლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვების ადაპტაციისათვის. გარიყულ ბავშვებს ხშირად ადაპტაციის ხანგრძლივი პრობლემები აქვთ (ბერკი, 2010).

### 2.6.1. მონაწილეები

საბავშვო ბაღის ჯგუფში ბავშვის სტატუსის დასადგენად ჩვენ იგივე, რაც კვლევის წინა სერიაში, (61 ბავშვი) (23.09.05-27.09.05) ჩავატარეთ სოციომეტრული გამოკითხვა (იხ. ცხრილი 11).

### 2.6.2. კვლევის ინსტრუმენტი და პროცედურა

ცდის პირებს ვუსმევდით შეკითხვებს: „რომელ ბავშვს ჯგუფში მისცემ კანფეტს?“, „რომელ ბავშვს ჯგუფიდან დაპატიჟებ დაბადების დღეზე?“

ცხრილი 11. სოციომეტრული მატრიცის ნიმუში.

N	ბავშვის სახელი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
1	ანა შ.	x													+		+		
2	მარი ხ.		x																+
3	ნინო ე.			x															+
4	აკაკი კ.				x				+										
5	გეგა დ.				+	x													
6	ნინო მ.						x				+	+							
7	თეა ს.							x									+		
8	გეგა ო.								x			+			+				
9	ლუკა ვ		+						+	x									
10	მარი ბ.			+							x								
11	ქეთი ჩ.					+						x							
12	ანრი პ.												x	+					



3-4 წლის ბავშვები, როგორც პირველი თავის მე-3 პარაგრაფში აღინიშნა, ცდილობენ საქმიან-სათამაშო კონტაქტების დამყარებას უფროსებთან. ჩვენს კვლევაში (საბავშვო ბაღის სიტუაციები), კონტაქტების დამყარების მაჩვენებლები იყო უფრო მაღალი სიტუაციაში „ აღმზრდელი ბავშვებთან ერთად თამაშობს ბურთს“. (იხ.ცხრილი 3). ამ შემთხვევაში ჭარბობს აღმზრდელის და ბავშვებს შორის ურთიერთობის ემოციური და საქმიან-სათამაშო ხასიათი.

რენე ჟილის მეთოდის მიხედვით კვლევის შედეგების ანალიზმა (იხ. ცხრილი 12) გამოავლინა, რომ ბავშვები ელიან აღმზრდელისაგან დახმარებას კონფლიქტურ სიტუაციაშიც. მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვაზე: „ თუ შენ დაგარტყავენ, რას იზამ?“-ბავშვების პასუხები გაიყო თანაბრად. ბავშვთა ერთი ნაწილი პასუხობს, რომ მივმართავ დახმარებისთვის აღმზრდელს,ანუ ელის მისგან ჩარევას კონფლიქტური სიტუაციის დარეგულირების მიზნით. ბავშვთა მეორე ნახევარმა გადაწყვიტა დამოუკიდებლად მოქმედება და პასუხობს: „მეც დავარტყამ“ (იხ. ცხრილი 12).

ბავშვთა 39,3% დარტყმით პასუხობს. ისინი თავად ხსნიან ამგვარ ქცევას იმიტომ, რომ მშობლებმა ასე ასწავლეს, რათა არ დააჩაგვრინონ თავი ( განსაკუთრებით ეს თენდენცია გამოვლინდა ბიჭებში). ბავშვთა 18% არაფერს გააკეთებს, რადგან თვლის, რომ აპატიებს მეგობარს ასეთ საქციელს. მაგრამ ამ მოქმედების განმეორებით შემთხვევაში დაარტყავს თავადაც (იხ.ცხრილი 12).

ცხრილი 12.

ქცევა კონფლიქტურ სიტუაციაში

დავალება	პასუხები	ბავშვთა რაოდენობა	შენიშვნა
მაგობარმა დაგარტყა, რას იზამ ?	აღმზრდელს მივმართავ დახმარებისთვის	22/36,1%	როგორც გოგონები ასევე ბიჭები
	პასუხობს დარტყმით	24/39,3%	ძირითადად ბიჭები
	არაფერს გააკეთებენ	11/18,0%	როგორც გოგონები ისე ბიჭები
	იტირებს	4/6,5%	ძირითადად გოგონები

## 2.7. პირველი კვლევის ზოგადი განხილვა.

საბავშვო ბაღში ახალმოსულ ბავშვებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ბავშვთა უმრავლესობას უჭირს ადაპტაცია ბაღის პირობებისადმი, რაც გამოიხატება როგორც მკვეთრი გამოვლინებების: ტირილი, აგრესია თანატოლების მიმართ, უარის თქმა თანაროლებთან და აღმზრდელებთან ურთიერთობაზე, ასევე ფარული გამოვლინებების სახითაც: ბავშვი მშვიდად რჩება ბაღში, მაგრამ პასიურობს, არ იღებს მონაწილეობას ბაღის ცხოვრებაში, არ ერთვება თამაშში თანატოლებთან. დამტკიცდა ჩვენი ვარაუდი მაღალი შფოთვის დონის თაობაზეც (იხ. ცხრილი 3). ამენის, დორკის და ტემპლის პროექციული მეთოდის გამოყენებით მიღებული შედეგების თვისებრივმა ანალიზმა მოგვცა საშუალება გამოგვეთქვა მოსაზრება, რომ ყოველდღიურ სიტუაციებში (მარტო ჭამა, დაძინება, პირის დაბანა) დადებითი შეფასებების დიდი სიხშირე შეიძლება აიხსნას ბავშვის ასაკობრივი თავისებურებებით. 3-4 წლის ბავშვებს სურთ მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვონ და ამიტომ პოზიტიურად აფასებენ სიტუაციებს, სადაც რაიმე მოქმედება უფროსის დახმარების გარეშე სრულდება. ეს გამოვლინდა ბავშვების პასუხებშიც: „ მე არ მეშინია მარტო დაძინება“, „ მე თვითონ ვიცმევ ფეხსაცმელს“. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ 70- 80 იან წლებში ჩატარებულ კვლევებში ამავე ასაკის ბავშვები ამ სიტუაციებს უფრო ხშირად აფასებდნენ უარყოფითად. უნდა ვიფიქროთ, რომ თანამედროვე ოჯახების სოციალური პირობები უფრო ადრე მოითხოვენ ბავშვისაგან დამოუკიდებლობას.

რაც შეეხება საბავშვო ბაღის სიტუაციების თვისებრივ ანალიზს, აქ გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: ბავშვების უმრავლესობა დადებითად აფასებს საბავშვო ბაღში წასვლას. მაგრამ უარყოფითი დამოკიდებულება ამ სიტუაციის მიმართ მაინც შედარებით მაღალია ვიდრე სხვა სიტუაციების შეფასებისას. უარყოფითი შეფასების ყველაზე დაბალი პროცენტი კი ერგო სიტუაციას, სადაც აღმზრდელი ბავშვებთან ერთად თამაშობს ბურთს (იხ. ცხრილი 6). ეს აიხსნება იმით, რომ ბავშვებს ძირითადად ურჩევნიათ ჩვეულ სიტუაციაში ყოფნა და საბავშვო ბაღში წასვლა მათში უარყოფით რეაქციას იწვევს. მაგრამ, თუ საბავშვო ბაღში მუშაობა კარგად არის



ორგანიზებული ბავშვები დადებითად რეაგირებენ სხვადასხვა სიტუაციაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღმზრდელის როლი, რომელიც ცდილობს ბავშვებისათვის საჭირო და საინტერესო აქტივობებით გაამრავალფეროვანოს მათი საბავშვო ბაღში ყოფნა. მაგრამ აქაც შეინიშნება გარკვეული განსხვავება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო მეტი დადებითი დამოკიდებულება გამოვლინდა სიტუაციაში „აღმზრდელი ბავშვებთან ერთად თამაშობს ბურთს“ და ნაკლები „აღმზრდელი უკითხავს ბავშვებს ზღაპარს“. ეს აისახა ბავშვების პასუხებზეც: „ მე არ მიყვარს როცა კითხულობენ ზღაპარს“. რაც შეეხება ბურთით თამაშს, ანუ მოძრავ თამაშს, აქ ასეთი დიდი პროცენტი ბავშვების მხრიდან ამ აქტივობის მოწონების შეიძლება აიხსნას თვით მოძრავი თამაშების თავისებურებებით, კერძოდ, მოძრავი თამაშის დინამიური ხასიათი ანიჭებს ბავშვებს დიდ სიხარულს, უხსნის ემოციურ დამაბულობას, აკმაყოფილებს მოძრაობის მოთხოვნილობას.

რაც შეეხება ბავშვის შფოთვის დონის და თვითშეფასებას შორის კორელაციას (იხ. ცხრილი 7), აქ გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: შფოთვის მაღალი და საშუალო დონის ბავშვთა უმრავლესობის (27,9%) მიერ არჩეულ იქნა მე-20 პოზიცია (ლიდერობაზე ორიენტაცია). ეს შეიძლება აიხსნას ბავშვთა საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის სირთულით. კერძოდ, ბავშვს სურს, რომ დაიკავოს ლიდერის პოზიცია, მაგრამ ჯერ ვერ ავლენს ლიდერის თვისებებს ან ჯგუფი არ ცნობს მის დომინანტურ სტატუსს. პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით (24,6%) წინააღმდეგობის გადალახვის პოზიციების ასევე სხვა პოზიციებთან შედარებით უპირატესი არჩევა, შეიძლება აიხსნას ბავშვების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვით. მათ სურთ მიაღწიონ მიზანს და არ ეშინიათ წინააღმდეგობების გადალახვის.

ბავშვების თანატოლებთან, ძმებთან, დებთან და მშობლებთან ურთიერთობის კვლევამ ( რენე ჟილის მეთოდის გამოყენებით), გვიჩვენა, რომ ბავშვები ვისაც ჰყავთ სიბლინგები ნაკლებად არიან მიჯაჭვულები მშობლებზე ვიდრე მათი დედისერთა თანატოლები. როგორც ჩანს მე-9 ცხრილიდან ბავშვების 60,6% უპირატესობას ანიჭებენ როგორც უფროსს, ასევე უმცროს დებთან და ძმებთან ურთიერთობას: უფროსებისგან ელიან ზრუნვას და ყურადღებას, ხოლო უმცროსებზე თავად ზრუნავენ.

სკოლამდელ ასაკში სოციალური ურთიერთობები თანატოლებთან, როგორც თამაშის პარტნიორებთან უფრო მყარი და ინტენსიური ხდება. როგორც ჩანს მე-8 ცხრილიდან ბავშვთა 72,1% უპირატესობას ანიჭებს თანატოლებთან ურთიერთობას. მაგრამ შფოთვის ტესტის მიხედვით სიტუაციების ნეგატიური შეფასების რაოდენობა მეტია თანატოლებთან ურთიერთობისას. სწორედ ამ მონაცემების არაერთმნიშვნელოვანება ასახავს ბავშვის თანატოლთა ჯგუფთან ურთიერთობის სირთულეებს. ეს სირთულეები დაკავშირებულია ურთიერთობის უნარების სუსტ განვითარებასთან, თამაშის პარტნიორის სწორი გააზრებული არჩევის უუნარობასთან. ამგვარი მიზეზები ართულეებენ ბავშვის სოციალურ ადაპტაციას რის შედეგად მისი შფოთვის დონე მაღლდება და უჩნდება ნეგატიური დამოკიდებულება საბავშვო ბაღისადმი. სწორედ ახალი ურთიერთობების დამყარება განსაზღვრავს შფოთვის მაღალ დონეს ჩვენ მიერ გამოვლენილ მონაცემებში. ამავე დროს სოციომეტრული გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ 3-4 წლის ასაკის ბავშვების არჩევანი არ არის სტაბილური და გააზრებული, რაც ბავშვების პასუხებშიც ჩანს: „არ ვიცი რატომ მივცემ კანფეტს, მინდა და იმიტომ“, „დავპატიჟებ დაბადების დღეზე, იმიტომ რომ მეთამაშება და არ მართმევს სათამაშოებს“ და ა.შ. ეს გამოვლინდა იმ ფაქტითაც, რომ ჯგუფში იყვნენ ბავშვები, რომლებიც არ იყვნენ არჩეულნი. ასეთი ბავშვების უგულველყოფილი სტატუსი მეტყვევებს იმაზე, რომ ისინი ჯერ ვერ გამოავლინეს საკუთარი თავი ჯგუფში ან, პირიქით, აქვთ ხასიათის უარყოფითი თვისებები, რაც უშლის მათ ხელს პოზიტიური ურთიერთობის დამყარებაში ჯგუფის წევრებთან.

ბავშვის თანატოლებთან ურთიერთობის სირთულეების მიზეზი შეიძლება იყოს ასევე შფოთვის მაღალი დონე, რაზეც ზემოთ იყო აღნიშნული. შფოთვის მაღალი დონის მქონე ბავშვი, ქმნის დისკომფორტს ურთიერთობის პროცესში. მას უჭირს გადაწყვეტილების მიღება, რის გამოც დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია უფრო ძლიერ პარტნიორთან თამაშში. შფოთვის მაღალი დონის და ამავე დროს დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვი არ დაიწყებს „საქმის გარჩევას“ და იძულებულია ითამაშოს „მეორეხარისხოვანი როლები“. მას აქვს ურთიერთობის მოთხოვნილება და ხშირად პირფერობს თანატოლების წინაშე რათა მიიღონ თამაშში. მაგრამ მისი ამგვარი

მცდელობა ნეგატიურად აღიქმება ბავშვების მხრიდან და იგი „აუტსაიდერებში“ ხვდება. (Pogov, 1996).

დიდ როლს ამ პრობლემის მოგვარებაში უფროსი ასრულებს. ბავშვის მიმართ მისი თბილი, მზრუნველი დამოკიდებულება დაეხმარება ბავშვს ზემოაღნიშნული სირთულეების დაძლევაში. მშობლებთან ურთიერთობის უპირატესობის მაღალი მაჩვენებლები, (რენე ჟილის მეთოდის შედეგების მიხედვით), განსაკუთრებით ბავშვებში, ვისაც არ ჰყავთ სიბლინგები, ადასტურებენ აღმზრდელის როგორც დედის დროებითი შენაცვლების მნიშვნელობას. ჩვენს კვლევაში 61 ბავშვიდან 48 სურს აღმზრდელის გვერით ყოფნა (იხ. ცხრილი 8).

3-4 წლის ბავშვები, როგორც პირველი თავის მე-3 პარაგრაფში აღინიშნა, ცდილობენ საქმიან სათამაშო კონტაქტების დამყარებას უფროსებთან. ჩვენს კვლევაში ( საბავშვო ბაღის სიტუაციები), კონტაქტების დამყარების მაჩვენებელი იყო მაღალი სიტუაციაში „ აღმზრდელი ბავშვებთან ერთად თამაშობს ბურთს“ (იხ. ცხრილი 6). ამ შემთხვევაში ჭარბობს აღმზრდელის და ბავშვებს შორის ურთიერთობის ემოციური და საქმიან-სათამაშო ხასიათი.

რენე ჟილის მეთოდის მიხედვით კვლევის შედეგების ანალიზმა (იხ. ცხრილი 8) გამოავლინა, რომ ბავშვები ელიან აღმზრდელისგან დახმარებას კონფლიქტურ სიტუაციაშიც. მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვაზე: „ თუ შენ დაგარტყავენ, რას იზამ?“-ბავშვების პასუხები გაიყო თანაბრად. ბავშვთა ერთი ნაწილი (36,1%) პასუხობს, რომ მივმართავ დახმარებისთვის აღმზრდელს, ანუ ელის მისგან ჩარევას კონფლიქტურ სიტუაციის დარეგულირების მიზნით. ბავშვთა მეორე ნახევარმა (39,3%) გადაწყვიტა დამოუკიდებლად მოქმედება და პასუხობს: „ მეც დავარტყამ“ (იხ. ცხრილი 9). ისინი თავად ხსნიან ამგვარ ქცევას იმით, რომ მშობლებმა ასე ასწავლეს, რათა არ დააჩაგვრინონ თავი ( განსაკუთრებით ეს ტენდენცია გამოვლინდა ბიჭებში). ბავშვთა 18% არაფერს გააკეთებს, რადგან თვლის , რომ პატიებს მეგობარს ასეთ საქციელს. მაგრამ ამ მოქმედების განმეორების შემთხვევაში დაარტყამს თავადაც (იხ. ცხრილი 9).

რაც შეეხება აგრესიულობას, უნდა გვახსოვდეს, რომ არ იქნებოდა სწორი ამ თვისების გაგება მხოლოდ უარყოფით კონტექსტში. აგრესიულობა შეიძლება იყოს

უარყოფითი და დადებითი. მაგ., აგრესიულობა ეხმარება ადამიანს მიაღწიოს საჭირო შედეგს, მტკიცედ დაიცვას საკუთარი პოზიცია. ამიტომ ეს თვისება ლიდერობის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს.

ანა სებანკის აზრით, სკოლამდელი წლებიდან დაწყებული კონფლიქტებით დატვირთული ურთიერთობა, რომელიც ხშირია ფიზიკურად, ვერბალურად და რელატიურად აგრესიულ მეგობრებს შორის, დაკავშირებულია ადაპტაციის დაბალ დონესთან (Seban, 2001). ბავშვები, რომლებსაც აგრესიული მეგობრები ჰყავთ, დროთა განმავლობაში ასოციალურ ქცევას მიმართავენ (ბერკი, 2010).

ამავე დროს აგრესიული ქცევა ფასდება როგორც უარყოფითი, ნორმიდან გადახრა. მაგრამ განასხვავებენ აგრესიულ ქცევას, როგორც კონფლიქტურობის გამოვლენა (მიზნის მიღწევა ძალის გამოყენებით) და აგრესია დაკავშირებული შფოთვისთან, რომელიც დაცვით რეაქციას წარმოადგენს.

ჩვენს კვლევაში აგრესიული ქცევა, რომელიც კრიტიკულ სიტუაციაში აღმოცენდა, დაცვით ფუნქციას ასრულებს. ეს დასტურდება იმითაც, რომ სიტუაციაში „ბავშვები ჩხუბობენ“ (რენე ჯილის მეთოდის მიხედვით), მხოლოდ ბავშვთა 21,3%-მა გადაწყვიტა მიეღო მონაწილეობა ჩხუბში, 40,9 %-ცდილობს დატოვოს ეს ადგილი და 37,7%-ირჩევს დამკვირვებლის პოზიციას.

უნდა აღენიშნოს, რომ ჩვენი ვარაუდი ბავშვებში აგრესიულობის მაღალ პროცენტზე ახალ პირობებისადმი ადაპტაციის პერიოდში არ დადასტურდა.

#### დასასრულს შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- ჩვეული ოჯახური გარემოს შეცვლა, საბავშვო ბაღის ახალ პირობებში მოხვედრა იწვევს ბავშვში დისკომფორტს და, როგორც წესი, მაღლდება მისი შფოთვის დონე;
- ურთიერთობის უნარების უქონლობა და არაადეკვატური თვითშეფასება უქმნის ბავშვს სირთულეებს თანატოლებთან ურთიერთობაში;
- ბავშვებს, რომლებსაც ჰყავთ სიბლინგები ნაკლებად არიან მიჯაჭვულები მშობლებზე და უპირატესობას ანიჭებენ ძმებთან და დებთან ურთიერთობას;

- სკოლამდელ პერიოდში იზრდება ინტერესი თანატოლების მიმართ, რაც დადასტურდა ჩატარებული ქვლევებით (72,1% სურს მეგობრების გარემოში ყოფნა);
- საბავშვო ბაღისადმი ბავშვთა სოციალური ადაპტაციის პროცესში იზრდება აღმზრდელის ავტორიტეტი, რომელიც ცდილობს დახმარების გაწევას საბავშვო ბაღის ცხოვრების სწორი ორგანიზაციით და ბავშვთა ურთიერთობების, კერძოდ, კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებით.

## თავი 3

### პედაგოგიური ექსპერიმენტი

#### 3.1. ბავშვის საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის პირობები

სპეციალური ლიტერატურის თეორიული ანალიზის და ბავშვების საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის სირთულეების გამოვლენის საფუძველზე შემოხაზულ იქნა ადაპტაციის დაჩქარების პირობები. მათ მიეკუთვნება: ბავშვებში საბავშვო ბაღში შესვლის დადებითი განწყობის შექმნა; ოჯახში და საბავშვო ბაღში აღზრდის დემოკრატიული სტილი; ბავშვების მიერ კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების ქონა; ბავშვების საბავშვო ბაღისადმი სწრაფი ადაპტაციის ხელშემწყობი, სპეციულრად შერჩეული მოძრავი თამაშების ჩატარება. არჩევანი მოძრავ თამაშებზე გაკეთდა პირველი კვლევის „საბავშვო ბაღის სიტუაციებში“ ბავშვების აღმზრდელთან ერთად მოძრავი თამაშისადმი მაღალი ინტერესის საფუძველზე (იხ. ცხრილი 6).

განვიხილოთ ყოველი ეს პირობა ცაკლცალკე.

საბავშვო ბაღში მოხვედრა, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია ძლიერ სტრესულ განცდებთან, რომელთა შემცირებაც უნდა მოხდეს ოჯახის და აღმზრდელების ერთობლივი ძალებით.

ბავშვის მომზადება საბავშვო ბაღისთვის უნდა იწყებოდეს ოჯახში. საჭიროა ბავშვს დადებითი განწყობა შეექმნას სკოლამდელ დაწესებულებისადმი. საბავშვო ბაღში წასვლაზე მშობლები უნდა საუბრობდნენ როგორც სასიხარულო მოვლენაზე. მათ უნდა დაარწმუნონ ბავშვი, რომ იქ დახვდება ბევრი სათამაშო, მხიარული ბავშვები და ბევრ საინტერესო რამეს გაიგებს. სასურველია მშობელიც წინასწარ გაეცნოს საბავშვო ბაღის გარემოს, რეჟიმს, ბავშვთა კონტიგენტს ( ხომ არ არის ჯგუფში ვინმე ნაცნობი ბავშვი), რადგან ჯგუფში ნაცნობ თანატოლებთან შეხვედრა შეუმსუბუქებს ბავშვს ახალ პირობებისადმი ადაპტაციას .

ბავშვის საბავშვო ბაღისადმი დადებითი განწყობის შექმნაში დიდი როლი აღმზრდელსაც მიუძღვის. მნიშვნელოვანია როგორ შეხვდება აღმზრდელი ახალმოსულ ბავშვს, რამდენად თბილი და მზრუნველი იქნება მისი დამოკიდებულება ბავშვის მიმართ. უნდა გათვალისწინდეს ის ფაქტიც, რომ საბავშვო ბაღის ჯგუფში ბავშვთა რაოდენობა დიდია ( განსაკუთრებით ეს პრობლემა შეინიშნება ქ. თბილისის საბავშვო ბაღებში) და აღმზრდელს გაუჭირდება უფრო მეტი დრო დაუთმოს ახალმოსულ ბავშვს. ამიტომ საჭიროა ბავშვები მიღებულ იქნან საბავშვო ბაღში „ მოძრავი“ გრაფიკის მიხედვით. როცა უკვე „დაპტირებული“ ბავშვების ჯგუფში შემოვა 1-2 ახალი ბავშვი, არმზრდელს უფრო გაუადვილდება მათთვის მეტი ყურადღების დათმობა. სასურველია, რომ პირველი დღეები ბავშვი იმყოფებოდეს ბაღში არასრული დღე და ეს საათები დაემთხვეს სეირნობას და თამაშებს. კარგი იქნება თუ მშობელიც დარჩება ცოტა ხნით ბავშვთან ერთად ჯგუფში, რათა დაუკმაყოფილოს მას ახლობელ ადამიანთან ურთიერთობის მოთხოვნილება. ახლობლების როლი უნდა მდგომარეობდეს არა მხოლოდ იმაში, რომ მოხსნას ბავშვის ემოციური დაზაბულობა, არამედ დაეხმაროს მას დაამყაროს კონტაქტები აღმზრდელთან და ბავშვებთან.

მოთხოვნები ბავშვის მიმართ უნდა იყოს ადვილად დასაძლევნი. ახალმოსულ ბავშვის მიმართ ეს განსაკუთრებით უნდა გათვალისწინდეს. მაგ., თუ სამი წლის ბავშვს არ შეუძლია დამოუკიდებლად ჩაცმა, პირველ ხანებში სასურველია მისთვის დახმარების გაწევა. პირველ დღეებში ბავშვი უფრო მეტ დროს ატარებს აღმზრდელის გვერდით. იგი არ იღებს აქტიურ მონაწილეობას საბავშვო ბაღის ცხოვრებაში და მხოლოდ აკვირდება მას. ამიტომ არ არის საჭირო ბავშვის ამა თუ იმ აქტივობაში ძალდატანებით ჩართვა .

ბავშვის საბავშვო ბაღში ყოფნის წარმატებულობა დამოკიდებულია საბავშვო ბაღსა და ოჯახს შორის თანამშრომლობაზე (Karr-Jelinek, 1994).რაც უფრო ადრე მოხდება ამ ურთიერთობის დამყარება, მით უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები და მომეზნილი იქნება მისდამი შესაბამისი მიდგომა. ბავშვთა განსხვავებული პიროვნული თვისებები და ტემპერამენტი, მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას ყოველივე

ბავშვის მიმართ. არ არსებობს საერთო შაბლონები აღზრდაში, განსაკუთრებით ახალ გარემოში ყოფნის პირველ დღეებში.

ბავშვის აღზრდაში უფრო მისაღებია დემოკრატიული სტილი. ბავშვი, რომელიც კეთილგანწყობილ ატმოსფეროში იზრდება, სადაც ითვალისწინებენ მის ინტერესებს და პატივს სცემენ მას როგორც პიროვნებას, დადებითად არის განწყობილი გარშემომყოფ ადამიანების მიმართ. ურთიერთობის პიროვნებაზე -ორიენტირებული მოდელი უვითარებს ბავშვს დამოუკიდებელ აზროვნებას, ინიციატივიანობას და უცხო გარემოში კომფორტის შეგრძნებას.

მნიშვნელოვანია, რომ ოჯახში და საბავშვო ბაღში იყოს ერთიანი აღზრდის სტილი. ეს შექმნის ბავშვის ახალ გარემოში შესვლის ხელსაყრელ პირობას და გაუადვილებს მას ავტორიტეტის მოპოვებას თანატოლებში. აღმზრდელები, რომლებიც ურთიერთობაში იყენებენ დემოკრატიულ ტენდენციებს, ხელს უწყობენ ჯგუფში დადებითი მიკროკლიმატის ჩამოყალიბებას (Макшанцева, 1998).

ბავშვის საბავშვო ბაღისადმი შეგუების მნიშვნელოვანი პირობაა კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების და თამაშის უნარების ფლობა. მშობლებმა უნდა განუვითარონ ბავშვს დამოუკიდებლობა. თუ ბავშვს არ გააჩნია მისი ასაკისთვის შესაბამისი უნარები, საჭიროა თანმიმდევრული მათი გაცნობა და ჩამოყალიბება, რადგან ახალი გარემო და მისთვის უჩვეულო მოთხოვნები შესაძლოა გამოიწვიოს ბავშვში უარყოფითი დამოკიდებულება საბავშვო ბაღისადმი. თუმცა, ჩვენმა პირველმა კვლევამ აჩვენა, საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური ჩვევები ბავშვების უმრავლესობისათვის არ არის შფოთვის გამომწვევი.

ბავშვის კომუნიკაციური უნარების განვითარებაში დიდ როლს ოჯახი ასრულებს. გარკვეულ სირთულეებს ადაპტაციის პერიოდში ხვდებიან ბავშვები, ვისაც აქვთ ურთიერთობა მხოლოდ მშობლებთან. ოჯახის ჩაკეტილი ცხოვრების წესი და არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება გარშემომყოფ ადამიანების მიმართ შეიძლება გახდეს ბავშვის უცნობ უფროსებთან ურთიერთობის გართულების მიზეზი. ეს კი ნიშნავს, რომ საბავშვო ბაღში ყოფნის პირველ დღეებში მას ნეგატიური დამოკიდებულება ექნება აღმზრდელის მიმართ, რითაც გართულება ბავშვის მოვლის პროცესი.



ურთიერთობის უნარების განვითარებისათვის ყველაზე მისაღები ადგილია პარკი ან საბავშვო მოედანი. აქ, როგორც წესი, იკრიფება ბევრი მშობელი და ბავშვი. თანაც, კონტიგენტი შეიძლება მუდმივად იცვლებოდეს, რაც შეუწყობს ბავშვს ხელს ახალ-ახალი კონტაქტების დამყარებაში. ერთობლივ თამაშებში ბავშვი სწავლობს მოქმედებების შეთანხმებულობას, პრობლემური სიტუაციების მოგვარებას. იგი დაცულად გრძნობს თავს, რადგან მშობელი გვერდით ჰყავს. მაგრამ უფროსები ნაკლებად უნდა ჩაერიონ ბავშვთა ურთიერთობებში და მისცენ მათ საშუალება დამოუკიდებლად გადალახონ სირთულეები. მშობლებმა უნდა შეუქმნან მეტი პირობები ბავშვის სხვა ბავშვებთან სოციალურ კონტაქტებისთვის და გაუწიონ მათ დახმარება მხოლოდ სიტუაციის გამწვავების დროს (Katz & McClellan, 1997).

ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც აღმზრდელის წინაშე დგას არის ბავშვის შფოთვის დონის დაწევა ადაპტაციის პერიოდში. ბავშვებში დაძაბულობის მოხსნის ეფექტური საშუალებაა თამაში, რომლის პროცესში ისინი ურთიერთობენ ერთმანეთთან და იძენენ გამოცდილებას. როგორც წესი, აქტიური, თამაშის უნარების მქონე ბავშვები თამაშების ორგანიზატორები არიან. პასიური, გულჩათხრობილი ბავშვები რჩებიან განზე და აკვირდებიან თავისი თანატოლების თამაშს. ამიტომ საწყის ეტაპზე საჭიროა უფროსის ჩარევა, რათა ჩართონ ბავშვები ერთობლივ თამაშებში (Maxwell & Eller, 1994). მაგრამ, თუ კიდევ შეძლებს აღმზრდელი ბავშვის ჩართვას როლებიან თამაშში სხვა ბავშვებთან, ამას შეიძლება ერთჯერადი ხასიათი ჰქონდეს, რადგან როლური თამაში ხორციელდება ბავშვების ინიციატივით. ბავშვი, რომელსაც არ გააჩნია თამაშის და ურთიერთობის უნარები, დარჩება იზოლაციაში ან მუდმივად შეასრულებს მეორეხარისხოვან როლებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუშლის მას დაიკავოს აქტიური პოზიცია თანატოლთა ჯგუფში. აღმზრდელმა უნდა გამოიყენოს ისეთი ერთობლივი თამაშები, სადაც იგი შეძლებს თამაშის პროცესის ხელმძღვანელობას, მონაწილეთა აქტივობის რეგულირებას. ერთ-ერთი ასეთი თამაშის სახეა-მოძრავი თამაში.

მოძრავი თამაშები, როგორც ცნობილია, მიეკუთვნებიან მზაწესებიანი თამაშების ჯგუფს და 3-4 წლის ბავშვებში უფროსის ხელმძღვანელობით

მიმდინარეობს, რადგან ამ ასაკის ბავშვებს უჭირთ თვითორგანიზაცია თუნდაც მარტივ წესებიან თამაშებში.

მოდრავი თამაშები ხელს უწყობენ ბავშვებში მოქნილობის, მოძრაობის სისწრაფის, გამჭირიანობის განვითარებას. ბავშვებს მუდმივად სჭირდებათ მოულოდნელ სიტუაციისადმი შეგუება, წინააღმდეგობების გადალახვა, რთული სიტუაციიდან თავის დაღწევა.

მოდრავი თამაშები პასუხობს ბავშვის შინაგან ბუნებას, თამაში ხომ დ.უზნაძის აზრით ბავშვის „ბიოლოგიურად არა აქტუალურ შესაძლებლობათა ფუნქციონალურ ტენდენციის იმპულსით გამოწვეული აქტივაცია შეადგენს“ (უზნაძე,2001). მოძრავი თამაში სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ნებელობითი პროცესების აღზრდის კარგი საშუალებაა. თამაშებში მკვეთრად ვლინდებიან ერთი მხრივ გაუწონასწორებული და აგზნებადი ბავშვები, მეორეს კი- მოდუნებული, მოთენთილი. ბავშვებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებიან საბავშვო ბაღში უფრო მეტად აქვთ განვითარებული მოძრაობითი უნარები, წესების დაცვა შეუძლიათ მოქმედებების შეთანხმება ჯგუფში, ვიდრე მათი ახალმოსულ თანატოლებს. საინტერესო თამაში, რომლითაც გატაცებულნი არიან ბავშვები, აღძრავს მათში დადებით ემოციებს, სიხარულს და მეგობრულ დამოკიდებულებას. დ.უზნაძის აზრით, სკოლამდელი ასაკის ბავშვის მისწრაფება სოციალური კონტაქტებისადმი განსაკუთრებით სწრაფად იზრდება. ამ საკითხის სპეციალური გამოკვლევის მიხედვით სამწლიანი ბავშვები საშუალოდ 7,16 ჯერ იღებენ ერთისა და იმავე დროის განმავლობაში ჯგუფურ თამაშში მონაწილეობას, ოთხწლიანები- 11,90-ჯერ, ხუთწლიანები-12,25-ჯერ და ა.შ. აქედან ნათლად ჩანს, რომ სოციალური კონტაქტებისადმი მისწრაფების გაძლიერება სწრაფი ტემპით მიდის წინ (უზნაძე, 1947).

უმცროსი სკოლამდელები საბავშვო ბაღში ყოფნის, განსაკუთრებით, პირველ დღეებში უპირატესობას ანიჭებენ მოძრავ თამაშებს (იხ.ცხრილი 6).საკვლევი, რა გავლენას ახდენს ჩატარებული თამაშების თავისებურებები, სიხშირე (დღეში 3 ჯერ ჩატარება) ადაპტაციის პროცესზე და მის ფაქტორებზე.

## **მეთოდი II.**

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ბალისადმი ადაპტაციის ფაქტორების გავლენის გაზომვა ჩატარებულ თამაშებთან მიმართებაში.

მოდრავი თამაშის როლის, როგორც აღზრდის ერთ-ერთი მეთოდისა და ასევე ბავშვის საბავშვო ბალისადმი ადაპტაციის დაჩქარების საშუალების გამოვლენის მიზნით ჩვენ მიერ ჩატარდა ექსპერიმენტული სამუშაო.

### **3.2. კვლევის პირველი სერია. შფოთვის დონის გამოვლენა.**

#### **3.2.1. მონაწილეები**

კვლევა ჩატარდა (28.09.05-29.09.05) ქ.თბილისის №95 საბავშვო ბაღში. კვლევის ობიექტი იყო 3-4 წლის 47 ბავშვი. (მათ შორის 22-გოგონა და 25-ბიჭი). კვლევის ჩატარება, ასევე როგორც პირველი კვლევა, შეთანხმებული იყო საბავშვო ბაღის ადმინისტრაციასთან და მშობლებთან.

#### **3.2.2. პროცედურა**

შფოთვის დონის კონსტატაციის მიზნით ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა ამენის, დორკის, ტემპლის შფოთვის დონის განმსაზღვრელი მეთოდიკა (ამენი და სხვ.1992) რაც პირველ კვლევაში იყო გამოყენებული (იხ.დანართი 1).

#### **3.2.3. შედეგების ანალიზი**

კვლევისას მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები: 47 ბავშვიდან 36,6% აღენიშნა მაღალი შფოთვის დონე, 53,1%-საშუალოდა 10,6% - დაბალი (იხ. ცხრილი 10 პირველი სერიის მონაცემები).

### **3.3. კვლევის მეორე სერია.**

შემდეგ ჩვენ სპეციალურად შევარჩიეთ მოძრავი თამაშები, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვების დაახლოებას თანატოლებთან და აღზრდელებთან („გავბეროთ ბუმტი“, „ტალღები“, „კრუხი და წიწილები“ „მხიარული ბურთები“, „ჩუქ, ჩუქ მატარებელი“, „კურდღელი პირს იბანს“, „ბეზია მელანია“, და სხვა (იხ.დანართი 5).

ჩვენ მიერ შერჩეულ მოძრავ თამაშებს არა აქვს შეჯიბრის ხასიათი, არ ხდება რაიმე წარმატებების მიღწევა, რაც აიხსნება ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებით (3-4 წლის). მათში ბავშვს იზიდავს თვით თამაშის პროცესი და არა ინდივიდუალური შედეგი ან გუნდის მოგება. ამავე დროს შერჩეულ თამაშებში არის მარტივი მოძრაობები, საშიშროების გამო საერთო განცდები, ერთმანეთზე ზრუნვის შესაძლებლობა. ყველაფერი ეს ხელს უწყობს დადებით ურთიერთდამოკიდებულებას ბავშვებს შორის, მათ შემჭიდროებას.

ასე მაგ., თამაში „ტალღები“ ეხმარებოდა ბავშვს ეგრძნო ბავშვების კეთილგანწყობა მის მიმართ, რომ ის სასურველია მათთვის. თამაშში „კრუხი და წიწილები“ განცდის ერთობლიობა ვლინდებოდა საშიშროების გამო. თუ თამაშის დასაწყისში ქათმის როლს თამაშობდა აქტიური, პოპულარული ბავშვი, თამაშის განმეორებისას ამ როლს ვაძლევდით ახალმოსულ ბავშვს, რითაც ვაძლევდით მას საშუალებას ეზრუნა სხვებზე. ეს ანიჭებდა მას დიდ სიამოვნებას იმის გამო, რომ შეუძლია ვიღაცის დაცვა და სიხარულის მინიჭება.

### **3.3.1. მონაწილეები**

მოძრავი თამაშების შერჩევის შემდეგ, ჩვენ ერთი თვის განმავლობაში (30.09.05-31.10.05), ყოველ დღე ვატარებდით ამ თამაშებს - დღეში სამჯერ (10.30 სთ-დან 11.00 სთ-მდე; 15.15 სთ-დან 15.45 სთ-მდე და 16.10 სთ-დან 16.40 სთ-მდე) - ბავშვთა იმავე ჯგუფზე რაც საკონსტატაციო ექსპერიმენტში (47 ბავშვი). თამაშები ტარდებოდა ორ ჯგუფად 23 და 24 ბავშვით, 15 წუთით თითოეულ ჯგუფში.

### **3.3.2. პროცედურა**

გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებები, არამედ დასახული მიზნის განხორციელება-ჯგუფის შემჭიდროება, თანატოლთა შორის დადებითი ურთიერთობების განვითარება საბავშვო ბაღისადმი სოციალური ადპტაციის დაჩქარების მიზნით.

თამაშების განმეორებისას, ჩვენ ვცდილობდით ჩაგვეერთო თამაშში პასიური ბავშვები, ვაძლევდით მათ წამყვანის როლს. ბავშვების წინაშე ჩვენ აღვნიშნავდით, თუ რა კარგად ასრულებდნენ ისინი წამყვან როლს, რითაც ვწევდით მათ სტატუს ჯგუფში. თამაშის პროცესში ჩვენ ვაკვირდებოდით მხელად ადაპტირებულ ბავშვებს და გამოვავლინებთ ბავშვის თამაშში ჩართვის შემდეგი ეტაპები:

I ეტაპი-ბავშვი იჩენს ინტერესს თამაშის მიმართ, მაგრამ შორიდან აკვირდება თანატოლების მოქმედებებს;

II ეტაპი-ბავშვი ერთვება თამაშში, მაგრამ უარს ამბობს მთავარი როლის შესრულებაზე;

III ეტაპი-ბავშვი აქტიურად ერთვება თამაშში და მთავარ როლსაც ასრულებს.

მოდრავი თამაშების ჩატარების შემდეგ ჩვენ კვლავ შევამოწმეთ ბავშვების შფოთვის დონე და მივიღეთ შემდეგი შედეგები: 47 ბავშვიდან-21,2% აღვნიშნა შფოთვის მაღალი დონე, 48,9%-საშუალოდა 29,7%-დაბალი (იხ.ცხრილი 13 ექსპერიმენტული კვლევის შედეგები).

### **3.3.3. შედეგების ანალიზი**

მიღებული შედეგები გამოავლინეს, რომ თამაშების ჩატარებამდე შფოთვის მაღალი დონე აღვნიშნებოდა 36,6% ბავშვებს, ხოლო ჩატარების შემდეგ 21,2%, ანუ 14,8% გამოვლინდა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დაბალი შფოთვის დონის მონაცემებიც-საკონსტატაციო კვლევაში დაბალი შფოთვის დონე აღვნიშნებოდა ბავშვების 10,6% , ხოლო ექსპერიმენტულ კვლევაში-29,7%.

ბავშვთა რაოდენობა	შფოთის დონე					
	მაღალი		საშუალო		დაბალი	
47	ექსპერიმენტის წინ	ექსპერიმენტის შემდეგ	ექსპერიმენტის წინ	ექსპერიმენტის შემდეგ	ექსპერიმენტის წინ	ექსპერიმენტის შემდეგ
	17/36,6%	10/21,2%	25/53%	23/48,9%	5/10,6%	14/29,7%


შფოთის დონის მაჩვენებლები 47 ბავშვისაგან შემდგარ ჯგუფზე საკონსტატაციო და ექსპერიმენტულ ანუ ცდამდე და ცდის შემდეგ (იხ. ცხრილი13) შემოწმდა ნორმალურ განაწილებაზე და კორელაციაზე (პირსონის კორელაციის კოეფიციენტი  $r=0.85$ ), რის საფუძველზეც გამოყენებულ იქნა სტიუდენტს  $t$  კრიტერიუმი დამოკიდებული შერჩევის აღნიშნულ სერიებს შორის განსხვავების სტატისტიკური სანდოობის შესამოწმებლად და დადგინდა, რომ ცდამდე და ცდის შემდეგ ბავშვების შფოთის დონის მაჩვენებლებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდოა ( $p<0.05$ ) (იხ.ცხრილი 14).

ცხრილი 14. შფოთის დონის მაჩვენებლები ექსპერიმენტის წინ და ექსპერიმენტის შემდეგ

N	ექსპერ. წინ	ექსპერ. შემდეგ	N	ექსპერ. წინ	ექსპერ. შემდეგ	N	ექსპერ. წინ	ექსპერ. შემდეგ
1	0,44	0,44	17	0,10	0	33	0,64	0,57
2	0,64	0,50	18	0,57	0,50	34	0,80	0,71
3	0,57	0,50	19	0,71	0,64	35	0,50	0,47
4	0,35	0,21	20	0,21	0,17	36	0,80	0,71
5	0,50	0,50	21	0	0	37	0,29	0,17
6	0,50	0,50	22	0,29	0,21	38	0,90	0,81
7	0,71	0,64	23	0,71	0,71	39	0,64	0,64
8	0,50	0,42	24	0,29	0,21	40	0,29	0,17

9	0,35	0,21	25	0,13	0,10	41	0,29	0,20
10	0,50	0,50	26	0,71	0,71	42	0,42	0,42
11	0,21	0,17	27	0,50	0,50	43	0,13	0,13
12	0,29	0,20	28	0,57	0,50	44	0,42	0,42
13	0,14	0,10	29	0,47	0,47	45	0,21	0,20
14	0,21	0,20	30	1	0,71	46	0,42	0,42
15	0,57	0,50	31	0,57	0,47	47	0,42	0,35
16	0,64	0,50	32	0,21	0,17	სულ	20,33	18,55

დიგრამა 1.



### 3.4. მეორე კვლევის ზოგადი განხილვა.

მოძრავი თამაშები მიეკუთვნებიან მზაწესებიანი თამაშების რიცხვს და იმიტომ სკოლამდელი ასაკის დასაწყისში უფროსი ახორციელებს ბავშვების ორგანიზებას, რადგან 3-4 წლის ბავშვებს ჯერ არ შეუძლიათ თვითრეალიზაცია მარტივი წესების თამაშშიც კი. ჩვენ მიერ შერჩეულ თამაშებში, ბავშვებს იზიდავდა სიუჟეტი და ის მარტივი წესები, რომლის შესრულება მათ უხდებოდათ. სწორედ ამაში მდგომარეობს თამაშის პარადოქსი, როგორც აღნიშნავდა ვიგოტსკი, წესებისადმი დამორჩილება და უშუალო იმპულსზე უარის თქმა, არის გზა მაქსიმალურ სიამოვნებისკენ (Выготский, 2004). წესები თამაშებში უქმნიან ბავშვს ქცევის ნორმებს, განსაზღვრავენ იმას, თუ რა უნდა აკეთონ. თამაშის წესებისადმი დაუფლება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ბავშვის დისციპლინიანობის, ორგანიზებულობის აღზრდაში. მოძრავი თამაშები დიდ როლს ასრულებენ ბავშვის მოხერხებულობის, მოქმედების სისწრაფის, საზრიანობის განვითარებაში. ბავშვებს მუდმივად უწევთ მოულოდნელ სიტუაციისადმი შეგუება, წინააღმდეგობების გადალახვა. მოძრავ თამაშში გარდა ფიზიკური განვითარების, ბავშვები იძენენ სოციალურ უნარებს და რაც მთავარია ეჩვევიან სტრესული სიტუაციების დაძლევას (Isenberg & Jalongo, 2001). ქეფრიგოლსტეინითვლის, რომ აქტიური თამაში ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას და აუმჯობესებს აზროვნების პროცესს. დღეში, თუნდაც, ორი საათი ამგვარი თამაშების ჩატარება ხელს შეუწყობს ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტიურობის შემცირებას (Goldstein, 2012). ჩვენ მიერ გამოკვლეულ იქნა კიდევ ერთი ასპექტი მოძრავი თამაშის მნიშვნელობის-მათი გავლენა შფოთვის დონეზე. ჩვენ მიერ მიღებული შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ მოძრავი თამაშების გამოყენება მნიშვნელოვნად დაწია ბავშვებში შფოთვის დონე, რითაც შეუმსუბუქა მათ საბავშვო ბალისადმი ადაპტაცია.



## თავი 4.

### ბავშვთა შფოთვის დონის შედარება საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის პერიოდში ქ. თბილისის ცენტრისა და პერიფერიაში მდებარე სკოლამდელ დაწესებულებებში. (დამატებითი კვლევა)

წინა კვლევა ჩატარდა ქ. თბილისის ცენტრალურ რაიონებში განლაგებულ სახელმწიფო საბავშვო ბაღებში. (ვაკე , აღმაშენებელი,)

ჩვენ გაგვიჩნდა ჰიპოთეზა, რომ პერიფერიულ რაიონებში ჩვენ მივიღებთ განსხვავებულ შედეგს, რადგან ამ რაიონების მაცხოვრებლები არიან ერთმანეთთან უფრო მჭიდრო კონტაქტში, მათ ბავშვებს აქვთ საერთო სათამაშო სივრცე უბნებში და ერთად დადიან ახლომდებარე საბავშვო ბაღებში.

#### 4.1. მონაწილეები

ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩვენ ჩავატარეთ კვლევა (18.09.13.-20.09.13) ვაზისუბნის №182 და სვანეთის უბნის №10 საბავშვო ბაღებში. კვლევაში მიიღო მონაწილეობა 48 ბავშვმა (მათ შორის 23 გოგონა და 25-ბიჭი). და ქალაქის ცენტრალურ რაიონებში №№55, 172 (23.09.13-25.09.13) საბავშვო ბაღებში. კვლევაში მიიღო მონაწილეობა 52 ბავშვმა ( მათ შორის 28 გოგონა და 24 ბიჭი). კვლევის ჩატარება ასევე შეთანხმებული იყო საბავშვო ბაღის ადმინისტრაციასთან და მშობლებთან.

#### 4.2. პროცედურა

როგორც წინა კვლევაში, შფოთვის დონის გამოსავლენად საბავშვო ბაღში ახალმოსულ ბავშვებში, გამოვიყენეთ ამენი, დორკის და ტემპლის შფოთვის დონის გასაზომი მეთოდის იხ (დანართი 1).

### 4.3. კვლევის შედეგები


კვლევის შედეგად მივიღეთ შემდეგი მონაცემები: თბილისის ცენტრალურ რაიონების საბავშვო ბაღების 52 ბავშვიდან 30,7% აღნიშნა შფოთვის მაღალი დონე, 55,7%-საშუალო და 13,4%-დაბალი. პერიფერიაზე მდებარე საბავშვო ბაღების 48 ბავშვიდან კი 29,1% აღნიშნა მაღალი, 52%-საშუალო და 18,7%-დაბალი (იხ. ცხრილი 15).

ცხრილი 15. შფოთვის დონეები ქ. თბილისის ცენტრისა და პერიფერიის საბავშვო ბაღებში

ბავშვთა რაოდენობა	ბარბის განლაგება	შფოთვის დონე		
		მაღალი	საშუალო	დაბალი
52	ცენტრი	16/30,7%	29/55,7%	7/13,4%
48	პერიფერია	14/29,1%	25/52%	9/18,7%

ჩატარებული კვლევის შედეგებითა ანალიზმა გვაჩვენა, რომ ჩვენი ჰიპოთეზა არ დადასტურდა. როგორც ქალაქის ცენტრში, ასევე პერიფერიულ რაიონებში მცხოვრებ ბავშვებს უჭირთ საბავშვო ბაღისადმი შეგუება, რაც გამოიხატება ბავშვებში შფოთვის მაღალ დონეში (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2



#### 4.4. კვლევის ანალიზი.

კვლევის შედეგების ანალიზმა მოგვცა საშუალება აგვეხსნა არსებული პრობლემა იმით, რომ გასულ წლებში შემცირდა საბავშვო ბაღების რაოდენობა (ბევრი საბავშვო ბაღი დაიხურა), რაც გამოიწვია საბავშვო ბაღის ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობის გაზრდა (ჯგუფში საშუალოდ 35-45 ბავშვია). ამ დროს, ჩვენ მიერ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უმრავლეს ევროპულ ქვეყანაში ბავშვთა რაოდენობა არის 15-20. და თუ რაოდენობა 20-25 ბავშვია აღმზრდელთა რაოდენობაც იზრდება. მაგ., საფრანგეთში 20 ბავშვზე 4 აღმზრდელია, ინგლისში 25 ბავშვზე-2 აღმზრდელი, ჩრდილოეთ ირლანდიაში და კვიპროსში 20-24 ბავშვზე-5 აღმზრდელი, გერმანიაში 1,5-3 წლიან ჯგუფში 4 ბავშვზე თითო აღმზრდელი მოდის, 3-5-მდე 8 ბავშვზე 1 აღმზრდელი, მოსამზადებელ ჯგუფში კი- 10 ბავშვზე ერთი აღმზრდელი. ფინეთში ჯგუფში მაქსიმუმ 21 ბავშვია და სამ წლამდე 4 ბავშვზე 1 აღმზრდელი მოდის და სამი წლის ზევით 7 ბავშვზე 1- აღმზრდელი.

ბაღების პერსონალთან საუბრისას გაირკვა, რომ არის პროფესიული კადრების ნაკლებობაც: ბავშვებთან მუშაობენ, უკეთეს შემთხვევაში, პროფესიით სკოლის პედაგოგები ან ადამიანები, ვისაც არა აქვთ პედაგოგიური განათლება. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა თავისებურებების არცოდნა ართულებს ბავშვებთან მუშაობის პროცესს.

## თავი 5

### სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დასკვნები

კვლევის შედეგები ასახავენ საბავშვო ბაღისადმი ბავშვების სოციალური ადაპტაციის კვლევას პროექციული მეთოდის გამოყენებით ( ამენის და სხვ. შფოთვის საბავშვო მეთოდის, რენე ჟილის და პონომარენკოს „ხე“) და ექსპერიმენტული მუშაობის ბავშვების საბავშვო ბაღისადმი სოციალური ადაპტაციის:

1. საბავშვო ბაღისადმი სირთულეები აისახა შფოთვის მაღალი დონის მაჩვენებლებში ბავშვების საბავშვო ბაღში მოსვლის პირველ თვეს. სიტუაციების ნეგატიური შეფასების უმრავლესობა უკავშირდება ბავშვების ურთიერთდამოკიდებულებას თანატოლებთან, ამავე დროს ეს ურთიერთობები უპირატესია მათთვის (რენე ჟილის მეთოდის მიხედვით). სწორედ ეს ურთიერთდამოკიდებულებების არაერთმნიშვნელოვნება, რაც მოწმობს სოციალური ურთიერთობების გადასტრუქტურირებას და წარმოადგენს საბავშვო ბაღისადმი სოციალური ადაპტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.

2. ბავშვთა ნეგატიური მდგომარეობის ხანგრძლივობა და ინტენსიურობა დამოკიდებულია ობიექტურ (საბავშვო ბაღის გარემო, აღმზრდელებთან ურთიერთობა) და სუბიექტურ ფაქტორებზე ( ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებანი, მისი ტემპერამენტი, ხასიათის თვისებები, ოჯახში აღზრდის სტილი).

3. საბავშვო ბაღში ბავშვის სწრაფი ადაპტაცია დამოკიდებულია ოჯახში მის მომზადებაზე. იგულისხმება საბავშვო ბაღში შესავლისათვის დადებითი განწყობის შექმნა; კულტურულ-ჰიგიენური, კომუნიკაციური და სათამაშო ჩვევების გამომუშავება, რომლებიც მოაწესრიგებენ, დაარეგულირებენ ბავშვის ურთიერთობას უფროსებთან და თანატოლებთან.

4 ავტორიტეტული უფროსის უპირატესი მნიშვნელობის მაღალი მაჩვენებლები მიგვანიშნებენ აღმზრდელის როლზე საბავშვო ბაღისადმი სოციალური ადაპტაციის

სირთულეების დაძლევაში, რაც გამოვლინდა ბავშვების მიერ „ საბავშვო ბაღის სიტუაციებში“ და რენე ჟილის მეთოდის გამოყენებისას აღმზრდელთან ყოფნის სურვილში.

5. აღმზრდელის ყურადღების ნაკლებობა და მისი ბავშვებისთვის კვალიფიციური დახმარების სიმცირე, განსაკუთრებით საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის პერიოდში, გამოვლინდა ე.თბილისის პერიფერიაში ჩატარებულ დამატებით კვლევაში.

6. ექსპერიმენტულად დადგინდა მოძრავი თამაშების დადებითი როლი ბავშვების საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის პროცესში, რაც დადასტურდა შფოთვის მაღალი დონის დაწვევაში. ეს შედეგი აიხსნება ამ სახის თამაშების თავისებურებებით, კერძოდ:

- მოძრავი თამაშების დინამიური ხასიათი ანიჭებს ბავშვებს დიდ სიხარულს, უხსნის ემოციურ დაძაბულობას, აკმაყოფილებს მოძრაობის მოთხოვნილობას;
- მოძრავი თამაშების, აღმზრდელის ხელმძღვანელობით, რეგულარული ჩატარება დაეხმარება დადებით ურთიერთდამოკიდებულებას ბავშვებში და ბავშვთა ჯგუფის შემჭიდროებულობას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს საბავშვო ბაღისადმისწრაფ ადაპტაციას.

## თავი 6

### რეკომენდაციები

#### 6.1..რეკომენდაციები ბავშვის საბავშვო ბაღისადმი სოციალური ადაპტაციის პერიოდში სირთულეების დაძლევისათვის

თანამედროვე ცხოვრების ტემპი ნაკლებ დროს უტოვებს მშობლებს ბავშვებთან ურთიერთობისთვის, რის გამოც ბავშვებს აქვთ ემოციური კონტაქტის ნაკლებობა. მეორე მხრივ ეს ვლინდება ბავშვების დამოუკიდებლობის მატებაში წინა (70-80-ან) წლებთან შედარებით. ეს ტენდენცია გამოვლინდა ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში, კერძოდ, ამენის და სხვ. შფოთვის დონის მეთოდის გამოყენებისას. ბავშვთა უმრავლესობას ჰქონდა ნაკლებად უარყოფითი დამოკიდებულება ყოველდღიური რუტინულ სიტუაციებში დამოუკიდებლად მოქმედების მიმართ (მარტო ჭამა, პირის დაბანა, დაძინება, ჩაცმა). ამავე დროს რენე ჟილის მეთოდის გამოყენებისას გამოვლინდა ავტორიტეტული უფროსის, საბავშვო ბაღში კი აღმზრდელის, უპირატესი როლი ბავშვის ცხოვრებაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევისას არ გამოვლინდა განსხვავება შფოთვის დონის მხრივ ქალაქის ცენტრალურ და პერიფერიული უბნების საბავშვო ბაღების ბავშვებში; ანუ არ დადასტურდა ჩვენი ჰიპოთეზა პერიფერიული რაიონების ბავშვთა კონტაქტების დამყარების მეტი შესაძლებლობების თაობაზე. ამავე დროს, რამდენად სწრაფად მოხდება ბავშვის ადაპტაცია საბავშვო ბაღის პირობებისადმი დამოკიდებულია მის კომუნიკაციის უნარზე.

ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები შეიძლება ავხსნათ საბავშვო ბაღის ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობის სიმრავლით. რაც უქმნის აღმზრდელს სირთულეს ბავშვებთან, კერძოდ, კი ახალმოსული ბავშვის მიმართ, უფრო მეტი ყურადღების

და ალერსიანი დამოკიდებულების გამოვლენაში. პრობლემას უქმნის ის გარემოებაც, რომ საბავშვო ბაღებში აღმზრდელებად მუშაობენ სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები. ჩვენი გამოკითხვით, აღმზრდელთა უმრავლესობას ჰქონდა სკოლის პედაგოგის განათლება (მათემატიკის, ფიზიკის, დაწყებითი კლასის მასწავლებლის). სკოლამდელი ასაკის ბავშვის თავისებურებების ცოდნა კი გაუადვილებდა მათ ბავშვებთან მუშაობას.

საბავშვო ბაღისადმი ბავშვის სოციალური ადაპტაციის შესახებ ლიტერატურის თეორიული ანალიზის და ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება შემდეგი რეკომენდაციების მიცემა:

1. პედაგოგიურ ექსპერიმენტში მოძრავი თამაშების ჩატარებისას მიღებული შედეგები მოწმობს, რომ სასურველია ოჯახში მოხდეს ბავშვის მომზადება საბავშვო ბაღისადმი, კერძოდ:

ა) შეექმნას ბავშვს დადებითი განწყობა საბავშვო ბაღის მიმართ;

ბ) გამოუმუშავდეს ბავშვს კულტურულ-ჰიგიენური, კომუნიკაციური და სათამაშო ჩვევები;

გ) მოხდეს მემკვიდრეობითობა საბავშვო ბაღსა და ოჯახს შორის საბავშვო ბაღის რეჟიმის და ბაღის მუშაობის ორგანიზაციული საკითხების გაცნობის მიზნით.

2. დიაგნოსტიკური კვლევისას მიღებული შედეგები მოწმობს, რომ ადაპტაციის პროცესი უფრო ადვილად დასრულდება, თუ საბავშვო ბაღში ბავშვის მიღებისას მოხდება შესაბამისი პირობების ორგანიზება: ყურადღება, ალერსიანი ტონი, ურთიერთობის დემოკრატიული სტილი, სპეციალურად შერჩეული თამაშობანი და სხვა. ეს ყოველივე ხელს უწყობს დაძაბულობის მოხსნას და ანელებს, აქვეითებს ბავშვის შფოთვის დონეს.

3. მოხდეს სპეციალურად შერჩეული და აპრობირებული მოძრავი თამაშების რეგულარული ჩატარება, განსაკუთრებით ბავშვის საბავშვო ბაღში შესვლის პირველ კვირებში, რაც ხელს შეუწყობს ბავშვთა შეკავშირებას, ერთმანეთთან და

აღმზრდელებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბებას და დააჩქარებს ბავშვის ადაპტაციას საბავშვო ბაღისადმი.

## 6.2. რეკომენდაციები შემდგომი კვლევებისათვის.

საბავშვო ბაღისადმი ბავშვის სოციალური ადაპტაციის კვლევების მომავალში გაგრძელებისას საინტერესო იქნებოდა შემდეგ საკითხებზე მუშაობა:

- ჩვენ მიერ ბავშვის საბავშვო ბაღისადმი სოციალური ადაპტაციის საკითხის დამატებით ჩატარებულ კვლევაში, მოვახდინეთ შედარება ქალაქის ცენტრალურ და პერიფერიულ რაიონების ბაღებს შორის. აქედან გამომდინარე საინტერესო იქნებოდა ამ საკითხის კვლევის არეალის გაფართოვება რეგიონალურ ბაღებზეც;
- თანამედროვე ეტაპზე არსებობს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საბავშვო ბაღები. ამ ბაღებში, შესაძლოა, სოციალური ადაპტაციის პრობლემა ნაკლებად იყოს წარმოჩენილი, რადგან ბავშვთა რაოდენობა ოპტიმალურ რიცხვს უტოლდება და აღმზრდელების რაოდენობაც მეტია ვიდრე სახელმწიფო საბავშვო ბაღებში. ამავე დროს საინტერესოა არის თუ არა ეს პრობლემა ამ კატეგორიის ბაღებში და თუ არის, როგორ უმკლავდებიან ამას და რამდენად კვალიფიციური მიდგომაა თითოეულ ბავშვის მიმართ.
- და ბოლოს, ადაპტაციური მექანიზმების შემუშავება სასურველია ადრეული ასაკიდანვე, ხოლო სკოლამდელი ასაკი ხელსაყრელ პერიოდს წარმოადგენს ახალი უნარ-ჩვევების შეძენისათვის. აქედან გამომდინარე საინტერესო იქნებოდა ლონგიტიუდური კვლევის ჩატარება საბავშვო ბაღში შეძენილი ადაპტაციის უნარი რამდენად შეუწყობს ხელს სკოლისადმი სწრაფ ადაპტაციას.



## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adler, Bill, and Peggy Robin. *Outwitting Toddlers*. New York: Kensington Books, 2001.
2. Ashiabi, Godwin S. "Play in the Preschool Classroom: Its Socioemotional Significance and the Teacher's Role in Play." *Early Childhood Education Journal Early Childhood Educ J*, 2007, 199-207.
2. Babalis, Thomas, Konstantina Tsoli, Vassilis Nikolopoulos, and Panagiotis Maniatis. "The Effect of Divorce on School Performance and Behavior in Preschool Children in Greece: An Empirical Study of Teachers' Views." *Psychology PSYCH*, 2011, 20-26.
3. Bilton, Helen. *Playing Outside: Activities, Ideas and Inspiration for the Early Years*. London: David Fulton, 2004.
4. Bjorklund, David F., and Anthony D. Pellegrini. "Child Development and Evolutionary Psychology." *Child Development*, 2003, 1687-708.
5. Bronfenbrenner, Urie. "Ecological Models of Human Development". In *International Encyclopedia of Education*, Vol.3, 2nd. Ed. Oxford: Elsevier. 1994, 1643-1647. Reprinted in: Gauvain, M. & Cole, M. (Eds), *Readings on the development of children*. 2nd Ed. NY: Freeman. 1993, pp. 37-43.
6. Bulotsky-Shearer, Rebecca J., Elizabeth R. Bell, and Ximena Domínguez. "Latent Profiles of Problem Behavior within Learning, Peer, and Teacher Contexts: Identifying Subgroups of Children at Academic Risk across the Preschool Year." *Journal of School Psychology*, 2012, 775-98.
7. Burton, R. (2011). It's time to stop defending play. *Exchange* (01648527), May/June 2011, Issue 199, p. 68-71. See: [https://en.wikipedia.org/wiki/Learning\\_through\\_play](https://en.wikipedia.org/wiki/Learning_through_play)
8. Campbell, Susan B. "Behavior Problems in Preschool Children: A Review of Recent Research." *Journal of Child Psychology and Psychiatry J Child Psychol & Psychiat*, 1995, 113-49.

9. Chandler, L. "Promoting Positive Interaction Between Preschool-Age Children During Free Play: The PALS Center." *Young Exceptional Children*, 1998, 14-19.
10. Cheah, Charissa S. L. "Play, Nonsocial, and Social-Emotional Development in Childhood." *Encyclopedia of Applied Developmental Science*, 2007.
11. Connolly, Jennifer A., and Anna-Beth Doyle. "Relation of Social Fantasy Play to Social Competence in Preschoolers." *Developmental Psychology*, 1984, 797-806.
12. Coplan, Robert J., Kenneth H. Rubin, Nathan A. Fox, Susan D. Calkins, and Shannon L. Stewart. "Being Alone, Playing Alone, and Acting Alone: Distinguishing among Reticence and Passive and Active Solitude in Young Children." *Child Development*, 1994, 129-37.
13. Darwish, Diane, Giselle B. Esquivel, John C. Houtz, and Vincent C. Alfonso. "Play and Social Skills in Maltreated and Non-maltreated Preschoolers during Peer Interactions☆." *Child Abuse & Neglect*, 2001, 13-31.
14. Davis, Elise, Naomi Priest, and all. "Family Day Care Educators: An Exploration of Their Understanding and Experiences Promoting Children's Social and Emotional Wellbeing." *Early Child Development and Care*, 2011, 1193-208.
15. Davis, Elise, Corr L., and all." Family Day Care Educators' Knowledge, Confidence and Skills in Promoting Children's Social and Emotional Wellbeing: Baseline Data from Thrive. "*Australasian Journal of Early Childhood*", 2014, 3.
16. Denham, Susanne A., Sarah Caverly, Michelle Schmidt, Kimberly Blair, Elizabeth Demulder, Selma Caal, Hideko Hamada, and Teresa Mason. "Preschool Understanding of Emotions: Contributions to Classroom Anger and Aggression." *Journal of Child Psychology and Psychiatry J Child Psychol & Psychiat*, 2002, 901-16.
17. Denham, Susanne A., Mary Cook, and Daniel Zoller. "'Baby Looks Very Sad': Implications of Conversations about Feelings between Mother and Preschooler." *British Journal of Developmental Psychology*, 1992, 301-15.

18. DenhamSusanne, Mason Teresa, Caverly Sarah. "Preschoolers at Play: Co-socialisers of Emotional and Social Competence." *International Journal of Behavioral Development*, 2001, 290-301.
- 19 . Dewar Gwen. *Preschool social skills: A guide for the science-minded parent* © 2006-2009 See more at: <http://www.parentingscience.com/preschool-social-skills.html>
20. Edwards, C., & Raikes, H. (2002). Extending the dance: Relationship-based approaches to infant/toddler care and education. *Young Children*, 57(4), 10-17.
21. Eley, Thalia C., Derek Bolton, Thomas G. O'connor, Sean Perrin, Patrick Smith, and Robert Plomin. "A Twin Study of Anxiety-related Behaviours in Pre-school Children." *Journal of Child Psychology and Psychiatry J Child Psychol & Psychiat*, 2003, 945-60.
22. Engle, Jennifer M., Nancy L. Mcelwain, and Nicole Lasky. "Presence and Quality of Kindergarten Children's Friendships: Concurrent and Longitudinal Associations with Child Adjustment in the Early School Years." *Inf. Child Develop. Infant and Child Development*, 2010, 365-86.
23. Erikson, E.H. *Childhood and Society*, 2<sup>nd</sup> Ed. New York: W.W.Norton, 1964.
24. Factor, David C., and Gary H. Frankie. "Free-play Behaviors in Socially Maladjusted and Normal Preschool Children: A Naturalistic Study." *Canadian Journal of Behavioural Science/Revue Canadienne Des Sciences Du Comportement*: 272-77.
25. Fowler, Dora,MBA. *Raising Emotionally Healthy Children*. Earlychildhood NEWS. The Professional Resource for Teachers and Parents. See: [http://www.earlychildhoodnews.com/earlychildhood/article\\_view.aspx?ArticleId=566](http://www.earlychildhoodnews.com/earlychildhood/article_view.aspx?ArticleId=566)
26. Fox, Nathan A. "Psychophysiological Correlates of Emotional Reactivity during the First Year of Life." *Developmental Psychology*, 1989, 364-72.

27. Frankel, Fred, and Robert Myatt. *Children's Friendship Training*. New York: Brunner-Routledge, 2003.
28. Garber, J., & Dodge, K. (Eds.). (1991). *The development of emotion regulation and dysregulation*. New York: Cambridge University Press.
29. Garner, Pamela W., and Kimberly M. Estep. "Emotional Competence, Emotion Socialization, and Young Children's Peer-Related Social Competence." *Early Education & Development*, 2010, 29-48.
30. Goldstein Jeffrey. *Play in Children's Development, Health and Well-Being*. February, 2012. p.33-77.
31. Graue, E. What's going on in the children's garden today? *Young Children*, 2001, May. p. 67-73.
32. Hartup, Willard W. *Relationships and Development*. Hillsdale, N.J.: L. Erlbaum Associates, 1986.
33. Hartup, Willard W. "Peer Relations in Early and Middle Childhood." *Handbook of Social Development*, 1992, 257-81.
34. Hartup, Willard W., and Shirley G. Moore. "Early Peer Relations: Developmental Significance and Prognostic Implications." *Early Childhood Research Quarterly*, 1990, 1-17.
35. Howard, J., and K. McInnes. "The Impact of Children's Perception of an Activity as Play Rather than Not Play on Emotional Well-being." *Child: Care, Health and Development Child Care Health Dev*, 2012, 737-42.
36. Hughes, F.P. *Children, play, and development* (3<sup>rd</sup> ed.). Needham Heights, MA: Allyn & Bacon. 1999.
37. Isenberg, Joan P., and Mary Renck Jalongo. *Creative Expression and Play in Early Childhood*. 3rd ed. Upper Saddle River, N.J.: Merrill, 2001.

38. Isenberg, Joan P. *Major Trends and Issues in Early Childhood Education: Challenges, Controversies, and Insights*. 2nd ed. New York: Teachers College Press, 2003.
39. Jennifer M., Engle, McElwain Nancy L., and Lasky Nicole. "Presence and Quality of Kindergarten Children's Friendships: Concurrent and Longitudinal Associations with Child Adjustment in the Early School Years." *Inf. Child Develop. Infant and Child Development*, 2010, 365-86.
40. Jewsuwan, Ratana, Tom Luster, and Marjorie Kostelnik. "The Relation between Parents' Perceptions of Temperament and Children's Adjustment to Preschool." *Early Childhood Research Quarterly*, 1993, 33-51.
41. Johnson, Christine, Marsha Ironsmith, Charles W. Snow, and G. Michael Poteat. "Peer Acceptance and Social Adjustment in Preschool and Kindergarten." *Early Childhood Education Journal*, 2000, 207-12.
42. Karr-Jelinek, C. *Transition to kindergarten: Parents and teachers working together*. Educational Resources information Center, 1994.
43. Katz, Lilian G., and Diane E. McClellan. *Fostering Children's Social Competence: The Teacher's Role*. Washington, D.C.: National Association for the Education of Young Children, 1997.
44. Kaufman, Scott B., Singer Jerome L., and Singer Dorothy G., "The Need for Pretend Play in Child Development". *Psychology Today*, 2012. p.6.
45. Kerr, Elizabeth. "Children's Play: Its Function in Emotional Development." *Australian Social Work*, 2008, 35-40.
46. Ladd, Gary W. "Having Friends, Keeping Friends, Making Friends, and Being Liked by Peers in the Classroom: Predictors of Children's Early School Adjustment?" *Child Development*, 1990, 1081-100.

47. Ladd, Gary W., and Casey M. Sechler. "Young Children's Peer Relations and Social Competence." *Handbook of Research on the Education of Young Children*, 2010.
48. Ladd, Gary W., and Joseph M. Price. "Predicting Children's Social and School Adjustment Following the Transition from Preschool to Kindergarten." *Child Development*, 2000, 1168.
49. Mayer, J.D., Salovey, P., & Caruso, D.R. (2004). Emotional intelligence: Theory, findings, and implications. *Psychological Inquiry*, 15, p. 197-215.
50. Maslow, Abraham H. *Motivation and Personality*. New York: Harper and Row, 1987. p. 19.
51. Maxwell, K. & Eller, S. Children's transition to kindergarten. *Young Children*, (1994, September). p.56-63.
52. McIntyre, Laura Lee, Tanya L. Eckert, Barbara H. Fiese, Florence D. Digennaro, and Leah K. Wildenger. "Transition to Kindergarten: Family Experiences and Involvement." *Early Childhood Education Journal Early Childhood Educ J*, 2007, 83-88.
53. Pellegrini, Anthony D. "Development Of Preschoolers' Social-Cognitive Play Behaviors." *Perceptual and Motor Skills*, 1982, 1109-110.
54. Piaget, J. and Inhelder, B. *The Psychology of the Child*. New York: Basic Books, 1969.
55. Pigott, T. D. "Head Start Children's Transition to Kindergarten: Evidence from the Early Childhood Longitudinal Study." *Journal of Early Childhood Research*, 2005, 77-104.
56. Porter, Christin L. "Predicting Preschoolers' Social-Cognitive Play Behavior: Attachment, Peers, Temperament, And Physiological Regulation 1." *Psychological Reports*, 2009, 517-28.
57. Preusse Kathy. Fostering Prosocial Behavior in Young Children. Early Childhood NEWS. The Professional Resource for Teachers and Parents. See: [http://www.earlychildhoodnews.com/earlychildhood/article\\_view.aspx?ArticleId=566](http://www.earlychildhoodnews.com/earlychildhood/article_view.aspx?ArticleId=566)

58. Pyle, Angela, and Ashley Bigelow. "Play in Kindergarten: An Interview and Observational Study in Three Canadian Classrooms." *Early Childhood Education Journal Early Childhood Educ J*, 2014 Ramsey, Patricia G. "Fostering Children's Social Competence: The Teacher's Role." *Early Childhood Research Quarterly*, 2009, 373-76.
59. Raikes, H. (1996). A secure base for babies: Applying attachment concepts to the infant care setting. *Young Children*, 51 (5), 59-67.
60. Ray, Katherine, and Maureen C. Smith. "The Kindergarten Child: What Teachers and Administrators Need to Know to Promote Academic Success in All Children." *Early Childhood Education Journal Early Childhood Educ J*, 2010, 5-18.
61. Robinson, Chanele D., and Karen E. Diamond. "A Quantitative Study of Head Start Children's Strengths, Families' Perspectives, and Teachers' Ratings in the Transition to Kindergarten." *Early Childhood Education Journal Early Childhood Educ J*, 2013, 77-84.
62. Robinson, Maria. *The Feeling Child: Developing Confidence and Resilience in the Early Years*. London: Routledge, 2013.
63. Rothbart, Mary K., and John E. Bates. "Temperament." *Handbook of Child Psychology*, 2007.
64. Roper, R., and R. A. Hinde. "Social Behavior in a Play Group: Consistency and Complexity." *Child Development*, 1978, 570-79.
65. Rubin, Kenneth H. "Nonsocial Play in Preschoolers: Necessarily Evil?" *Child Development*, 1982, 651-657.
66. Rubin, Kenneth H., Shelley Hymel, and Rosemary S. L. Mills. "Sociability and Social Withdrawal in Childhood: Stability and Outcomes." *Journal of Personality*, 1989, 237-55.
67. Rubin, Kenneth H., Robert J. Coplan, Nathan A. Fox, and Susan D. Calkins. "Emotionality, Emotion Regulation, and Preschoolers' Social Adaptation." *Develop. Psychopathol. Development and Psychopathology*, 1995, 49-62.

68. Sebanc, Anne M. "The Friendship Features of Preschool Children: Links with Prosocial Behavior and Aggression." *Social Development*, 2003, 249-68.
68. Sharman, Andy (13 March 2008). "Montessori schools: Where learning is child's play". The Independent. The Independent. Retrieved 11 June 2012. See: [https://en.wikipedia.org/wiki/Learning\\_through\\_play](https://en.wikipedia.org/wiki/Learning_through_play)
69. Smidt, Sandra. *The Developing Child in the 21st Century a Global Perspective on Child Development*. London: Routledge, 2006.
70. Spence, Susan H, Ronald Rapee, Casey McDonald, and Michelle Ingram. "The Structure of Anxiety Symptoms among Preschoolers." *Behaviour Research and Therapy* ,2001,1293-316.
71. Stanton-Chapman, T. L., and D. S. Hadden. "Encouraging Peer Interactions in Preschool Classrooms: The Role of the Teacher." *Young Exceptional Children*, 2011, 17-28.
72. Stanton-Chapman, Tina L. "Promoting Positive Peer Interactions in the Preschool Classroom: The Role and the Responsibility of the Teacher in Supporting Children's Sociodramatic Play." *Early Childhood Education Journal Early Childhood Educ J*, 2014, 99-107.
73. Stanton-Chapman, Tina L., Virginia Walker, and Kristen R. Jamison. "Building Social Competence in Preschool: The Effects of a Social Skills Intervention Targeting Children Enrolled in Head Start." *Journal of Early Childhood Teacher Education*, 2014, 185-200.
74. Stephanie Schmitz, David W. Fulker, Robert Pl. "Temperament and Problem Behaviour during Early Childhood." *International Journal of Behavioral Development*, 1999, 333-55.
75. Stevens, Clair. *The Growing Child: Developing Foundations for Life and Health in the Early Years*. London: Routledge, 2013.



76. Tan, Patricia Z., Laura Marie Armstrong, and Pamela M. Cole. "Relations between Temperament and Anger Regulation over Early Childhood." *Social Development*, 2012.
77. Vandell, Deborah Lowe. "Baby Sister/Baby Brother." *Journal of Children in Contemporary Society*, 1988, 13-37.
78. Vandell, Deborah. "Early Child Care: The Known and the Unknown." *Merrill-Palmer Quarterly*, 2004, 387-414.
79. Vandell, Deborah Lowe. Elements of Children's Social Functioning. "*Child Development*, November/December, 2003, vol,73, 6. 1639-1662.
80. Wildenger, Leah K., Laura Lee McIntyre, Barbara H. Fiese, and Tanya L. Eckert. "Children's Daily Routines During Kindergarten Transition." *Early Childhood Education Journal Early Childhood Educ J*, 2008, 69-74.
81. Wolfgang, Charles H. "A Study of Play as a Predictor of Social-emotional Development." *Early Child Development and Care*, 2006, 33-54.
82. Wright, Lisa. "The Social and Nonsocial Behaviors of Precocious Preschoolers during Free Play." *Roeper Review*, 1990, 268-74.
83. ალფაიდე, ლ., კრიზისი საბავშვო ბაღში: რატომ უნდა ითამაშონ ბავშვებმა (II ნაწილი) ნაწყვეტი Alliance for Childhood-კვლევიდან აშშ-ის საბავშვო ბარბის შესახებ. ავტორები ე.მილერი და ჯ.ელმანი (თარგმანი ინგლისურიდან). წყარო: Crisis in the Kindergarten, is available online at [www.allianceforchildhood.org](http://www.allianceforchildhood.org).
84. ბერკი, ლ., *ბავშვის განვითარება*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2010.
85. გერსამია, ი., საბავშვო ბაღის აღმზრდელის როლი ბავშვის სოციალური ადაპტაციის სიძნელეების დაძლევაში. *ინტელექტი*. თბილისი. 2005. 2(22). 179-180.
86. გერსამია, ი., საბავშვო ბაღისათვის ბავშვის სოციალური მომზადების თავისებურებები. *პრომეთე*. 2006. 7(19). 35-37.

87. გერსამია, ი., ბავშვის კავშირ-ურთიერთობათა თავისებურებანი სკოლამდელ ასაკში. *მოამბე*. 2010. №11. 151-155.
88. ლივებუდი, ბ., ბავშვის განვითარების ფაზები. თბილისი: აწმყო .2002.
89. სასაწავლო- საადმინისტრაციული პროგრამა თბილისის ბაგა-ბავშვებისათვის. ნაწილი I. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2011.
90. სკოლამდელთა სგანმანათლებლო პროგრამა. /ნ. სამხარაძის, ლ. მექვიციანი რედ. თბილისი, 2000.
91. უზნაძე, დ., *ბავშვის ფსიქოლოგია*, თბილისი, 1947.
92. უზნაძე, დ., *ბავშვის ფსიქოლოგია*, თბილისი, 2011. გვ. 151.
93. უზნაძე, დ., *ზოგადი ფსიქოლოგია*, ტ. III-IV. თბილისი, 1998.
94. უზნაძე, დ., *პედაგოგიური თხზულებანი*. თბილისი, 2005.
95. უზნაძე, დ., *შრომები*, ტ. V. - თბილისი, 1967.
96. ფალავანდიშვილი, მ., *მოდრავი თამაშობანი ბავშვებისათვის*. თბილისი, 1994.
97. ყოლბაია, მ., *ბავშვის ფსიქოლოგია*. თბილისი, პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.
98. ყოლბაია, მ., *ძნელი ბავშვები*. თბილისი, 1995.
99. Алямовская В.Г., Петрова С.Н. Предупреждение эмоционального напряжения у детей дошкольного возраста / Книга практического психолога. Москва, : «Издательство Скрипторий 2000», 2002. -80 с.
100. Амен.В., Дорки. М., Тэммл Р., Тест тревожности./под ред., Л.А.Головей, Е.Ф. Рыбалко/Практикум по возрастной психологии. СПб., Речь. 2002.
111. Анастаси.А., Психологическое тестирование. Москва, : Педагогика, 1982. с. 182-183.
112. Божович Л.И. Личность и ее формирование в детском возрасте. (Психологическое исследование). Москва, : Просвещение. 1968.
113. Бурменская Г.В., Карабанова О.А, Лидерс А.Г. Проблемы психического развития детей / Возрастно-психологическое консультирование. Москва, : МГУ, 1990. 134 с.
114. Венгер Л.А., Мухина В.С. Психология. Москва, : Просвещение, 1988., 67 с.
115. Выготский Л.С. Собр. соч. в 6 т. Т. 4. Москва, : Педагогика, 1984., с. 280-368.

116. Выготский Л.С. Собр. соч. в 6 т. Т.5. Москва,:Педагогика, 1983.
- 117.Выготский Л.С. Психология развития ребёнка.Москва,: ЕКСМО. 2004. 225 с.
- 118.Детская практическая психология /Под ред. Т.Д.Марцинковской. серия:PSYCHOLOGIA UNIVERSALIS.Москва,:Гардарики.2004.
119. Жиль Рене. (Методика). Психологические тесты. Под ред. Ахмеджанова.Э.Р.б Москва.Светотон. 1995.
120. Зимбардо Ф. Застенчивость. Москва,:Педагогика, 1991.
121. Зимбардо Ф. Социальное влияние. СПб.,:Питер,1999.
122. Имедадзе Н.В. Тревожность как фактор учения в дошкольном возрасте /Психологические исследования. Тбилиси, Москва, 1966.
123. Коломинский Я.Л. Психология детского коллектива. Минск, 1984.
124. Коломинский Я.С. Психология личных взаимоотношений в детском коллективе. – Минск, 1969.
125. Кайл. Р., *Детская психология: Тайны психики ребёнка*. СПб.:Прайм-Евроник. 2002. с.416.
- 126.Крайг Г. *Психология развития* - СПб.: Питер, 1998.
- 127.Лангмейер, Й., Матейчек, З., Психическая депривация в детском возрасте. Прага.: Авиценна. 1984.
127. Леонтьев А.Н. Психология общения //Учеб. пособие для студ-ов. Москва:Смысл 1997.
- 128.Лисина, М.И.,Проблемы онтогенеза общения, Москва: Педагогика, 1986.
129. Макарычева Н.В. Проблемы раннего детства. Диагностика, педагогическая поддержка, профилактика. Москва:АРКТИ. 2005.
130. Макшанцева Л.В. Тревожность и возможности ее снижения у детей, начинающих посещать детский сад // *Психологическая наука и образование*. 1998, № 2.
131. Маралов В.Г. Психологические особенности и ориентации педагогов на личностную модель взаимодействия с детьми. Москва: Академический проект. 2005. 288 с.


132. Морган, У.П., Эликсон К.А. Ситуативная тревога и результативность деятельности. Вопросы психологии. 1990. №3.
133. Ньюкомб Н. Развитие личности ребенка. СПб.: Питер, 1997.
134. Общение детей в детском саду и семье /Под ред. Т.А.Репиной, Р.Б.Стеркиной. Москва, 1990.
135. Петровский А.В. О некоторых феноменах взаимоотношений в коллективе // *Вопросы психологии*. 1976, № 3.
136. Подласый И.П. Педагогика. 100 вопросов. 100 ответов. Москва, Владос, 2003.
137. Пономаренко, Л.П., издание "Психологическая профилактика дезадаптации учащихся в начале обучения в средней школе. (Методические рекомендации для школьных психологов ) ", (1999). источник : psi.chol.ru
138. Прихожан А.М. Причины, профилактика и преодоление тревожности // *Психологическая наука и образование*. 1998, № 2.
139. Прихожан А.М. Тревожность у детей и подростков: Психологическая природа и возрастная динамика. Москва, Воронеж, 2000.
140. Психология детства А.А.Реана. СПб., , 2004.
141. Реан. А., *Психология детства*. Учебник. СПб. Прайм ЕВРО-ЗНАК. 2003. 368 с.
142. Репина Т.А., Стеркина Р.Б. и др. Общение детей в детском саду и семьей Москва: Педагогика.1990. 152 с.
143. Рогов Е.И. Настольная книга практического психолога. Т. I, II. Москва, Владос, 2001.
144. Рогов Е.И. Настольная книга практического психолога в образовании. Москва, Владос. 1996.
145. Рузская А.Г. Развитие общения ребенка со взрослыми и сверстниками // *Дошкольное воспитание*. 1988, № 3. 37-39 с.
146. Сандлер Р.Я. Взаимоотношения детей на втором году жизни. Москва, Медгиз. 1950. 52 с.

147. Социальная адаптация детей в дошкольных учреждениях /Под ред. Р.В.Тонковой-Ямпольской, Е.Шмидт-Кольмер, А.А.Анастасовой-Вуковой. Москва.:Медицина, 1980.
- 148.Хорни, К.,собр.соч.в 3-х томах: пер. с англ. : Смысл.2007. Т.2. с.480.
149. Хьел Л., Зинглер Д. Теория личности. СПб, : Питер,1997.
150. Эльконин Д.Б. Психология игры. Москва: Владос. 1978.


## დანართები

დანართი1. ამენის, დორკის და ტემპლის შფოთვის საბავშვო ტესტის მასალა


1. უმცროს ბავშვებთან თამაში.



2. ბავშვი დედასთან ერთად ასეირნებს ჩვილ ბავშვს.




3. აგრესიი ობიექტი.



4. მარტო ჩაცმა.




5. თამაში უფროს ბავშვებთან.




6. დასაძინებლად წასვლა.





7. პირის დაბანა.





8. საყვედური.




9. იგნორირება.





10. აგრესიული თავდასხმა.





11. სათამაშოების ალაგება.



12. იზოლაცია.




13. ბავშვი მშობლებთან ერთად.





14.მარტო ჭამა.



## დანართი 2. „საბავშვო ბაღის სიტუაციები“


1. ბავშვი დედასთან ერთად მიდის საბავშვო ბაღში.



2. აღმზრდელი უკითხავს ბავშვებს ზღაპარს.



3. ბავშვები თამაშობენ საბავშვო ბაღში.




4. აღმზრდელი ბავშვებთან ერთად თამაშობს ბურთს.




დანართი 3. რენე ჟილის მეთოდის მასალა

1.




2.




3.


4.




5.



6.



6.




8.




9.




10.




11.



12.




13.





14.




16.



17.



დანართი 4. პონომარენკოს მეთოდის „ხე“



პოზიციები	დახასიათება
3,6,7	ორიენტაცია წინააღმდეგ ორიენტაცია წინააღმდეგობის გადალახვაზე
18,19,11,12	იმუნიკაბელურობა, მეგობრული მხარდაჭერა
4	ბიძელო მდგომარეობა (წარმატების მიღების სურვილი წინააღმდეგობის გადალახვის გარეშე)
5	ერთო სისუსტე, ძალების ნაკლებობა, მორცხეობა
9	იტივაცია გართობაზე
14	რიზისული მდგომარეობა, უფსკრულში ვარდნა
13,21	ანყენებულობა, გულჩათხრობილობა, შფოთვა
8	ავის თავიში ჩაკეტვა, ჩაკეტილობა
10,15	იმფორტული მდგომარეობა

16,17	პარდაქერა, ემოციური სიახლოვე
20	იმატებული თვითშეფასება, ორიენტაცია ლიდერობაზე

## დანართი 5. მოძრავი თამაშები

კვლევაში გამოყენებული მოძრავი თამაშების მაგალითები. ამ თამაშების მიზანია ბავშვთა ჯგუფის შემჭიდროებულობა, ახალმოსულ ბავშვებში ემოციური დაძაბულობის მოხსნა და როგორც ექსპერიმენტული კვლევით დადგინდა შფოთვის დონის დაწვეა, რაც საბოლოოდ სწრაფ ადაპტაციას უწყობს ხელს.

### ტალღები

ბავშვები სხედან წრეზე აღმზრდელი კი სთავაზობს მათ გაიხსენონ ზაფხული, როგორ ბანაობდნენ ისინი მდინარეში, ტბაში. „მაგრამ უკეთესია ზღვაში ბანაობა:- ამბობს აღმზრდელი,-, იმიტომ რომ ზღვაში ტალღებია და რა სასიამოვნოა, როცა ტალღა გეფერება და გევლება. ტალღა კეთილი და მხიარულია“. შემდეგ აღმზრდელი სთავაზობს ბავშვებს განასახიერონ ტალღები ხელებით. ბავშვები დგებიან აღმზრდელთან ერთად ხელების მოძრაობით გამოსახავენ ტალღებს.

ასეთი „ვარჯიშის“ „ შემდეგ აღმზრდელი სთავაზობს ბავშვებს რიგ-რიგობით „იბანაონ ზღვაში“. „მცურავი“ დგება ცენტრში, ხოლო „ ტალღები“ (ბავშვები) რიგ-რიგობით მირბიან „მცურავთან“ და ეფერებიან. როცა ყველა ბავშვი მოეფერება მცურავს , ის გარდაიქცევა ტალღად და შემდეგი ბავშვი „შედის „ ზღვაში.

### კრუხი და წიწილები

თამაშში მონაწილეობენ კრუხი (უკეთესია თავდაპირველად ეს როლი განასახიეროს აქტიურმა, პოპულარულმა ბავშვმა), წიწილები (დანარჩენი ბავშვები) და ქორი (ამ როლს ასრულებს აღმზრდელი). თავიდან კრუხი თავის წიწილებთან ერთად ეძებს საკენკს მინდორში. უეცრად ჩნდება ქორი, რომელსაც უნდა წიწილის მოტაცება. კრუხი ცდილობს შვილების დამალვას (ამისთვის შეიძლება რაიმე დიდი გადასაფარებლის გამოყენება). როცა ყველა ბავშვი „დაიმალება“ (შეძვრება გადასაფარებლის ქვეშ), ქორი კიდევ რამოდენიმე წრეს დაარტყამს და გაეცლება. ხოლო კრუხი და წიწილები ისევ გამოდიან და ცქრიან მინდორში. თამაშის განმეორებისას შეიძლება კრუხის როლის არაპოპულარულმა ბავშვმა შეასრულოს, რათა მას მიეცეს სხვა ბავშვებზე ზრუნვის შესაძლებლობა.

### *გავბეროთ ბუმტი*

ხელჩაკიდებული ბავშვები ერთმანეთთან ახლოს დგანან წრეში და აღმზრდელთან ერთად გაიძახიან:

„ გაიბერე, ბუმტო,  
გაიბერე დიდი,  
გახდი ბურთის ხელა-  
ვითამაშოთ ყველა“.

ამ სიტყვებთან ერთად ბავშვები თანდათან აფართოებენ წრეს. აღმზრდელის სიტყვებზე „ ბუმტი გასკდა“-მკლავებს ძირს უშვებენ, ერთად იძახიან „ბახ!“- და ჩაცუცქდებიან. შემდეგ აღმზრდელი მათ სთავაზობს გაბერონ ახალი ბუმტი. ბავშვები დგებიან, ხელახლა კრავენ პატარა წრეს და განახლებენ თამაშს. თამაშის დამთავრებისას, როცა ბუმტი „გასკდება“, ბავშვები გარდაიქცევიან პატარა ბუმტებათ და გაიფანტებიან ოთახში.

### *„ჩუქ-ჩუქ“ მატარებელი*

ბავშვები დგებიან რიგში ერთიმეორის უკან და ხელებს ერთმანეთის მხრებზე აწყობენ. აღმზრდელი აძლევს ინსტრუქციას: „ თქვენ ხართ მატარებელი, უნდა იმოძრაოთ ოთახში და წარმოთქვათ: „ჩუქ-ჩუქ“. როცა დაარტყამთ ერთ წრეს, პირველი ბავშვი გადადის ბოლოში, ხოლო მის შემდეგ მდგომი ბავშვი ხდება ორთქმავალი. ყოველი ახალ წრეზე მატარებელი უმატებს სიჩქარეს და უფრო ხმამაღალი „ჩუქ-ჩუქი“ისმის. თამაში გრძელდება მანამ, სანამ ყველა ბავშვი არ დადგება ორთქმავლის ადგილას. ბოლოს შეიძლება მოეწყოს „მატარებლის მარცხი“. (ამისათვის რბილი ხალიჩა უნდა იდოს იატაკზე, რომ ბავშვები არ დაშავდნენ).

### ბებია მელანია

ბავშვები აღმზრდელთან ერთად დგებიან წრეზე, შუაში კი დგას ბავშვი, რომელიც ბებია მელანიას ასახიერებს. ბავშვები აღმზრდელთან ერთად იმეორებენ სასაცილო ტექსტს და შინაარსის მიხედვით იმეორებენ წამყვანი ბავშვის (ბებია მელანიას) მოძრაობებს: დიდი თვალები, დიდი ყურები, დიდი ცხვირი, პატარა რქები, ხტუნვები და ა.შ. ამ მოძრაობებს თან ახლავს სხვადასხვა წამომახილები და სიცილი.

სიტყვები	მოძრაობები
ბებია მელანიასთან პატარა ქოხში ცხოვრობდა 7 ვაჟი აი ასეთი თვალებით აი ასეთი ყურებით აი ასეთი ცხვირებით არაფერს ჭამდნენ მთელი დღე იჯდნენ აი ასე უყურებდნენ აი ასე აკეთებდნენ	ბავშვები ხელჩაკიდებულები დადიან წრეზე ჩერდებიან და ჟესტებით და მიმიკებით განასახიერებენ რაც ტექსტშია ნათქვამი: აკეთებენ დიდ თვალებს, დიდ ყურებს, დიდ ცხვირს. იმეორებენ მეზისმიერ სასაცილო მოძრაობას წამყვანთან ერთად.



## *ბელურები და კატა*

ბავშვები „ბელურები“ დგებიან 5-10 სანტიმეტრიან ფიცრებზე (ვითომ სახურავზე, ხეებზე ზიან). (ფიცრების რაოდენობა იმდენია, რამდენიც ბავშვია). მოშორებით კატა ზის . „ბელურები გაფრინდნენ“- ისმის აღმზრდელის ხმა. ბელურები იწყებენ ფრენას. გაიღვიძა კატამ:“მიაუ...მიაუ...“-კნავის იგი და გარბის მათ დასაჭერად. ბავშვები ადიან ფიცრებზე და თავს შველიან. ვინც ვერ მოასწრო ასვლა ფიცარზე კატა მას იჭერს. როგორც კი კატა რამოდენიმე ბელურას დაიჭერს-ირჩევენ ახალ კატას.

## *კურდღელი პირს იბანს*

მოთამაშეები დგებიან წრეზე, აღმზრდელი ირჩევს „კურდღლს“. კურდღელი ჯდება წრის შუაში, მოთამაშეები ერთხმად ამბობენ: „კურდღელი პირს იბანს, ეტყობა სტუმრად მიდის; კურდღელმა დაიბანა ცხვირი, დაიბანა ყურები, დაიბანა კუდი, გაიწმინდა კბილები“. კურდღელი ბავშვების „კარნახით“ ასრულებს ყველა მოძრაობას, ბოლოს ხტის ორი ფეხით, მიდის სტუმრად რომელიმე ბავშვთან და ახლა ისიც ხდება კურდღლი.

თამაში მეორდება რამდენიმეჯერ. ბოლოს ყველა ორი ფეხით ხტის.

## *მხიარული ბურთები*

ბავშვები დგანან ოთახის ერთ მხარეს, მათთან არის აღმზრდელიც. მას ხელში უჭირავს კალათი, რომელშიც იმდენი პატარა ბურთია, რამდენიც მონაწილეობს თამაშში. აღმზრდელი ბავშვებს ეუბნება: „ აი, რამდენი ლამაზი ბურთი მაქვს, ამათაც თქვენსავით სურთ სირბილი!“ ამის შემდეგ ბურთებს შორს გადაყრის. ძახილზე:

„დაეწიეთ ბურთებს!“- ბავშვები გარბიან, იღბენ ბურთს, მიაქვთ აღმზრდელთან და ყრიან კალათაში.

თამაში მეორდება რამდენჯერმე. (აღმზრდელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ ბავშვებმა აიღონ თითო ბურთი.)

### *მგელი და ცხვარი*

მოთამაშე ბავშვთაგან ერთი „მგელი“, დანარჩენები- „ცხვრები“. ცხვრებს ხელი აქვთ ჩავლებული საგნებზე ( ხე , სკამი, ღობე და სხვ.) და ხშირად იცვლიან ადგილს. თუ ცხვარმა ვერ მოასწრო ხელის ჩავლება რაიმე საგანზე, მგელს უფლება აქვს დაიჭიროს იგი. თუ მგელი დაიჭერს ცხვარს, „წათრევს“ თავის ბუნაგში და მასაც დაიხმარს სხვების დასაჭერად. (აღმზრდელმა თვალი უნდა ადევნოს, რომ მგელი ცხვრების დაჭერისას უხეშად არ მოექცეს ბავშვებს, მხოლოდ ხელით შეეხოს მათ. ამავე დროს მგლის ხელის შეხებისთანავე ცხვრებმა არ გაუწიონ მას წინააღმდეგობა და წყნარად წაყვინენ ბუნაგში).

უკეთესი იქნება, რომ თამაში ჩატარდეს ეზოში, სადაც ცხვრებს გადარჩენის მეტი შესაძლებლობა აქვთ: უნდა შეირჩეს ადგილი ხეების და ბუჩქების საკმარისი რაოდენობით. ეს უფრო საინტერესოს გახდის თამაშს.

### *კატა და თაგვები*

ბავშვები ერთმანეთს ხელს ჩაჰკიდებენ და შეკრავენ წრეს. ერთ ბავშვს წრეში შეუშვებენ, მეორეს კი გარეთ ტოვებენ. წრეში მოქცეული „ თაგვია“, წრის გარეთ დარჩენილი-„კატა“. კატა დასაჭერად დასდევს თაგვს. ბავშვები კატას არ უშვებენ წრეში, თაგვი კი თავისუფლად მოძრაობს. თუ კატამ წრეში შეჭრა მოახერხა, თაგვი გარეთ გამორბის. ახლა კატას აღარ უშვებენ წრიდან. თუ კატამ დაიჭირა თაგვი, ორივენი დგებიან წრეში და შემდეგ სხვა წყვილი აგრძელებს თამაშს.

